140/
1979/2

ISSN 0132 — 5978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

5
1979

# დიდი სამამულო




**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

ცეცხლოვანო დღეებო,
ისევ მომაგონდით...
რაღა ჯარისკაცი ვარ,
დავივიწყე თუკი
ბარენციდან შავ ზღვამდე
გაწოლილი ფრონტი,
გულშუქიან თბილისის
შენიღბული შუქი.

ბრესტის ციხე-სიმაგრე,
სამტესხლონი ქერჩის,
ლენინგრადის ბლოკადა,
ბრძოლა სტალინგრადის...
შურისგების წუურვილი
ვერ ეტევა მკერდში—
ფრონტის ხაზი ჩეგემთან
და... ჩემს გულზე გადის.

შეტორტმანდა მარუსიც
ომის მღვრიე ტალღით,
მკერდში გული კი არა,
უკვე ღველფი მედო:
— შენი დროშა წითელი
ვერ შეცვალონ თალხით,
სიცოცხლეო, მამულო,
სიცოცხლეზეც მეტო!

გაასკეცდა, გაათრდა
რისხვა ჩვენი ჯარის,
მამულს უერთგულესი
ფიცით შევეკარით
და დაიძრა გრიგალი
არნახული ძალის
ვოლგის სანაპიროთი,
დარიალის კარით.

მიდის დასავლეთისკენ
საბჭოეთის ჯარი
უმძიმესი ბრძოლებით,
უძნელესი გზებით.
მკერდზე შემომაფრინდა
ვისლის ცხელი ქარი
და ოდერის ყინულმა
დამიდაღა მხრები.

ჩვენ ევროპის მონობის
ბორკილებიც ვლეწეთ,
მთელ პლანეტას გარს უვლის
ცხრა მაისის ქარი,
ვხედავ მშობელ მთა-ველებს,
და გერმანულ ველზე
მთავარსარდლის მოლოცვას
ვისმენ მწყობრში მდგარი...

რა ხანია, ჩამდგარა
ომის ქარი მკაცრი,
ვმძლავრობთ იმ გამარჯვებით—
ბურჯთა ბურჯის ხვალის.
კვლავ ცხრა მაისს შეგხარი
მისი ჯარისკაცი—
ეს მზე ჩვენი წილ-ხვედრი
იქნება და არის!

უმღერე, უერთგულე
ცხრა მაისის მძლე ქარს,
დენთის ცხელი ბოლ-ნისლით
შებოლილო გულო...
უკვდავების უმაღლეს
გუმბათიდან რეკავს:
— დ ი დ ი  ს ა მ ა მ უ ლ ო!
— დ ი დ ი  ს ა მ ა მ უ ლ ო!

მხატვარი ბ ფოცხიშვილი

ვაჟა შუბლაძე,
საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე.

1979 International Year of the Child

# 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წელია

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიის გადაწყვეტილებით 1979 წელი გამოცხადებულია ბავშვის საერთაშორისო წლად.

ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო.

1959 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, რომელმაც მთელი რიგი ქვეყნების მთავრობათა ყურადღება გაამახვილა მოზარდი თაობის მდგომარეობაზე. ეს დოკუმენტი იყო ლოგიკური გაგრძელება 1924 წლის ჟენევის დეკლარაციისა, რომელიც ერთა ლიგამ მიიღო თავის V სესიაზე — აქ საერთოდ პირველად დაისვა ბავშვთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის საკითხი.

დეკლარაციის ათმა პრინციპმა დაამტკიცა ბავშვთა უფლებების აუცილებელი დაცვა, მათი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, მათი ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება თავისუფლებისა და ღირსების შენარჩუნების პირობებში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბავშვს დაბადებიდან უნდა ჰქონდეს მინიჭებული სახელისა და მოქალაქეობის უფლება, უფლება ყოველმხრივ ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთით, კუთვნილი კვებით, საცხოვრებლით, გართობის საშუალებებით და სამედიცინო მომსახურებით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი რომელიმე მიმართულებით არასრულყოფილად არის განვითარებული, იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სპეციალური რეჟიმით, ყურადღებითა და მზრუნველობით; ბავშვი უნდა იზრდებოდეს მშობლების კმაყოფაზე, მათი პასუხისმგებლობისა და სიყვარულის ატმოსფეროში.

მას უნდა ჰქონდეს განათლების უფლება, დაცული უნდა იყოს უსულგულო მოპყრობის, სიმკაცრისა და ექსპლოატაციისაგან, აგრეთვე ყოველგვარი ფორმის დისკრიმინაციისაგან.

იგი უნდა იზრდებოდეს ურთიერთგაგების, მოთმინების, ხალხთა მშვიდობისა და ურთიერთმეგობრობის ატმოსფეროში და სრულყოფილად უნდა შეიგნოს, რომ საჭიროა მისი უნარი და ენერგია მოხმარდეს სხვა ადამიანების კეთილდღეობას.

დეკლარაციის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ კაცობრიობა ვალდებულია მიუძღვნას ბავშვებს ყველაფერი საუკეთესო, რაც კი გააჩნია.

თითქმის ორი ათწლეულია გასული დეკლარაციის მიღებიდან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის („იუნისეფ“) მონაცემებით, ჩვენს პლანეტაზე ამჟამად ცხოვრობს 1,5 მილიარდი ბავშვი, მაგრამ მათგან 10 მილიონი სასიკვდილოდ არის განწირული სისტემატური შიმშილობის გამო. ამავე მიზეზით 76 მილიონი ბავშვი ჩამორჩება თანატოლებს გონებრივი და ფიზიკური განვითარებით. 373 მილიონი სასკოლო ასაკის ბავშვიდან სკოლაში დადის მხოლოდ 115 მილიონი. დღემდე არსებობს ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის სისტემა. აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში 40 მილიონზე მეტი ბავშვი იძულებულია იმუშაოს მცირეხელფასიან და ჯანმრთელობისათვის საშიშ სამუშაოებზე. დღემდე შემორჩა კაცობრიობისათვის სამარცხვინო ბავშვთა ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები.

იტალიურ გაზეთ „მესანჯეროს“ ცნობით, ქალაქ ალტამოროს (იტალია) ცენტრალურ მოედანზე არსებობს „მონათა ბაზარი“, სადაც მახლობელი რაიონებიდან სპეციალურად ჩამოსული შეძლებული გლეხები ყიდულობენ ექვს წელზე უფროსი ასაკის ბავშვებს. შუამავლები ბავშვებს ფასს ადებენ. ეს ან მცირე თანხაა, ან რამდენიმე თავი ყველი, ან შეშის რამდენიმე შეკვრა შინ მიტანით. ამ საფასურით ბავშვებმა უნდა მწყემსონ ნახირი და იცხოვრონ საქონელთან ერთად. ასეთი მძიმე, აუტანელი შრომის გამო უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქ. ალტამოროს რაიონში ორმა პატარა მწყემსმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ბიუროს ცნობით, ბოლო ათი წლის მანძილზე, სამედიცინო მომსახურების უქონლობის გამო, გარდაიცვალა 7 მილიონ 500 ათასი ბავშვი. მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტი მოდის აფრიკის კონტინენტზე, სადაც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სამედიცინო მომსახურების უქონლობის გამო, იღუპება 5 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთი მესამედი და სრულწლოვანებას აღწევს ათასიდან მხოლოდ 300-ზე ოდნავ მეტი ბავშვი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის მონაცემებით, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში სამედიცინო დახმარებას იღებს ოციდან მხოლოდ ერთი ბავშვი.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბავშვები რასობრივ დისკრიმინაციას განიცდიან. ნამიბიის ბავშვები, შავი ფერის კანის გამო, რასისტებს შეყრილი ჰყავთ რეზერვაციებში, სადაც განიცდიან ტანჯვა-წამებას.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ოფიციალური კანონმდებლობით,

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
5 მაისი 1979
სკკ კკ ცკ-ის გამომცემლობა



... მარქსის ...
სახელმწიფო ...
ბიბლიო...



**სიცოცხლის სიხარულით არის აღსავსე საბჭოეთის ნორჩ მოქალაქეთა ყოველი დღე**

კანის ფერის გამო ბავშვები განიცდიან დისკრიმინაციას განათლების სფეროშიც. თეთრკანიანებსა და ფერადკანიანებს ერთად სწავლების უფლება არა აქვთ. სწავლისათვის ფერადკანიან ბავშვებს საფასურს ახდევინებენ, თეთრკანიანები კი უფასოდ სწავლობენ.

განათლების სისტემაში აპარტეიდის (ფერადკანიანი მოსახლეობის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა თეთრკანიანთა მიერ) პოლიტიკის გამოყენებამ პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა შემდეგ ციფრებში: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1970 წელს დაწყებით კლასებში თითოეულ თეთრკანიან ბავშვზე იხარჯებოდა 320 დოლარი, ხოლო შავკანიანზე 20 დოლარი. მთლიანად კი თეთრკანიანი ბავშვების სწავლებაზე ქვეყანაში იხარჯება თითქმის 30-ჯერ მეტი, ვიდრე ფერადკანიანთა სწავლებაზე.

ახლანდელი ბავშვების თაობა ის თაობაა, რომელსაც ახალი საზოგადოების აშენება ეკისრება. მის აღზრდაში მთავარია სწორი მიმართულება, ამ ამოცანის უკეთესად გადაწყვეტისათვის ბავშვების მომზადება, რაც თავის მხრივ გულისხმობს კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნით მათი გამდიდრების უწყვეტ პროცესს.

მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას, როდესაც იუნესკოს მონაცემებით დედამიწაზე წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი იზრდება, ხოლო აზიის, აფრიკისა და ოკეანიის თითქმის 40 ქვეყანაში საყოველთაო დაწყებითი სწავლებაც კი არ ხორციელდება.

ამის გამო აფრიკაში მოსახლეობის 75 პროცენტი, ხოლო აზიაში 50 პროცენტი უსწავლელია.

მრავალი კაპიტალისტური ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებისათვის საჭირო ასიგნებები ყოველწლიურად კლებულობს, ხოლო სამხედრო ბიუჯეტი განუწყვეტლივ იზრდება.

ისრაელში სამხედრო შეიარაღებაზე იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის 60 პროცენტი, სახალხო განათლებისა და სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები კი სისტემატურად მცირდება. ამასთან იზრდება გადასახადი დაწყებითი და საშუალო სკოლებში სწავლისათვის.

1974 წელს ჰონდურასში განათლებაზე დაიხარჯა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 3 პროცენტი.

დღემდე დედამიწაზე არ ჩამქრალა ომის კერები, ყველასათვის ცნობილია ის ჭეშმარიტება, რომ ომის საშინელებათაგან ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან.

არაბეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბავშვების მიმართ ძალადობისა და დამცირების ფაშისტურ მეთოდებს იყენებს ისრაელის ოკუპანტთა არმია. 16 წლის ასაკამდე ბავშვები და მოზარდები დამწყვდეული არიან ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც მათ აწამებენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ცნობით, საიდუმლო პოლიციის „დინას“ აგენტებმა მოიტაცეს 13 ჩილელი ბავშვი. ბავშვების შემდგომი ბედი უცნობია.

დეკლარაცია იცავს ბავშვს სიმკაცრის ყოველგვარი გამოვლინებისაგან, მაგრამ განა დაუნდობლობა და სიმკაცრე არ არის, რომ ბავშვებს ყოველი მხრიდან თავს ახვევენ ძალადობის, უნდობლობის, განგსტერიზმისა და ყაჩაღობის პროპაგანდას?

ლიტერატურა, რადიო, კინო და ტელევიზია დასავლეთში ფართო პროპაგანდას უწევენ ეგრეთ წოდებულ „ზეადამიანს“, რომლისთვისაც ყველაფერი ხელმისაწვდომია და რომელიც არაფერს ერიდება თავისი მიზნის მისაღწევად.

„ძალადობის ჩვენება ეკრანზე ზოგიერთ მაყურებელში სტიმულს აძლევს რეალური ძალადობის ჩადენისადმი მისწრაფებას, აქვეითებს მორალურ დონეს. ამერიკელ მრეწველთა წრეები ყოველმხრივ უჭერენ მხარს ადამიანთა გარკვეულ ტენდენციას ჰუმანური მიზნების საზიანოდ, მაგალითად, უხეშ ინდივიდუალიზმს, მკაცრ კონკურენციას, ცდილობენ ამ თვისებების წახალისებას, ამას კი ბოლოს და ბოლოს მივყავართ დანაშაულებათა ზრდის მაღალ დონემდე, ამის გამოა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები ადვილად ითრევენ ახალგაზრდობას ომში“, — ეს სიტყვები ეკუთვნის გამოჩენილ ამერიკელ პედიატრს და ფსიქოლოგს ბენჯამენ სპოკს.

„შხამიანი მაკულატურა“ უწოდა დასავლეთში ბავშვებისათვის გამოცემულ „ლიტერატურას“ ცნობილმა ფრანგმა საბავშვო მწერალმა პიერ გამარამ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამახინჯებს ბავშვის სულს. სწორედ ამიტომ არის, რომ წლიდან წლამდე დასავლეთში მატულობს ბავშვთა დანაშაული, ნარკომანია და პროსტიტუცია.

მაროკოში 7-დან 16 წლამდე დამნაშავეთა რიცხვმა 100 ათას კაცს გადაამეტა და ყოველწლიურად 15 პროცენტით იზრდება, ხოლო გფრში მცირეწლოვან ბავშვთა დანაშაული 1958 წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა.

ჩილეს ფაშისტური ხუნტის გაზეთის „ელ მერკერიოს“ ცნობით, მხოლოდ სანტიაგოში ერთი თვის მანძილზე კარაბინერებმა დააკავეს 22 ათასი ბავშვი, რომლებიც მათხოვრობდნენ და ქუჩებში დაწანწალებდნენ. 12-14 წლის ბავშვებში ფართოდ გავრცელდა პროსტიტუცია, რაც გამოწვეულია ბავშვთა სისტემატური შიმშილითა და საარსებო საშუალებების უქონლობით. ქუჩაში დარჩენილი ბავშვების უმეტესობა სარგებლობს ნარკოტიკული საშუალებებით. ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათია.

„ბავშვი უნდა აღიზარდოს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით“, — ჩაწერილია ბავშვთა უფლებების დეკლარაციის X პრინციპში, რომლის თანახმადაც ცხოვრობენ და საქმიანობენ სოციალისტური ქვეყნების ხალხები.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, იმპერიალისტური სახელმწიფოები აძლიერებენ შეიარაღებას, ზრდიან სამხედრო ხარჯებს, მიისწრაფვიან განავითარონ მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეობები.

დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების სკოლებში მოსწავლეებს წინასწარ განზრახვითა და მიზანდასახულად უყალიბებენ სოციალისტური ქვეყნების მიმართ უნდობლობის განწყობილებას.

აშშ-ისა და გფრ-ის რეაქციული წრეები ცდილობენ მიიღონ ისეთი კანონი, რომლითაც იურიდიულად განმტკიცდება ახალგაზრდობის აღზრდა ანტიკომუნისტური სულისკვეთებით. სასწავლო სახელმძღვანელოები სავსეა ფალსიფიცირებული ფაქტებით, დამახინჯებებით, შხამიანი მონაჭორებით სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ.

„სანამ არასოციალისტურ სამყაროსა და მათი განათლების სისტემებს, კერძოდ, აშშ-ს, გფრ-ს, საფრანგეთსა და იაპონიას არ ვაიძულებთ, რომ აღიარონ თავიანთი მოვალეობა — ასწავლონ ახალგაზრდა თაობას სიმართლე სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების, სამართლიანი მისწრაფებებისათვის მათი ბრძოლის შესახებ, მანამ უაზროა იმედი ვიქონიოთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში იქნება: 1) აღზრდა მშვიდობის სულისკვეთებით, 2) აღზრდა ჰუმანიზმის იდეებით, 3) განათლების სისტემის ჭეშმარიტი დემოკრატია“, — თქვა ამერიკელმა მწერალმა ქალმა მირიამ მორტონმა საერთაშორისო კონფერენციაზე „მშვიდობიან მსოფლიოში ბედნიერი ბავშვობისათვის“, რომელიც ჩატარდა 1977 წელს მოსკოვში, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის „დაე მუდამ იყოს მზე“ ფარგლებში.

ყველა ეს მაგალითი მოწმობს, თუ როგორ აშკარად ირღვევა ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, ცხადყოფს, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დეკლარაციის ძირითადი პრინციპები ლიტონ სიტყვად რჩება და არავინ ზრუნავს მათს რეალიზაციაზე.

აი ამიტომ იყო, რომ მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება ყველა, ვისაც კი აღელვებს პლანეტის ხვალინდელი დღე, დიდი მღელვარებითა და კმაყოფილებით შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიის გადაწყვეტილებას 1979 წლის გამოცხადების შესახებ ბავშვთა საერთაშორისო წლად.

ბავშვის საერთაშორისო წლის ძირითადი ამოცანაა, მიაქციოს მთავრობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება თანამედროვე სამყაროში ბავშვთა ჭეშმარიტ მდგომარეობაზე, ჩააფიქროს ისინი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების კომიტეტი ბავშვის საერთაშორისო წლის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

კომიტეტის შემადგენლობაში მუშაობენ მრავალრიცხოვანი სამუშაო ჯგუფები, რომელთაგან აღსანიშნავია: ბავშვთა უფლებების დაცვის, ბავშვთა განათლების, განვითარებადი ქვეყნების ბავშვთა პრობლემების, მშობელთა სწავლების, ინვალიდი ბავშვების და სხვა ჯგუფები.



უკიდურესი სიღატაკე, პირქუში მომავალი — ასეთია სალვადორელ მშრომელთა შვილების ხვედრი

მიმდინარე წელს ჩატარდება მრავალი საერთაშორისო ღონისძიება: ბავშვთა უფლებების დაცვის სამთავრობო ექსპერტთა საერთაშორისო კონფერენცია, კონფერენცია ბავშვთა უფლებების საკითხებზე, (ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით), სხვადასხვა რეგიონალური და ეროვნული ინიციატივები.

ბავშვის საერთაშორისო წლის არასამთავრობო ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფებისა და საკოორდინაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციის საერთაშორისო კომიტეტი („სიმეა“).

თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე, ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციის საერთაშორისო კომიტეტმა დაამტკიცა, რომ მისი ძირითადი მიზანია მოზარდი თაობის ბედნიერი ბავშვობისათვის ბრძოლა. აი რატომ თანამშრომლობს ასე აქტიურად ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტი ყველა იმ პროგრესულად მოაზროვნე ორგანიზაციასთან, რომლებიც იბრძვიან ბავშვთა უფლებების დასაცავად.

ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა თავის წევრ და მეგობრულ ორგანიზაციებს, რათა მათ მთელი ენერგია მოახმარონ, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მასშტაბებში, მთელ მსოფლიოში ბავშვთა უფლებების განხორციელების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით კომიტეტმა მოუწოდა ამ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ 1979 წლის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც განიხილავს მოზარდი თაობის მდგომარეობის პრობლემებს თანამედროვე სამყაროში (სსრკ) და ევროპის ბავშვთა შეხვედრაში (უნგრეთი), მხარი დაუჭირონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო კონვენციის მიღებას, რომლითაც გარანტირებული იქნება ბავშვთა და მოზარდთა უფლებები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მიღების 20 წლის თავზე გამოცხადებული ბავშვის საერთაშორისო წელი მოწოდებულია მთელი კაცობრიობის ყურადღება მიაპყროს დედამიწის ნორჩ მცხოვრებლებს, რომლებიც მომავალში პლანეტის ბატონ-პატრონებად იქცევიან.




ოთია
იოსელიანი

მხატვარი
ზურაბ
ფორჩხიძე

## უშეღავათო ხუროს ამბავი

სოფელს რომ ჩავუარე, უსიამოვნო ყაყანი კი მომესმა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ყური მოვიყრუე.

უკვე სანახებში ვიყავი, რომ ზურგს უკან აქოშინებული, ასე თქვენი ტოლა ბიჭის ძახილი და მუდარა მომესმა:

— ბიძია, იწამე ღმერთი, მოიცადე, ცოტა ხანს მოიცადე!

შევჩერდი და სირბილით მომავალს გავხედე. ჰო, ნამდვილად თქვენი ტოლა იქნებოდა. გულისპირზე ხამი ქსოვილის, ნახერხისფერი წინსაფარი აქვს აკრული, ყურზე წითელი ფანქარი გაუჩრია, გულის ჯიბეში დაკეცილი მეტრიანი და ფარგალი უდევს. ტანსაცმელზე ნახერხი და ბურბუშელა შერჩენია.

ვუცქერი და მომწონს, ამისთანა ბიჭს დავუცდი და მოვუსმენ კი არა, მისთვის ცხრა მთას გადავივლი. მომიახლოვდა, თვალები ცრემლით აქვს სავსე —ეს არ მომეწონა: რა ქვეყანაა ეს, ამისთანა ბავშვს რომ ატირებენ, უსაქმურ და შარახვეტია ლაწირაკებს რაღას უზამენ მეთქი?!

სანამ გულამომჯდარი თავის გასაჭირს მეტყოდა, დავასწარი:

— მაჩვენე შენ, ვინც უდიერად მოგექცა და მერე მე ვიცოდე და იმან!

— მე არა, ბიძია, ჩემს ოსტატს და მასწავლებელს!.. — ამოიფშლუკუნა გულამოვარდნილმა .

— შენი ოსტატიც არ იქნება ურიგო კაცი, შენისთანა შეგირდი რომ ჰყავს.

— ავი კია, მაგრამ ოქროს ხელი აქვს, ბიძია.

— ავი რატომღა არის ის მარჯვენადალოცვილი, ბარემ ლმობიერი და გულსაწყალიც ყოფილიყო...

— ავი და მკაცრი საქმის დროსაა, თორემ ისე, რავა გეკადრება, ჩრდილში რომ დაღლილი წამოწვება, მარ-ბათივითაა.

— მერე, თუ საქმისათვის გაგიჯავრდა, ამიტომ უნდა დაკრა ფეხი და გზაშარაზე ჩემისთანა უცხოს სდიო?! თუმცა, ჰო... შენ კი არა, მას აწყენინეს, ხომ?

— წყენინებას ვინ დაეძებს, არ ვიცი რითი გათავდება მათი ჩხუბი და დავიდარაბა: ჩემი მასწავლებელი თავისი საქმის ერთგული ხუროა და, სახლის პატრონი რომ პატრონია, არც იმას დაუთმობს.

— უჰ, გაჩერდი, ბიძია, მაგ მოხელეების და სახლის პატრონების ამბავში არ გამრიო, შენს გაზრდას. ფული გამოართვა ალბათ იმ შენმა ხურომ, შეუჭამა, სახლის პატრონმა ვინ იცის რა ხანი სდია, ახლა დაიჭირა და ატყდა ვაი-უშველებელი.

— ასეთი რამე, ბიძია, ჩემი ოსტატისაგან არ გამიგონია... — დაიბნა ბიჭი.

— დურგლები და კალატოზები რომ სამუშაოს აიღებენ, ბეს ჩაიჯიბავენ და რაღაცას მიანგრ-მოანგრევენ, მერე უკან უნდა სდიო! ეს არ გაგიგონია?

— არა! — გადაჭრით იუარა შეგირდმა. არადა ისეთი ყმაწვილი არ ჩანდა, გუნებაში სხვა ჰქონოდა და სხვა ეთქვა.

— აბა, რაც შეგიკვეთეს შენ და შენს ოსტატს, გააკეთეთ?

— სახლის პატრონს რომ ჰკითხო, გაკეთებული ჰგონია. წამობრძანდი, ბიძია, წამობრძანდი!

მას რომ არ ეთქვა, თვითონ გავეკიდებოდი.

— ესე იგი გაუკეთეთ?

— პატრონს თავისი ჭკუით დამთავრებული ჰგონია.

—აბა ვინ გედავებათ? — ვეკითხები და ნაბიჯს ვუჩქარებ.

— პატრონი! მიპასუხებს ბიჭი და წინ-წინ გარბის.

— ყმაწვილო, შენ ყურების დაგრძელება ხომ არ გესაჭიროება? — არადა შეგირდს მშვენიერი ლამაზ-ლამაზი ყურები აქვს, ზედ ოსტატის ხელიც არ აჩნია.

— რატომ, მითხარი რამე და ვერ გავიგონე, თუ რა დააშავა ამ ჩემმა ყურებმა?

— აყალმაყალის ხმა რომ ახლოვდება, თუ გესმის?

— არ გითხარი, ბიძია, დახოცავენ ერთმანეთს-მეთქი?!

— თვალებში შემომაციცინდა: რავაო, არ მითქვამს თუ?

— ეს კი მითხარი, მაგრამ, თუ პატრონი საქმეს პირნათლად გაკეთებულად თვლის, ვინღა ედავება შენს ხუროს?

— პატრონი, სახლის პატრონი!

— ვინც შეგიკვეთათ და კმაყოფილია თქვენი ნახელავით?

— დიახ, სწორედ ის, აბა სხვას ვის რა ესაქმება.

— ბიჭო, მაგ ყურები, ეტყობა, მაინცდამაინც არავის უწვალებია და მე რატომ უნდა ჩამადგმევინო ცოდვაში ფეხი...

— რას დაეძებ, ბიძია, ჩემ ყურებს, იმათ უშველე რაღაცა და რაიმე სამართალი გაუჩინე.

— მაგი რომ მასე იყოს, შე ღლაპო, შენ და შენს ოსტატს ხმას უბატონოდ ვინ გაგცემთ!

— ჩქარა, ბიძია, ჩქარა! — ბიჭმა ჭიშკარი გამოაღო, — დაჩეხავენ ერთმანეთს.

მართლაც, ჩავვარდი ეზოში. რას ვხედავ, ერთს გაპარპარებული ხელეჩო უჭირავს ხელში, მეორეს გაპრიალებული ნაჯახი.

— გადადი გადაღმა, რომ გელაპარაკები მე შენ! — გულზეა ნაჯახიანი.

— ფეხის მომცვლელი არა ვარ! — მაგრად დგას ხელეჩოიანი.

— ნუ დამადებ შენი შვილების ცოდვას, გამასწარი, გირჩევნია!

—ჩემი შვილები უფრო ცოდვა არ იქნებიან, თუ ასე მივატოვებ ამ სახლს და უსინდისოდ ავიბარგები!

ავხედ-დავხედე შენობას. გამართული, გაჯგიმული სახლ-კარია, თვალი ზედ დაგრჩება.

— არ სჭირდება ამას მეტი არაფერი, დიდი მადლობელი ვარ. წადი, გადაეთრიე ეზოდან! — ავად ატრიალებს გაპრიალებულ ნაჯახს ამ ეზო-გარემოს პატრონი.

— ცოცხალი თავით აქედან ძვრას ვერ მიზამ! — მიასო ფეხი ხელეჩოიანმა ხურომ და ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია.

ეტყობა, პატრონმა მეც მომკრა თვალი, გულში ეიმედა, გაგვაშველებსო, და აღმართა ნაჯახი. გაიელვა გაპრიალებულმა ფოლადის პირმა, კაცს კი არა, კორძიან მუხის მორს რომ დაჰკრა, ყუამდე ჩავა.

—არ გაგიწყრეს ღმერთი, კაცს არაფერი მოწიო! — გავყარე ხელიდან ნაბადი, მტრედებიანი გალია, რკინის ჯოხი და ჩავვარდი შუაში. ზედ ჩემს შუბლთან შეაჩერა ნაჯახის პირი მოდავემ.

— კი მაგრამ, ამ სოფელში კაცი გაწყდა, რომ ჭკუა ჰკითხოთ?

— სოფელი ჭრელია! — ხელეჩო ბეჭზე მოიდო დურგალმა. — ზოგი ბრიყვი მაგას ამართლებს, ჭკვიანი — მე, სამართალი კი არ ჩანს.

— ვინაა ბრიყვი, რომ გეუბნებიან, წადი, შენს გზას ეწიეო?! — გადაირია პატრონი ისევ.

— მოიცათ, მოიცათ! — ხელები გავშალე და ორივეს გულზე მივაბჯინე. მე არც ერთს გიცნობთ, არც მეორეს, არც აქაური ვარ. დღეის მერე არა მგონია შევხვდეთ. გასამრჯელოს არ მოვითხოვ და, ჭიქა წყალი რომ ჭიქა წყალია, არ მინდა, მდინარეზე დავლევ და აქ არა. გარდა სიმართლისა რა მრჯის! ამ შეგირდმა ვერაფერი გამაგებინა...

— რა ღმერთი გაგიწყრა, ბიჭო, შენ! — გაუჯავრდა ხურო.

— ოსტატო, ყველაფერი სიმართლე ვუთხარი და მეტი რა მექნა? — აიწურა შეგირდი.

— არ გრცხვენია, ბიჭო? — შევუბღვირე და მის ყურებს ისევ ავად გადავხედე.

— სიმართლე გითხარი... — აუცრემლდა თვალები შეგირდს.

— სიმართლეა, ყმაწვილო, ის, რომ ამ კაცს, — გაპრიალებულ ნაჯახიანზე ვვეუბნები, — თქვენ რაც შეგიკვეთათ გაუკეთეთ?

—კი, სიმართლეა! — იყვირა პატრონმა და ნაჯახი დაატრიალა.

— ტყუილია, — გაპარპარებული ხელეჩო აღმართა ხურომ.

— მოიცათ, მოიცათ! აქ რომელია სახლის, კარის, ეზოს და საერთოდ ამ ოჯახის პატრონი?

— მე ვარ. მერე?.. — ჩაიღრინა ნაჯახიანმა.

— მერე, შენ ამბობ, რომ ყველაფერი გააკეთეს?

— იმაზე მეტიც... გადაყვნენ ყოველ ღერ ფიცარს. შეხედე, შეხედე! თუ მტყუანი ვარ; სახლს კი არა, კარადას არ გააკეთებს ასე გულისყურით ხელოსანი.

— მერე, რა გინდა მეტი? — გაოცებისაგან პირი დაეაღე.

— მადლობელი ვარ, მეტი არაფერი არ მინდა და დამანებოს თავი! — აღმართა ისევ გაპარპარებული ნაჯახი.

— მოიცა, თქვენ დაგიკარგავთ ჭკუა, მაგრამ, სანამ მეც შევიშლებოდე, მაცალეთ!



ახლა ხუროს მივუბრუნდი:

— რა გინდა, რატომ არ აყენებ ამ კაცს?

— ტყუა! — გადაირია ისევ ოსტატი და ხელეჩო სახლს მიუშვირა, — ეს მოთავებულია?! მაგას ხელობის რა გაეგება. ეს რომ ვინმემ ნახოს, და ნახავს, სახლია,

ცხვირსახოცი ხომ არაა, მუჭაში და ჯიბეში დამალოს, ვის რა პასუხი მივცე?

— მაგას ვინ ჰკითხავს, სახლი ჩემია! — გაავდა პატრონი.

— ნურას უკაცრავად! — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ოსტატმა. — სახლი ვისია ეს არ მეკითხება მე, ხელობა ჩემია!

— ჰაიტ! — წამოიყვირა პატრონმა, რომ პირზე ხელი დავაფარე.

— განაგრძე, ოსტატო, განაგრძე! — შევეხვეწე.

— ჩემი საქმე მე ვიცი და მე უნდა ვაგო პასუხი, მაგი ვინ ეშმაკია!

— ააა! — აზმუვლდა პირზე ხელდაფარებული პატრონი.

— გაჩუმდი-მეთქი, რა გითხარი მე შენ! — ვეცი, ხელიდან ნაჯახი გამოვგლიჯე და მოვუღირე.

— მე მასწავლებელი მყავდა, ციდან კი არ ჩამოვფრენილვარ, დაადგა ნათელი, და მოწაფე მყავს, ღმერთმა გაზარდოს. შვილი მყავს და მომავალი. კაცი არ უნდა მერქვას? — მთლად გაცეცხლდა ოსტატი.

— ჩუქურთმები და ხარატულები გამომიგონა, — ვერ იქნა და ვერ გავაჩუმე ის ოჯახქორი პატრონი.

— ფიცრის ფიცარზე დადება რა დურგლობა და ოსტატობაა. ჩემი მასწავლებლის მასწავლებელს და კიდევ იმის მასწავლებელს რაც ხუროთმოძღვრება შეუქმნიათ, მაგის გულისთვის გადავყრი წყალში? იმ ჩუქურთმაში და ხარატულშია მოქცეული ჩემი გამზრდელის ხატება, და არა ფიცრის ფიცარზე დადებაში...

— გაჭირვებული ვარ, — გატყდა სახლის პატრონი. — იმის საფასურიც ვერ მივეცი, რაც გააკეთა, და დაუწყდა ცოლ-შვილი შიმშილით. დაანეობს თავი. — ახლა მე შემეხვეწა პატრონი.

— ცოლ-შვილი! — გაუწყრა ისევ ოსტატი. — ცოლშვილმა თუ შენს საყვარელ საქმეზე და კაცობაზე ხელი აგაღებინა, მაგისთანა ცოლ-შვილი მართლა გასაწყვეტია. რა ვუყოთ მერე, ხან მოიგებ, ხან წააგებ. მე დღეს რა ვჭამე და რა ვსვი, იმას კი არ ხედავს ეს კაცი, — ჩემზე მიუთითა პატრონს, — ამ სახლს ხედავს. იმ ჩემს შვილებსაც არ მოეჭრებათ თავი, რომ ხელუკუღმართი ხუროს შვილებს დაუძახებენ?! ამას გარდა, ამ ჩემ შეგირდს რას ვემართლები? უნდა გაიზარდოს, დაკაცდეს და თავისი ოსტატობით თავი მოიწონოს. მიეცი მაგ ნაჯახი და დამკრას თავში, მაგრამ იცოდეს, მე სანამ ჩემს სულს და გულს ამ კედლებში, სვეტებში და კარ-ფანჯრებში არ ჩავდებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, მომკალით და ხელობას ვერ გავიფუჭებ!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — დავლოცე ხურო და პატრონს მივუბრუნდი: — ხმა არ გამაგონო, თორემ ამ გაპარპარებულ ნაჯახს რომ გთქვლიფავ, კვერცხივით გაგაპობ. შენ და შენისთანებმა მოსპეთ ხელობისა და ხელოსნობის საქმე. თვითონ არაფერი გაგეგებათ ხუროთმოძღვრებისა და, ვინც ამისთვის გაჩენილა, იმათაც ხელებს უკრავთ. შენისთანებმა თუ თავშესაფარი იშოვეს, ჩუქურთმა, ხარატული, ლარი და ხაზი აღარ ადარდებთ. კრინტი არ დაძრა და ხელი შეუწყე, რომ გელაპარაკები, თორემ გაგათავებ, იცოდე!

იცოცხლე, ჩაუვარდა ენა პატრონს და დაედო მკვდრის ფერი!

შეგირდს კი, ჭიშკრამდე რომ გამომაცილა და ჩემს მტრედებიან გალიას და რკინის ჯოხს მოათრევდა, სანამ უკან გავაბრუნებდი, ვკითხე:

— ისე, ტოლებთან თამაშის და დასვენების ნებას ხომ გაძლევს ოსტატი?

— კი, ბიძია, მაგრამ, ხომ გითხარი, საქმის დროს ავია, მასავით რომ ვაკეთებ, მიწყრება.

— ისეთნაირს თუ უკვე აკეთებ, აბა რაღა ჯანდაბა უნდა?

— ჩემნაირი მეც ვარო! მიჯავრდება: უკეთესი თუ არ გააკეთე, დრო წინ მიდის, ჩვენ ხომ არ შევაჩერებთო. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე არ ვიცი, — აწუწუნდა ბიჭი, თავზე ხელის გადამსმელი რომ იშოვა.

— რა ჰქენი და მიაკალი თავი! როგორც ხუროთმოძღვარი გირჩევს და გასწავლის, ისე მოიქეცი. უყურე ამას შენ! — გავაბრუნე უკან. თითი მუქარით დავუქნიე და ჩემს გრძელ და უსასრულო გზას დავადექი.

თქვენ კი ამ ბარათს გიგზავნით და გაფრთხილებთ, რა საქმესაც ხელს მოჰკიდებთ, ვინმეს გულისთვის უღალატოთ კი არა, უბრალოდ, უმნიშვნელო შეღავათიც არ დაუშვათ. ყოველი ძაღლი-მამაძაღლის ჭკუაზე თუ იარეთ, საკუთარ თავს, ხმას და საქმეს დაკარგავთ!

## მუცელღმერთობის ამბავი

— რაშია აქ საქმე, არ გამიშვებ? — დაქანცული, ორივე იდაყვით ჩამოვეკიდე გარდიგარდმო გადებულ ჭრელ კეტზე.

— გააჩნია, რა კაცი ბრძანდები! — მომიახლოვდა ვინმე ახალგაზრდა, უმწიფარი კი არა, კარგა ჭკუადამჯდარი, დარბაისელი კაცი, არცთუ უგულო ღიმილით.

— ანგელოზი ვარ-მეთქი რომ გითხრა, დამიჯერებ?..

— მაგას ვერ დაგიჯერებ.

— აბა, ქვეყნის დამქცევი ვარ-მეთქი?

— უსაბუთოდ არც მაგას.

— საბუთები... ისეთი რომ არაფერი მაქვს?

— საბუთები... აქ ქაღალდებს კი არ ვსინჯავთ.

— საბუთები ქაღალდზე დაწერილი მგონია მე.

— ყოველნაირი, გულდაგულ ჩაწიკწიკებული ქაღალდი რომ ჰქონდეს და სინდისისგან გარეცხილი რომ იყოს კაცი, არ შეიძლება?

— პირიქით, ალბათ უფრო შეიძლება.

— აბა, რა აზრი აქვს ქაღალდების ქექვას.

— მაგრამ მტრედებიანი კაციც ხომ შეიძლება არ იყოს მშვიდობისმოყვარე და გველეშაპიანი — ქვეყნის დამქცევი?

— ესეც შეიძლება, და ყველაფერი რომ შეიძლება, ამიტომ ვარ მე აქ. მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო! — ასწია ჭრელი კეტი, „შლაგბაუმს“ რომ ეძახიან, და ციცქნა, ასეთსავე ჭრელ ჯიხურში შემიყვანა. დააჭირა ღილაკს თითი და ჩემს თავს ზევით მწვანე ნათურა აინთო.

— როგორაა საქმე, შეიძლება თქვენს ქვეყანაში ჩემი მოგზაურობა?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, სულითა და გულით...

— დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, არსად ფეხის გადამდგმელი არა ვარ, თუ არ გამაგებინებ...

— როგორ ვახერხებთ ავისა და კარგი კაცის გარჩევას?

— დიახ. იმიტომ კი არა, რომ მე თავი დიდ ვინმედ მომქონდეს.

— რა თქმა უნდა, ადამიანური ცოდვები თქვენც გექნებათ.

— ესეც თუ მაგ აპარატში გამოჩნდა, თქვენთან მეც-

ნიერება რაღაც არნახულად ყოფილა განვითარებული. და ისე, საიდუმლოდ თუ ინახავთ, არავინ თუ არაფერი იცის ამის თაობაზე, არც ესაა მოსაწონი. ადამიანის ნიჭი კაცობრიობას ეკუთვნის და არა ვინმე ერთ პიროვნებას, ან ერთ სახელმწიფოს.

— სრული სიმართლეა, მაგრამ გასაშუქებელი აპარატი მთელი დედამიწის ზურგზე ყველამ იცის, და ამას გარდა, ეს ჩვენთან არც კი გამოგვიგონია, მგონია, ვიღაც ოჯახაშენებულმა რენტგენმა...

— არა, ის ხომ ყველამ ვიცით, აი, ეგ — ავსა და კარგ კაცს რომ არჩევს.

— აპარატი არაფერს არ არჩევს, ისეთივეა, როგორიც ყველგან.

— ავადმყოფის გასაშუქებლად რომ იყენებენ?

— სწორედაც, მაგრამ ჩვენ საზღვარზეც გვაქვს...

— იმდენად გააუმჯობესეთ, სინდის-ნამუსის ამოცნობაც შეუძლია და კაცობრიობას უმალავთ?

— არავითარი! აქ, საზღვარზე ჩვენ მხოლოდ კუჭს ვაშუქებთ.



— და ამით ატყობთ, ადამიანს გულში რა უდევს და ტვინში რა უტრიალებს?

— ჩვენ დადგენილი გვაქვს პატიოსანი კაცის კუჭის ზომა. თუ ამ ზომას გადააჭარბა, აინთება წითელი ნათურა და გავაბრუნებთ უკან.

— კი მაგრამ, მარტო კუჭით...

— კუჭია, ძვირფასო სტუმარო, ადამიანის დაუძინებელი მტერი.

— ვიცი, კუჭი დიდი ვერაგი და დაუნდობელია, ისიც კი გამიგონია: მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორია.

—დიახ, დიახ! ნაღორები კუჭი დიდი იზრდება, პატრონი მის ამოსაყორად ვერაგი და დაუნდობელი ხდება, და რა გასაკვირია, მუცელღმერთა გადამთიელს თუ კარებს ფართოდ არ ვუღებთ.

— კი მაგრამ, მარტო კუჭით?..

— მხოლოდ და მხოლოდ ავმუცლობით... აბა, თქვენ თვითონ თქვით, ყოველ ადამიანს შეუძლია ერთი კაცის სამუშაო შეასრულოს?

— რა თქმა უნდა.

— თუ ორი კაცის ულუფას ნთქავს!

— ორი კი არა, ზოგი სამისასაც მიირთმევს და მეტსაც.

— ესე იგი ვისას ჭამს?

— ალბათ სხვისას...

— რაა აქ საალბათო და საეჭვო? სხვისას ჭამს, სხვის ლუკმას ნთქავს, მაშასადამე, ვიღაცამ უნდა იშიმშილოს, ხომ?

— ალბათ... შეიძლება...

— ნუ დაგიჩემებია „ალბათ“, „შეიძლება“. ორჯერ ორი ოთხი რომაა, ეს თუ არ იცი, ორი რომ ორზე გავყოთ, რამდენია?

— მაგდენი კი ვიცი, შე კაი კაცო.

— თუ ეს იცი, ის რატომ გეალბათება, ორი კაცის ულუფას რომ ერთი ჩასანსლავს, რა ჰქვია ამას?

— უნამუსობა, სინდისგარეცხილობა, გათახსირება, ვერაგობა და მტრობა იმისა, ვისიც მიიტაცა და თვითონ ჩათქვლიფა.

— გცოდნია, შე ოჯახაშენებულო, და რას მაყაყანე ამდენი. ესეც ხომ გასაგებია, რომ ამისთანა მუხანათი თავის ქვეყანაშიც არაა გასაჩერებელი და ჩვენ რა თავში ვიხლით. რა კარგს უნდა ველოდეთ მისგან, რომ შემოვუშვათ და ჩვენი ხალხის ნაოფლარი და ნაჭირნახულევი ჩავახეთქოთ? ამას გარდა, ის ქვეყნის ვერავითარ ღირსებას ვერ დაინახავს, მხოლოდ ჭამა-სმის ამბავს წაიღებს. თუ მაგრად გავაძღობთ, მოვეწონებით, თუ ჩვეულებრივი ადამიანის ულუფას დავაჯერებთ — გაგვლანძღავს.

— არ შეიძლება, ღორმუცელაც იყოს და ჭკუაც მოეკითხებოდეს?

— ასე გვეგონა ჩვენც... — გაასავსავა ხელები დარბაისელმა მესაზღვრემ. — ერთხანს ტვინსაც ვაშუქებდით, მაგრამ ახლა აღარ ვიწუხებთ თავს. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რამდენი ადამიანს დიდი ფაშვი აქვს, იმდენი — პატარა და გლუვი ტვინი.

ვაბამ ამ მომცრო ბარათს მტრედს და ვუშვებ. ვერ ვიტყვი, რომ მესაზღვრის ნათქვამი მთლად დავიჯერე, მაგრამ ისიც მგონია, არც ამის ცოდნა გვაწყენდა-მეთქი.

პირდაპირ არ ვიცი, რა ვქნა. მეშინია, მთელი სიცოცხლე მოგზაურად და მოხეტიალედ არ დავრჩე, იმდენ უცნაურობასა და საოცრებას ვაწყდები გზადაგზა. კუჭის — სტომაქის გაზომვა და ამით სინდის-ნამუსიანობის დადგენა გაგონილა?

## საკუთარი ფიქრისა და აზრის კაცის ამბავი

გაშუადღდა. ახლომახლო იმ ერთი მომცრო ხის მეტი არაფერი ჩანდა და თავი შევაფარე, მაგრამ ვიღაცა ჩემისთანა მოხეტიალეს უკვე მოესწრო ჩრდილში მოკალათება. მივესალმე და ვუთხარი: თუ ნებას მომცემ, მტრედებიან გალიას ტოტზე დავკიდებ-მეთქი.

თავი დამიქნია.

— თუ თქვენს მყუდროებას არ დავარღვევ, მეც აქვე ჩამოვჯდები.

აიმრიზა, მაგრამ დამეთანხმა.

ჩამოვჯექი, მოვითქვი სული. მასპინძელი დუმს, შევისვენე, არავინ ხმას არ მცემს. ახლა აქ ხომ ვერ დავალამებ და ასე დაუზრებულებივით რომ ვსხედვართ, ავწრიალდი, ჩავახველე, ხმა ჩავიწმინდე. დამხვდურს, ეტყობა, არავითარი სურვილი არა აქვს მუსაიფი წამოიწყოს. ისევ მე გავტეხე ნავსი...

— ისვენებთ, არა?

არაო, თავი გაიქნია.

გამეღიმა.

— როგორ არა, ორივე ვსხედვართ, ზიხარ...

— ვზივარ, მაგრამ ვფიქრობ, ვაზროვნებ, ვცოცხლობ...

— კი მაგრამ, არაფერს აკეთებ, დაღლილი ხარ და, სანამ გზას დაადგებოდე, ისვენებ.

— თუ მუხლსა და მკლავს ძალა არ ადგას, არაფერს ვაკეთებ? თუ ჭკუას ვამუშავებ, უსაქმური ვარ?!

— თუ ჭკუით ქვეყანას ატრიალებ და აშენებ, რა თქმა უნდა, იოლი საქმე არაა, — არ მეამა, როგორ მელაპარაკება ეს კაცი-მეთქი.

— რომ ვირბინო, ქვეყანას ამით კი ავაშენებ?

— არა, მაგრამ დაიღლები.

— ფიქრით, აზროვნებით და სიცოცხლით არ შეიძლება დაღლა?

— გააჩნია, რა მოიფიქრე, რა მოიაზრე და როგორ იცოცხლე.

სანახევროდ ჩემკენ მობრუნდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიქნია.

— რაღაც გინდოდა გეკითხა.

— ჰო, მაგრამ გადავიფიქრე.

— რატომ, შე კაცო, გეთქვა, მაინც ტყუილა ვართ.

— ტყუილა არა ვარ-მეთქი, გითხარი მე შენ!

— ჰო, კი მითხარი... — მოვუბოდიშე, უფრო იმიტომ, არ გამენაწყენებინა და ისევ ზურგი არ შემოექცია.

— ჰოდა, ყრუსთვის ორჯერ არ რეკავენ. თუმცა, მართალი უნდა ვთქვა, მშურს მათი.

— ყრუების?

— ჰო, ვინც დარბის, დაჯლიგინობს, იღლება, ჯდება, წვება და ისვენებს.

— შენ როცა ზიხარ, მეტს ფიქრობ და უფრო იღლები?

— ნადირი ადამიანზე მეტს დაძუნძულებს, მაგრამ წვება და ისვენებს. ადამიანი ცოდვაა.

— რა თქმა უნდა, ვინც ფიქრობს და აზროვნებს...

— ადამიანი-მეთქი, ხომ გითხარი!

— დიახ, დიახ! — ისევ მოვუბოდიშე, რომ როგორმე ხმა არ ჩაეკმინდა.

მაინც არაფერი უთქვამს, მეც ერთხანს ვდუმდი, მაგრამ საზღვარი აქვს ყველაფერს.

— საიდან მოდიხარ, ან საით მიეშურები? —მოკრძალებით ჩავილაპარაკე. — იქნებ ერთი გზა გვაქვს და, მოგეხსენებათ, კაცი კაცის იმედია.

— არ ვიცი, საიდან მოვდივარ, ან სად მივდივარ, მაგრამ ერთი გზა რომ არ გვაქვს, ვიცი.

მე ისევ გამეღიმა.

— თუ ისიც არ იცი, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ, ის როგორ უნდა იცოდე, ერთი გზა გვაქვს თუ არა?

მთლიანად ჩემკენ მოტრიალდა.

— შენ საიდან მოდიხარ?

— ჩემი ქვეყნიდან.

— შენს ქვეყანაში საიდან მიხვედი?

დავიბენი.

— ახლა, ასე...

— არ უნდა ამას „ასე და ისე“. არავინ არ იცის, საიდან მოვიდა და სად მიდის...

— მაგრამ მე ვიცი, ვმოგზაურობ... სხვადასხვა ქვეყნის სტუმარი ვარ.

— ყველანი ვმოგზაურობთ ჩვენ და ყველანი სტუმრები ვართ.

— კი, ესეც გამიგონია, „წუთისოფლის სტუმრები ვართო“...

— ჰოდა, თუ გაგიგონია, ცალ ყურში რომ შეუშვი, მეორეში რატომ გაუშვი?

— რომ გამეშვა, არ მეცოდინებოდა.

— მაშინ, რატომ გაგიკვირდა, რომ გითხარი, არ ვიცი, საიდან მოვდივარ და სად მივდივარ-მეთქი?

— არა, ასე თუ ვიმსჯელებთ...

— აბა, როგორ გინდა შენ, რომ ვიმსჯელოთ. დავადვათ თავი, ვირბინოთ, ვიტრიხინოთ, რაც მოვიხელთოთ — შევჭამოთ, შევსვათ და არ ვიფიქროთ და ჭკუას ძალა არ დავატანოთ?

— ჰო, მაგრამ, რაკი არ ვიცით, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ, ასე შეიძლება კაცმა ხელი სულ ჩაიქნიოს... დაჯდეს ამ ჩრდილში და ელოდოს აღსასრულს.

— აღსასრულს კი არ უნდა ველოდოთ, — უნდა ვებრძოლოთ!

— კი მაგრამ, აღსასრულთან ბრძოლა ხმლით შეიძლება, თოფით თუ ზარბაზნით?

— ხმლით, თოფით და ზარბაზნით აღსასრულს კი არ ებრძვიან, აჩქარებენ და იახლოვებენ!

— აბა როგორ მოვიქცეთ, რით ვებრძოლოთ?

— ფიქრით და აზრით, არ გითხარი ეს მე შენ?!

— კი, რაღაც ამდაგვარი კი თქვი.

— აბა, უფრო გასაგებად გეტყვი.

— მიქენი სიკეთე.

— ცხოველი რომ დარბის, დაძრწის, ნთქავს და თქვლეფს, როცა კვდება, რა რჩება მისგან?

— რა რჩება?

— ლეში, შე უბედურო, გაანძრიე ტვინი.

— კი, ეს რა თქმა უნდა.

— მერე, რა საჭიროა ეს ლეში?

— არაფერი, ვის რად უნდა!

— რა არ უნდა, ცხოველის ლეშია: მწვადი, ყაურმა, ბუღლამა, ქაბაბი...

— ხარჩო, კუპატი, ხაში...

— და აქედან გამომდინარე?

— აქედან გამომდინარე... — ისევ ულმერთოდ დამაბნია ამ ჩემი ცოდვით სავსემ.

— ცხოველის ლეში... ესე იგი: ხორცი, ტყავი და ძვალიც საჭიროა, მაგრამ რა საჭიროა ცხოველი — ადამიანის ლეში?

— დაბეჯითებით ვიცი, არაფერი საჭირო არ არის.

— აგაშენა ღმერთმა! კიდევ უარესი: რამდენი უფრო ნაპატიები და მსუქანია, იმდენი ძნელი გადასათრევია.

— აჰ, ადამიანზე ასე ლაპარაკი, როგორ გეკადრებათ?!

—ადამიანი ვინ თქვა, მე ორფეხა ცხოველზე გელაპარაკები, ამდენი ვერ უნდა გაიგო?!

— ჰო, ცხოველზე შეიძლება.

— ახლა ადამიანზე გეტყვი.

— ბრძანე, ბატონო, მაგრამ ის არ თქვა გარდაცვალების მერე სულ აღარაფერი რჩებაო.

— ვინ თქვა ეგ! ადამიანისაგან რჩება სწორედ ის, რაც არ გვასვენებს და დამჯდარსაც და დაწოლილსაც ქანცს გვაცლის.

— ან ხელგადახვეული-მეთქი?

— ხელგადახვეულს და გულში ჩაკრულს რა ჯობია?!

— ფიქრს და აზრს მარტოობა უნდა, ორი კაცი რომ ერთ ბილიკზე და ერთ შარაზე დატანტალებს ხელგადახვეული და გულში ჩაკრული, მათი ფიქრი და აზრი ერთმანეთს უახლოვდება და ერწყმის.

— კიდევ უკეთესი! — წამოვიყვირე გახარებულმა.

— რაა უკეთესი? — თავი მოაბრუნა და ცერად ამომხედა. — რად მინდა მე შენი აზრი და შენ ჩემი? მე შენი აზრი დავტოვო ამ ქვეყანაზე, როცა ლეშად ვიქცევი?!

— არა, შენ შენი დატოვე.

— თუ ჩემი აღარ მექნა?

— გამოდის, რომ კაცი კაცს არ უნდა წაეკაროს?

— ვინ მოგახსენა. არ ვიყავით აგერ ერთად? არ ვმუ-



— ფიქრი და აზრი?!

— აჰა, მგონი მიგახვედრე რაღაცას, მაგრამ... როგორ თქვი? „გააჩნია, რა მოიფიქრე, რა მოიაზრე და როგორ იცოცხლეო“.

— ესე იგი, ნაკაიკაცარი...

— აი, ეს მომეწონა. რაო, რა თქვი?

— ნაკაიკაცარი!

— კარგი სიტყვაა, ტევადი, პირველად გავიგონე. არ უნდა ჩამოთვლა —-ფიქრი, აზრი, საქმე, ჭკუა, გონება, სიკეთე, სიბრძნე... ყველაფერს იტევს, ნაკაიკაცარი... — შებრუნდა, ზურგი შემაქცია და ჩაფიქრდა.

— ჰო, მაგრამ, გზას უნდა გავუდგე... — წამოვდექი, ნაბადი მოვიგდე, გალია ზურგზე მოვიკიდე. — თუ შენც აქეთ მოდიოდი...

— ჩვენ ყველას ერთი გზა გვაქვს-მეთქი, არ გითხარი?! ამის თავში რომ ვერაფერი შევდენე!

— ჰოდა, წავიდეთ ბარემ.

— ხომ არ გაგიჟდი! ის გითხარი, შენს ნაკვალევზე ვივლი-მეთქი?

— ნაკვალევი არც მე მითქვამს.

საიფობდით? მე ჩემი არ ვთქვი და შენ შენი? ახლა რა ვქნათ მერე, გადავეფსკვნათ ერთმანეთს, ვისაც ჩვენისთანა უგზო-უკვლოს ვნახავთ, გამოვიბათ კუდში, ერთნაირად ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ, ერთნაირად ჩავიცვათ და დავიხუროთ, ერთნაირად ვჭამოთ და ვსვათ? ასე ხომ ნახირად გადავიქცევით! წადი, დაიღუპე აქედან და დღეის ამას იქით არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!.. დავჯექი აგერ ჩრდილში, რაღაც ისეთი მინდოდა მომეფიქრებინა, ჩემს მერე რომ დარჩებოდა, ჩემი სახელი ერქმეოდა და არ გამიწყალა გული? დუტ! შენთან დავიბადე და შენთან გავიზარდე, რომ შენ გდიო და შენს გვერდით შენნაირი მოვკვდე? კიდევ აქ დგახარ? ახლავე გამეცალე აქედან!

რა ჯანი მქონდა, ჩემს რკინის ჯოხს ხელი წამოვუსვი და იქაურობას სულ ბუნძულ-ბუნძულით გავეცალე. უკან რომ მოვიხედე, გზას ისიც დადგომოდა, მაგრამ სულ სხვა, საპირისპირო მხარეს მიეშურებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ზნეობის ანბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალდებული ხარ!!! ეს სიტყვები თითოეულ ჩვენგანს ადრე ბავშვობიდან ესმის. ხშირად, უკვე მოზრდილებიც კი, მტრულად ვართ განწყობილი ბევრი ისეთი რამის მიმართ, რაც განისაზღვრება სიტყვებით: „უნდა გააკეთო“, „ვალდებული ხარ“.

მაგრამ თუ ადამიანმა იცის თავისი მოწოდება და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას ირგვლივ მყოფთა მიმართ, იგი დიდი სიამოვნებით, ინტერესით და მონდომებით გააკეთებს იმას, რაც ევალება. ასეთი ადამიანისათვის „მინდა“-სა და „უნდა გავაკეთო“-ს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. სწორედ ასეთი ადამიანები შეადგენენ საზოგადოების ღერძს, მის ხერხემალს.

მე მქონდა ბედნიერება შევხვედროდი და კიდეც დავმეგობრებოდი ბევრ ასეთ ადამიანს.

სწორედ ერთ-ერთ მათგანზე მინდა გიამბოთ. მაგრამ თავდაპირველად ორიოდე სიტყვით გეტყვით, თუ როგორ იცვლებოდა და ხორცს ისხამდა თვით ჩემში მოვალეობის ცნების ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ჩემდა ბედად, აბსოლუტურად ჯანმრთელი დავიბადე, საკმაოდ შრომისმოყვარეობა და სწავლის ნიჭიც დამყვა. ჩემი „მინდა“ თითქმის ყოველთვის ემთხვეოდა იმას, რაც ვალდებული ვიყავი გამეკეთებინა. ბავშვობაშივე გამიტაცა ოცნებამ, მფრინავი გავმხდარიყავი. გავხდი კიდეც და ამაში ვპოვე ჩემი მოწოდება. წინათაც და ახლაც საფრენოსნო ოსტატობის უმაღლეს საფეხურად ითვლება მფრინავ-გამომცდელის მუშაობა. მე მოვინდომე ამ საფეხურის დაძლევა და დავძლიე.

ის-ის იყო დაიბადა პარაშუტიზმის ერა, და მე ერთ-ერთი პირველი ვხტებოდი პარაშუტით, საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორიც კი გავხდი. არასოდეს არ მიფიქრია, რომ ვალდებული ვიყავი ეს მეკეთებინა, გულით მინდოდა ამის გაკეთება და ჩემი სურვილის წინაშე ქედს იხრიდა ყველა წინააღმდეგობა.

სამართლიანად იტყვის ხალხი, ბედნიერება, რომელიც ხელთ გაქვს პატარა გეჩვენებაო. პარაშუტისტი, მფრინავი გამომცდელი — თითქოს მეტი რა უნდა 30-იანი წლების ახალგაზრდას? მაგრამ აი მთელ მსოფლიოში გადაიარა ჩელუსკინელთა ეპოპეამ და ხალხის მხურვალე ინტერესი მიაპყრო არქტიკის ათვისების პრობლემას. მეც გა-




## მოვალეობა —

ვალდებულება ვინმეს ან რაიმეს (სამშობლოს, ხალხის, ოჯახის და ა. შ.) წინაშე, პარტიული, პატრიოტული, მეგობრობის, ღირსების ვალი.

მიჩნდა სურვილი მეფრინა ველური, აუთვისებელი ჩუკოტკის თავზე.

იმხანად არქტიკა უკაცრიელი, იდუმალებითა და ფათერაკებით აღსავსე მხარე იყო. არქტიკაში იღუპებოდნენ ცალკეული გაბედული მკვლევარებიც და მთელი ექსპედიციებიც. დაღუპვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ ხომალდ „ჩელუსკინის“ ეკიპაჟი და მგზავრები. 1934 წლის თებერვალში „ჩელუსკინი“ გასრისა ჩუკოტკის ზღვაში მოდრეიფე ყინულის ლოდებმა.

საბჭოთა მთავრობამ ყველაფერი იღონა, რომ სიკვდილისაგან ეხსნა თავისი 100 თანამემამულე. ეს ამბავი ისტორიაში შევიდა „ჩელუსკინელთა ეპოპეის“ სახელით, ხოლო შვიდი მფრინავი, რომელთაც ჩელუსკინელები იხსნეს, საბჭოთა კავშირის პირველი გმირები გახდნენ. იმ დროიდან მოკიდებული, ჩრდილო საზღვაო გზის ათვისება ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად იქცა მაგნიტკის, დნეპროჰესის და პირველი ხუთწლედების სხვა დიადი მშენებლობების გვერდით. პარტიის მოწოდებით ათასობით ახალგაზრდა წავიდა არქტიკაში სამუშაოდ. მათ შორის აღმოვჩნდი მეც. მალე ჩუკოტკაში გამაგზავნეს. მოსკოვიდან მატარებლით გადავიარეთ მთელი ჩვენი ქვეყანა და ვლადივოსტოკში ჩვენი თვითმფრინავებით ხომალდ „ოხოტსკზე“ დავიტვირთეთ. ბოლოს ჩვენი ქვეყნის კიდეზე — ანადირში მივედით. ...ცამეტი დღე ისე მივცურავდით, ნაპირი არ დაგვინახავს, ბოლოს ექვსი დღე-ღამის მანძილზე ბერინგის ზღვაში ჩვენს გემს საშინელი ქარიშხალი ნაფოტივით ათამაშებდა. მეთოთხმეტე დღეს, როგორც იქნა გა-

ვედით ციკლონიდან; მზემ გამოიხედა, ზღვამ დამშვიდება დაიწყო. შტორმისგან ქანცგაწყვეტილი მგზავრები, როგორც ხოჭოები ნაზამთრალზე, გემბანზე ამოვხოხდით. გემი ნაპირს უახლოვდებოდა. რატომ? ანადირამდე ხომ კიდევ ორი დღე-ღამის სავალი იყო. აი გემის სვლაგეზი გადაკვეთა კლდოვანმა შვერილმა, რომელიც შორს, აღმოსავლეთისაკენ გრძელდებოდა. კლდის პირიდან ორიოდე კილომეტრზე, კუთხეში ღუზა ჩავუშვით.

მატერიკის მჩქეფარე ცხოვრებიდან მოსული კაცის თვალწინ გადაიშალა პირქუში და ეგზოტიკური ქვეყანა — მთაგორიანი ნაპირი, რომელსაც აქაფებული ტალღები ასკდებოდა, თვალუწვდენელი სივრცე და უსიცოცხლობა. მხოლოდ ზღვა, ცა და ყალყზე შემდგარი მიწა. ერთი შეხედვით აქ თითქოს არც იყო ადამიანის არსებობის პირობა.

მაგრამ ისეც ხომ არ ხდება, რომ აუცილებლობის გარეშე ხომალდი ასეთ უკაცრიელ ადგილზე გაჩერდეს.

დაჟინებით რომ დავაცქერდი კლდეებს შორის ნაპრალს, ადამიანის ხელით ნაგების მსგავსი რამ შევნიშნე. „ოხოტსკმა“ ხუთი საყვირი მისცა და ნაპირს ნავი გამოეყო. ის იმდენად პაწია იყო, რომ გეგონებოდა მასში მსხდომ სამ ადამიანს არავითარი საყრდენი არ გააჩნდათ და პირდაპირ წყალზე მოდიოდნენ ფეხად. ტალღა ხანდახან ქეჩოზე რომ მოიგდებდა ნავს, ჩვენ შიშით გული გვეწურებოდა. მაგრამ ნავმა, როგორც იქნა, მოაღწია და ჩვენ უკვე კარგად გავარჩიეთ სამი წვეროსანი კაცი, რომლებიც ენერგიულად იქნევდნენ ნიჩბებს. კაპიტანმა ბრძანება გასცა საპარადო ტრაპი ჩაეშვათ.

გემბანზე პირველი ამოვიდა დიდ, წაბლისფერწვერიანი კაცი. ერთი შეხედვით ასე ოცდათხუთმეტი წლისა. თავზე კაპიტნის ქუდი ეხურა ლითონის სამკუთხა ნიშნით, რომელზეც გამოყვანილი იყო სამი ასო. — СМП, რაც „ჩრდილოეთის საზღვაო გზას“ ნიშნავდა. აი, სწორედ აქ უნდა გვემუშავა ჩვენ, ვინც ჩუკოტკაში ჩამოვედით. გემბანზე უფროსის თანმხლებნიც ამოვიდნენ — ერთი შავწვერა და მეორე წითურწვერიანი კაცი და გვერდით დაუდგნენ მას. უნებლიედ მომაგონდა ვასნეცოვის სურათი „სამი დევგმირი“, ოღონდ ჩემს წინ ამ გოლიათების ჩრდილოეთური ვარიანტი იყო.

დაწვრილებით არ გიამბობთ, როგორ

გადავედი ნაპირზე, როგორ აღმოვჩნდი ღატაკურ სადგომში, როგორ გამოვესაუბრე მოზამთრეთა უფროსს იგორ არდამაცკის. გამოირკვა, რომ ის იყო 1933 წელს ჩუკოტკაზე, ჟელენში პირველი პოლარული სადგურის ერთ-ერთი დამაარსებული. 1934 წელს მონაწილეობდა ჩელუსკინელთა გადარჩენაში; მოსკოვში დაბრუნებისთანავე თურმე სასწრაფო დავალება მიეღო — დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ვლადივოსტოკში და პოლარული სადგური მოეწყო აქ, ამ ადგილას, სადაც 1935 წლის სექტემბერში შევხვდით.

დამამახსოვრდა ამ პიროვნების დამახასიათებელი ყველა შტრიხი. არცთუ ისე იშვიათად, ადამიანზე პირველ შთაბეჭდილებას მისი ხელების მიხედვით იქმნიან. დიდი ხელები ძალისა და ვაჟკაცობის ნიშანია. გრძელი, შხვართი თითები თითქოსდა პიროვნების მუსიკალობაზე მიგვანიშნებენ. და ა. შ. არდამაცკის ხელები სიდიდით არ გამოირჩეოდნენ, ის ტანადაც არ იყო დიდი, მაგრამ უდრეკობას, სიმტკიცეს, სულიერ გამძლეობასა და ხასიათის სისრულეს კი ჭარბად მეტყველებდა მისი ხელების „ქცევა", ეს ხელები მშვიდად ეწყო ხან ზურგს უკან, ხან ჯუბის ჯიბეებში. ქარდაკრული, დამაშრული, კოჟრებით და ნაჭრილობებით დაფარული ეს ხელები მოწმობდნენ, რომ ეკუთვნოდნენ კაცს, რომელიც ბევრს და მძიმედ მუშაობდა.

გადაჭარბებულ სიტყვაუხვობას მოკლებული, მოზომილი სიტყვა-პასუხი აჩენდა ინტელიგენტ, განათლებულ კაცს. დამაჯერებელი იყო მისი საუბრის მანერა. ლაპარაკობდა დაბალი, თანაბარი ხმით აფექტაციის გარეშე, და მისი ნათქვამი მუდამ დამარწმუნებელი იყო.

მოვალეობის თემის გახსნის მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ჩვენი საუბრის ბოლო ნაწილი და ჩემი აზრი მის შესახებ. მე შევეკითხე არდამაცკის:

— იგორ ლეონიდოვიჩ! რატომ წამოხვედით ამ ღმერთისა და კაცისაგან მიტოვებულ მხარეში, რატომ გასწიეთ ასეთი დიდი რისკი?

— ის, ვინც რისკზე არ მიდის, არც იგებს და არც აგებს. ჩვენ კი, როგორც ხედავთ, მოვიგეთ, ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა შევასრულეთ. მაშასადამე რისკი სულელური არ იყო. მთავარი კი ის არის, რომ თვით ოტტო იულის ძე შმიდტმა დაგვავალა ეს საქმე. მე პარტიის წევრობის კანდიდატი ვარ და როგორ შემეძლო დაბრკოლებების წინაშე უკანდახევის გამართლება? ჩვენ ხომ ყველანი მოხალისედ წავედით, გულის მოწოდებით, ისიც კარგად გვესმოდა, რომ არქტიკა მოსკოვის მიდამოებში სეირნობა არ იყო.

— ახლა როგორ უყურებთ იმას, რაც გადაგხდათ?

— არ მოგატყუებთ, ყველაფრის თავიდან გამეორებას ვერ გავბედავდი, მაგრამ რისი გაკეთებაც შევძელი, იმით კი ვამაყობ. სიცოცხლეში ერთხელ მაინც, ყველა ადამიანი უნდა დარწმუნდეს, რის ძალა შესწევს მას, ასე არ არის? ყველაზე მეტად კი, ის მეამაყება, რომ ასე გამიმართლა ამხანაგებში. გვიჭირდა, მაგრამ ზამთარი ღვიძლი ძმებივით გავიტანეთ. ჩვენი ყოფა აქ ნამდვილი ბრძოლა იყო — სტიქიასთან, უბედურ შემთხვევებთან, ყველაფერთან, რაც ხელს გვიშლიდა ჩვენი მოვალეობის შესრულებაში.

— მაინც სტიქიასთან ბრძოლა ხომ არ იყო მთავარი?

— რასაკვირველია არა. სიძნელეებს წავაწყდით ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, როცა ნაპირზე ასე თუ ისე მოვეწყვეთ და ქარბუქისა და ყინვისაგან დაღუპვის საშიშროება აღარ გველოდა. მაგალითად, სახლში გაზაფხულამდე საშინელი ნესტი იდგა. ტანსაცმელი და ლოგინი გამუდმებით ნოტიო იყო. მთელი წლის მანძილზე არ ვიცოდით ნამდვილი პურის გემო და ნავთქურაზე გამომცხვარი ლავაშებით გავდიოდით იოლად. მხოლოდ თვეში ერთხელ ვიმეტებდით ნახშირს წყლის გასათბობად, რომ გვებანავა. ყველა უხერხულობას ახლა ვერც ჩამოთვლის კაცი, და ყველაფერ ამას თითოეული ჩვენთაგანი, რვა კაცი სხვადასხვანაირად ვიტანდით. ჩემთვის, მაგალითად, ყველაზე ძნელი აღმოჩნდა ამ სრულიად სხვადასხვა ადამიანების ხასიათის შეთავსება. ცხადია, იყო წყენაც, მაგრამ იგი არასოდეს გადაზრდილა მტრობასა და სიძულვილში. აი რა არის მთავარი!

მე წამიკითხავს ჯეკ ლონდონის ჩრდილოური მოთხრობები, პოლარული ექსპედიციების დრამატული ანგარიშები, მსმენია უკვე ჩვენ დროში ტრაგიკული ზამთრობის შესახებაც. ერთი შეხედვით, თითქოს არქტიკის პირობები წინასწარვე სწირავდა ადამიანს უბედურებისათვის. ამიტომ არდამაცკის მონათხრობში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არა ის, რა გადახდათ მოზამთრეებს თავს, არამედ ის, თუ როგორ გადაიტანეს მათ ეს სიძნელეები. „მთელი ზამთარი ღვიძლი ძმებივით გავატარეთო!" — თქვა მან.

უთუოდ ჭეშმარიტების ღალატი იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ მისი დამსახურება იყო, მისი „ბიჭებიც" ვაჟკაცურად იტანდნენ ამ სიძნელეებს, რადგან თითოეული მათგანი თავს არქტიკის ათვისების მოწინავე ხაზის მებრძოლად თვლიდა. არდამაცკის კი მომადლებული ჰქონდა უნარი, დაერწმუნებინა და ერთმანეთისათვის შეეთავსებინა „მინდა" და „საჭიროა". არამარტო საკუთარ თავში, ყოველგვარ საქმეში ის პირველი იყო და ამით ვაჟკაცობისა და სიმტკიცის მაგალითს აძლევდა სხვებს.

უეჭველია მისმა პიროვნებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სხვადასხვა ხასიათის ადამიანების ერთ კოლექტივად შეკვრაში. მხოლოდ კოლექტივს შეეძლო დაეძლია ის, რაც მან მიამბო, მაგრამ რა განაპირობებდა თვითონ ამ ადამიანის მოქმედებას, რა სიტყვები გამოსახავენ სრულად იმას, რაც მან მოიმოქმედა? აქ ყველაფერი იყო: ვაჟკაცობა — როდესაც საჭირო იყო უბედური გარემოებების წინაშე ქედმოუხრელობა. გმირობა — როდესაც იქმნებოდა ამ გარემოებებზე იერიშის მიტანის შესაძლებლობა. სიმტკიცე და ხელმძღვანელის, ო. შმიდტისადმი მიცემული სიტყვის ერთგულება, ერთგულება ამხანაგებისა, რომლებსაც სჯეროდათ მისი, ერთგულება ფიცისა, რომელიც მან მისცა პარტიას, როცა მის რიგებში შედიოდა.

სიტყვა „მოვალეობა" ჩემს წინაშე წარმოჩნდა მთელი მისი მაღალი მნიშვნელობით, გაწმენდილი ყველა სხვა შესაძლო მომენტის — ანგარების, პატივმოყვარეობის, შიშის, იძულებისაგან.

ჩვენი საუბრის დასასრულს გავბედე და შევეკითხე, რამდენი წლისა ხართმეთქი. „უკვე არცთუ ისე ცოტა — ოცდასამისა". — მიპასუხა მან .

გაკვირვება ვერ დავმალე... მეგობრულად დავცილდით ერთმანეთს. არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ შევხვდებოდით.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთი წლის შემდეგ ბედმა კვლავ შეგვყარა და მას შემდეგ არდამაცკის მთელმა ბიოგრაფიამ უკვე ჩემს თვალწინ გაიარა. იგი ყოველთვის ასრულებდა საბჭოთა ადამიანის მოვალეობას. გაუძლო ათას განსაცდელს არქტიკასა თუ სამამულო ომში. ახლა იგი სამოც წელს გადაბიჯებულია. ახლახან დაანება თავი სამსახურს, სსრ კავშირის მეტეო სამსახურის მთავარ სამმართველოში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მოგვიანებით მე კიდევ ბევრი გასაოცარი გმირობის ადამიანს შევხვდი არქტიკაში, მაგრამ ამ პირველმა შეხვედრამ, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში სიმტკიცის ნიმუშმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

მ. კამინსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ამაგდარნი

# მემკვიდრედ დარჩა მხოლოდ მუსიკა

Რედაქციაში ყოველი ავტორი თავისებურად შემოდიოდა, ისინი თავიანთ ნაწარმოებთა თავისებური პროპაგანდისტებიც იყვნენ. ასეთი იყო ერთი პატარა ქალიც. პატარა-მეთქი, რომ ვამბობ, ამაში ვგულისხმობ მის ფიზიკურ აგებულებას, თორემ თავისი შემოქმედებით ის ნამდვილად დიდი ადამიანი იყო. შემოვიდოდა თუ არა ეს პატარა ქალი რედაქციაში, მაშინვე განსაკუთრებული მხიარულება დატრიალდებოდა. რამდენიმე საბავშვო ჟურნალის რედაქცია იყო ერთად მოთავსებული და მათი ყველა თანამშრომელი იქ მოგროვდებოდა ხოლმე, რომელ რედაქციაშიც ის მივიდოდა.

ეს იყო კომპოზიტორი თამარ შავერზაშვილი.

მუდამ მხიარული განწყობილება იხატებოდა მის შავგვრემან სახეზე. საუბარს რომ დაიწყებდა, რომელიც მხოლოდ მუსიკოსებს და მუსიკას შეეხებოდა, ნამდვილად მოიხიბლებოდით.

თამარ შავერზაშვილი ახალდაწერილ ნოტებს რომ მოიტანდა, როგორც წესი, ჯერ იმ ლექსს წაიკითხავდა, რომელიც სასიმღეროდ ჰქონდა გამოყენებული. ახლა რომ ვუკვირდები მის მოქმედებას, ჩემთვის ნათელი ხდება, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი სიმღერის ტექსტს. მის დაწერილ ნოტებს პირველ რიგში ლექსის ავტორი ეწერა, ხოლო შემდეგ — მუსიკისა. ლექსი გასაგები იყო ჩვენთვის, მაგრამ რა ჰანგზე იმღერებოდა, ეს არ ვიცოდით, რადგან ნოტს ვერ ვკითხულობდით. ამიტომ თამარი იტყოდა ხოლმე:

— რედაქციაში რომ გქონდეთ პიანინო, დავუკრავდი, მაგრამ ახლა რა ვქნა? მე არ ვმღერი, თუმცა, როგორც შემიძლია, უნდა ვიმღერო.

წასათამამებლად ჩვენც ვეტყოდით:

— ქალბატონო თამარ, იმღერეთ, იმღერეთ როგორც შეგიძლიათ! — გვინდოდა გაგვეგო, როგორი იქნებოდა ის სიმღერა ბავშვებისათვის.

ისიც მაშინვე მთელ სიმღერას ბოლომდე ჩაიღიღინებდა.

წლების მანძილზე რედაქციის მუშაკები იმდენად დავუახლოვდით თამარს, რომ კარგად შევისწავლეთ მისი მუშაობის მეთოდი. ბევრჯერ შინაც მივუწვევივართ და პიანინოზე დაკვრით შეუსრულებია ახალი სიმღერა, ზოგიერთ ადრინდელ, განსაკუთრებით თავის საყვარელ ნოტებსაც გადმოიღებდა და მოგვასმენინებდა.

თამარ შავერზაშვილი პოეტების ნამდვილი მეგობარი იყო. კითხულობდა ჩვენი პოეტების ყოველ ახალ ლექსს და სასიმღეროდ არჩევდა რომელიმეს. მას არ ჰქონდა არც ერთი შემთხვევა, ჯერ მუსიკა დაეწერა და მერე მიემართა პოეტისათვის თხოვნით, ლექსი დამიწერეო. მას სასიმღეროდ აღებული აქვს თავისი თანამედროვე პოეტების: შიო მღვიმელის, გიორგი ქუჩიშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ლიდია მეგრელიძის, გიორგი კაჭახიძისა და სხვათა ლექსები.

თამარი სიამოვნებით იგონებდა თავისი მუსიკალური მოღვაწეობის დაწყებას.

აი, ერთ-ერთი ეპიზოდი მისი ნაამბობიდან:

„ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდას, როცა საზოგადოებაში არც ვიყავ გამოსული, მუსიკის გარდა ლექსების კითხვა მიყვარდა. იმ დროს ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ლექსი იყო იოსებ გრიშაშვილის „ლერწამი ხარ“. ეს ლექსი ზეპირად ვისწავლე, ხშირად წარმოვთქვამდი ხოლმე და ჩემში თავისთავად გამომუშავდა მასზე მორგებული კილო თუ ჰანგი.

**ლერწამი ხარ ტბის ასული,**
**ცად ასული, ატყორცნილი;**
**მყინვარი ხარ საოცნებო,**
**მზის სხივთაგან დაკოცნილი...**

ასე ტკბილმოსაგონარი კიდევ იმიტომ არის ეს ერთ-ერთი ჩემი პირველი მუსიკალური ნაწარმოები, რომ იგი პირველად იმღერა ჩემმა სათაყვანებელმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა. ძალიან ვღელავდი, როცა ჩემს ნაწარმოებს დიდი ვანო მღეროდა. ეს ჩემს გამარჯვებად მიმაჩნდა. მან კიდეც მომილოცა გამარჯვება და გზა დამილოცა. კეთილი გამოდგა მისგან დალოცვა: ახლა ჩემს სიმღერებს ყველგან ასრულებენ“.

1923 წლიდან თამარ შავერზაშვილმა საბავშვო სიმღერებზე დაიწყო მუშაობა.

ერთხელ მას გაზეთში თუ ჟურნალში წაეკითხა გიორგი ქუჩიშვილის ლექსი „მინდორში“:

**ყვავილები წამოშლილან,**
**გაფენილან ველად.**
**პეპლებიც გაჩენილან,**
**დაფრენილან ჭრელად.**
**ყმაწვილებიც შემოსილან**
**ნაირნაირ ფერად.**



თამარ შავერზაშვილი

გიორგი მეგრეველი



# საქართველო

როცა პირველად ცას შევხედე უმანკო თვალით,
დაუყოვნებლივ მიწილადე პური და წყალი,
ფერად ხალიჩად გამიფინე ხასხასა მდელო,
რომ სვებედნიერს მხოლოდ წინ და მხოლოდ წინ
მევლო...
და შევხაროდი სიცოცხლეს და უღრუბლო ზეცას,
შენი ღიმილი ჩემს სულს უცვეთ სამოსად ეცვა.
ჩუქურთმასავით ამოვკვეთე სულში მიზანი,
იმ დღიდან შენ ხარ ჩემი ლოცვა და საფიცარი;
ხანძარმოდებულ მუხასავით უნდა ვიწვოდე;
მხოლოდ შენია, შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე.
მე ჩემი თავი მომიცია შენთვის ზვარაკად,
თუმცა ვიცი, რომ უჩემოდაც მარტო არა ხარ,
მილიონების სიყვარულის დგახარ ბანაკად.
თუ, არა შენთვის, მითხარ, აბა, ვისთვის მელოცა?!
შენ ხომ ამ ქვეყნად ერთადერთი საქართველო ხარ!

ვიქტორ ლექავა



# სამაისო

დროშების ცეცხლმა დასერა სივრცე.
ბოლო არ უჩანს ტაშსა და ვაშას;
გული ხალისით ზეცისკენ იწევს,
სურს შეეწივთოს ლაჟვარდის კაშკაშს.
ზეიმობს ტურფა მამული ჩვენი,
თეთრი მტრედები სერავენ ტატნობს,
ქუჩებში დადის ლენინი ბრძენი
და მთელ პლანეტას ღიმილით ათბობს.

გიორგი გიგაური

# ჩვენი ეზო



ხილნარი და ყვავილნარი
ვერცხლის ნამით ნაბანი,
ხეთა შორის ჩაფენილი
კოინდარის საბანი.

ეტმასნება ვერხვი ალვას,
აკაცია — მიმოზას,
იზმორება ბერი მუხა,
ტანზე სუროს იმოსავს.

და კედელთან ბროწეული
ნაზი, წითელხალათა,
ვარსკვლავიან ხელს გაგიშლის,
გაგიტაცებს ძალადა.

შაშვი სკვინჩას ესიტყვება,
ბოლოცეცხლა — ნარჩიტას,
ფუტკარი კი თაფლს დაეძებს,
თავს გვაწონებს გარჯითა.

მონავარდობს წყაროს თვალი
სიცოცხლიან შხეფებად,
თიხნარი რომ აამწვანა
და მზისფერად შეღება.

ეზოს შვენის მოედანიც,
ბურთი, ღერძი, რგოლები,
ვთამაშობთ და თავი მოგვაქვს
გატანილი გოლებით,
ბადროს ტყორცნით,
ტანვარჯიშით,
მშვილდ-ისრებით,
ჩოგნებით,
ჩვენი წყნარი გოგონებით,
ჩვენი ფიცხი ბოკვრებით...
ჩვენი ეზო,
ჩვენი ხელით
ნაშენ-ნაგვირისტალი,
გვჯერა, კენჭსაც დაგვიფასებს
ალალ შრომით მიტანილს.



და პეპლებს მოხდებიან
ქუდით დასაჭერად.

თამარს ისე მოსწონებია ეს ლექსი, რომ გადაუწყვეტია სიმღერად ექცია იგი. ეს იყო მისი პირველი საბავშვო სიმღერა, რომელიც 1923 წელს დაიბეჭდა.

ამის შემდეგ მან ბევრი მშვენიერი სიმღერა შექმნა ბავშვებისათვის. მისი სიმღერების ნოტები ხშირად ქვეყნდებოდა ჟურნალებში: „პიონერში", „ოქტომბრელში", „დილაში", გაზეთ „ნორჩ ლენინელში". გამოქვეყნდებოდა თუ არა ნოტები, მაშინვე აიტაცებდნენ ხოლმე სიმღერას ბავშვები. ახლაც მღერიან მის მუსიკალურ ნაწარმოებებს საბავშვო ბაღების ნორჩი აღსაზრდელები, ოქტომბრელები, პიონერები.

თავისი ცხოვრების ბოლო წლებში თამარი გვიამბობდა, რომ ბავშვებისთვის წერდა ოპერას იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა?!-ს მიხედვით. ამ ოპერაზე მან რამდენიმე წელიწადი იმუშავა და დაამთავრა კიდეც.

თამარი კონსერვატორიაშიც ასწავლიდა. მისი მოღვაწეობა ახალგაზრდა კომპოზიტორებისათვის დღესაც მისაბაძია.

თამარ შავერზაშვილის უანგარო ღვაწლი მის სიცოცხლეშივე დაფასდა — მას მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

იგი გარდაიცვალა სამოცდაოთხი წლისა, 1955 წელს. ჩვენ, ვინც ვიცნობდით თამარ შავერზაშვილს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ იგი და არ გავაცნოთ მომავალ თაობას. მას მემკვიდრედ დარჩა მხოლოდ მუსიკა. თამარის სახელი დღესაც ცოცხლობს, მის შექმნილ სიმღერებს დღესაც მღერიან.

ლავრენტი ჟიჟინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუგზარ
აფხაზავა

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

# გორინის ხიდი

მოთხრობა

ჩვენ რომ დიდი გვგონია, სინამდვილეში ძალიან პატარაა დედამიწა...

ამ სამიოდე წლის წინათ სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, სადაც მე ვმუშაობ, რამდენიმე დღით უკრაინაში, ქალაქ როვნოში მიმავლინა. ლამაზი, ხასხასა სიმწვანეში ჩაფლული ქალაქია როვნო, რაღაცნაირი მშვიდი სიხალისით სავსე. ამ ხალისს მარტო ადამიანები კი არა, თითქოს ხეები, ნაირფერი ყვავილებით გადაფარჩული გაზონები და სახლებიც ასხივებენ. ძნელი დასაჯერებელიც კია, როცა რომელიმე, უცებ ღიმილგამქრალი და თვალებში სევდაგაჩენილი როვნოელი ყრუ ხმით გეტყვის: გერმანელებმა ორჯერ დაანგრიეს ჩვენი ქალაქი და მისი მოსახლეობა სანახევროდ გაჟლიტესო. მაგრამ უნდა დაიჯერო, მართლა ასე მომხდარა და რას იზამ...

დაღუპულ გმირთა მემორიალთან შევჩერდი. გრძელი, გრძელი სიაა ჩამოწერილი. სულ თავიდან ჩამოვყევი: ანდრეევი... ბოროდინი... გულკო... გრომოვი... დუდინსკი... ივოლგინი... კაროლაინენი... და უცებ: კარსანიძე! კარსანიძე ი. ა!..

ვიცოდი, რომ საქართველომ შვიდას ათასზე მეტი მეომარი გაგზავნა დიდ სამამულო ომში, მაგრამ როვნოში ქართველ ჯარისკაცთან შეხვედრა მაინც მოულოდნელი იყო.

მართლაც პატარაა დედამიწა...

ჩემი ახალშეძენილი როვნოელი მეგობრების დახმარებით მივაგენი და გავეცანი ქალაქის პირველი საშუალო სკოლის წითელ კვალისმაძიებლებს. უნდა გენახათ, როგორი გულისყურით მოეკიდნენ პიონერები ჩემს თხოვნას, მაშინვე გადმოიღეს თავიანთი მრავალრიცხოვანი ალბომები, გადმოალაგეს იშვიათ დოკუმენტთა ფოტოასლები, გაზეთების ამონაჭრები... თან მითხრეს, ივანე ალექსანდრეს ძე კარსანიძე ჩვენი რაზმეულის სიამაყეაო.

მდიდარი მასალა მოეპოვებინათ პიონერებს... ალექსანდრე კარსანიძე მეფის არმიაში მსახურობდა თურმე, ოფიცერი იყო, მაგრამ მხოლოდ კაპიტნის ჩინისთვის მიეღწია, რადგან, ბუნებით ლიბერალი, თურმე მეტისმეტად თანაუგრძნობდა ჯარისკაცებს. სამხედრო სამსახურიდან ადრე გადამდგარა და როვნოში დასახლებულა, რადგან ცოლად აქაური ქალი შეურთავს. გარდაცვლილა 1917 წელს. მაშინ ივანე (შინაურები და მეგობრები მას ვანოს ეძახდნენ) 18 წლისა ყოფილა. მომდევნო წელს ჭაბუკს დედაც გარდაცვლია. ვანოს როვნო მიუტოვებია, მოსკოვს ჩასულა, წითელი არმიის რიგებში ჩაწერილა და მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია. მერე ორთქლმავლის მემანქანეობა შეუსწავლია და კიევ-ლვოვის რკინიგზაზე დააქროლებდა მატარებლებს. სამამულო ომის დროს როვნოს ახლოს მოქმედ პარტიზანულ რაზმში იბრძოდა და ერთ-ერთი დავალების შესრულებისას გმირულად დაღუპულა.

სწორედ როვნოელ წითელ კვალისმაძიებელთა ნაამბობმა დამაწერინა ეს პატარა მოთხრობა ვანო კარსანიძეზე, რომლის ცხოვრება გაცილებით ფართო აღწერის ღირსია.

•

საღამოვდებოდა.

ჰორიზონტს მიახლოებული ვეებერთელა მზის დისკო ალმაცერ სხივებში ახვევდა სანახევროდ დანგრეულსა და გადაბუგულ პატარა ქალაქს.

რაღაც სასწაულით ძველისძველი, რევოლუციამდე აგებული სადგურის შენობა უვნებლად გადარჩენილიყო. არც ლიანდაგებს შეხებოდა ომის მსახვრალი ხელი.

მესამე, სათადარიგო ლიანდაგზე ეშელონი იდგა. მის თავში უდრტვინველად თვლემდა მჭვარტლით გამურული ორთქლმავალი. შავზე უშავესი საკვამლე მილიდან გარინდულ ცაში სვეტად მიიმართებოდა მოყვითალო კვამლი. მზის სხივები ირიბად ჰკვეთდნენ ამ სვეტს და არაამქვეყნიურ, იდუმალ შუქს ჰფენდნენ რკინიგზის სადგურის ისედაც მოღუშულ, რუხ შენობას.

ეშელონის თვრამეტივე ვაგონი ჰიტლერელი ჯარისკაცებით იყო გაჭედილი. იდგა ერთი ხორხოცი, ტუჩის გარმონების ჭყვიტინი, გადაძახილ-გადმოძახილი.

ორთქლმავალს აღმოსავლეთისაკენ ეჭირა პირი. იქ, ვოლგის მისადგომებთან, გერმანელებმა მაგრად წაიბორძიკეს და დასავლეთიდან ზედიზედ მოდიოდნენ მატარებლები ფონ პაულიუსის შეთხელებული არმიის შესავსებად.

ეშელონი გუშინ საღამოს ჩამოდგა აქ.

იგი მაშინვე უნდა დაძრულიყო, მაგრამ ორთქლმავლის მემანქანეს უცებ ბრმა ნაწლავი ასტკივდა და სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია. მარტო თანაშემწემ, ამ საქმეში ახალმა და გამოუცდელმა კაცმა, ვერ იკისრა მატარებლის წაყვანა და ეშელონის უფროსი, კაპიტანი მერლინგი ცოფებს ჰყრიდა, როვნოში, შეპეტოვკასა და ნოვოგრად-ვოლინსკში ყოველ ნახევარ საათში რეკავდა, მაგრამ ამაოდ, თავისუფალი მემანქანე არსად არ ჰყავდათ.

ის რუსი კომენდანტიც რომ დაიკარგა?!.

ნაშუადღევს სადგურის კომენდანტმა მათე ბელოვიჩმა ითხოვა, მერლინგთან შეეშვათ.

სარივით ხმელი და სარგადაყლაპულივით გაჯგიმული კაპიტანი ფანჯარასთან იდგა. შუბლშეჭმუხნულმა სადაფისფერი თვალების ავი მზერა მიაპყრო კომენდანტს, შუათითით სათვალე შეისწორა და მკვახედ ჰკითხა:

— რა გნებავთ?

ბელოვიჩმა გერმანული იცოდა — დედა ნახევრად გერმანელი ჰყავდა. ფაშისტების ნდობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით დაიმსახურა. ჯმუხი, გრძელხელება, ნახევრად გამელოტებული და გაბურძგნულწვერებიანი კაცი იყო. თვალებში ძაღლური მორჩილება ეწერა და სახეზე პირმოთნე ღიმილი ეფინა. უცნაურად ირწეოდა, ხან ერთ ფეხს დაეყრდნობოდა, ხან მეორეს. დაჭმუჭნილი ქუდი ხელიდან ხელში გადაჰქონდა, ენას აწკლაპუნებდა და ტუჩებს ილოკავდა. მერე, როგორც იქნა, ჩაახველა და ხმა ამოიღო:

— მე მინდოდა, ჩემი მოკლე ჭკუით, ერთი კაცი შემომეთავაზებინა, ბატონო კაპიტანო. — ხმა შემპარავი ჰქონდა და ოდნავ უთრთოდა. — ომამდე ის კაცი ორთქლმავლის მემანქანედ მუშაობდა. კარგი მემანქანე იყო.

მერლინგი სწრაფი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, ზედ გაშლილი ხელისგულები დააყრდნო, ისე, რომ თითები გაუთეთრდა:

— ეშმაკმა დალახვროს! აქამდე სად იყავით? ვინ არის, რუსია?

ბელოვიჩი წამით შეყოყმანდა, ნიკაპი მოიქექა:

— წარმოშობით ქართველია. მამა ჰყავდა ქართველი, დედამისი კი უკრაინელი იყო. ჩვენში დაიბადა და გაიზარდა.

— კომუნისტია?

— ჩემი მოკლე ჭკუით — არა მგონია...

— კომუნისტია თუ არა? — გამოსცრა მერლინგმა.

ბელოვიჩი შეკრთა:

— ვფიქრობ, რომ არა, ბატონო კაპიტანო. მამა მეფის არმიის ოფიცერი იყო. ასეთებს კი ბოლშევიკები მაინცდამაინც არა სწყალობდნენ.

— მეფის ოფიცერი?

— დიახ.

— ფრონტზე რატომღა არ გაიწვიეს?

— ნაწილობრივ, ალბათ, იმავე მიზეზით. გარდა ამისა, ომში რისი მაქნისი იქნებოდა, როცა კოჭლი გახლავთ — ჭაბუკობისას ცხენმა გადმოაგდო, ფეხი მოიტეხა და ცუდად შეუხორცდა. თვითონ კი, რა თქმა უნდა, არ შეეხვეწებოდა. მაგის ჩიტია?!

— დიდი ხანია, იცნობთ?

— კაი ათი წელი იქნება. როვნოში გავიცანი, ახალგადმოსული ვიყავი ამ რკინიგზაზე.

— ნდობა შეიძლება?

— ჩემი მოკლე ჭკუით — მგონი შეიძლება...

— შეიძლება თუ არა ნდობა?!

— ვფიქრობ, შეიძლება, ბატონო კაპიტანო...

— რა გარანტიას მაძლევთ?

— საკუთარი თავით ვაგებ პასუხს!— თავისი სიტყვებისთვის მეტი სიმტკიცე რომ მიეცა, კომენდანტმა ენერგიულად დაიქნია მარჯვენა ხელში მომუჭული ქუდი — ვითომ იატაკზე დანარცხებას აპირებდა, მაგრამ ოფიცრისა მოერიდა.

— კარგი. სად ცხოვრობს? ამჟამად სად არის?

ბელოვიჩმა ისევ მოიქექა ნიკაპი:

— აქედან ათიოდე კილომეტრზე, ტყეში, ერთი პატარა, მივარდნილი ხუტორია. იქაური ცოლი ჰყავს და იქა ცხოვრობს. არის თავისთვის, თბილად. რაც თქვენ შემოხვედით, იმ ხუტორიდან ფეხი არ გაუდგამს... უჰ, წელიწადზე კარგა მეტია უკვე!..

— საიდან იცით ეს?

— საიდან და ჩემი დაა იმ ხუტორში გათხოვილი, ბატონო კაპიტანო. კვირაში ერთხელ მივდივარ ხოლმე მასთან, მოვახტები ცხენს და ერთ საათში იქა ვარ. მეზობლად ცხოვრობენ.

— მაშასადამე, ახლაც იქ იქნება?

— აუცილებლად. აბა სად ეშმაკში წავიდოდა?

კაპიტანი მაგიდას მიუჯდა.

— კარგი. მე თქვენ ორ ეტლიან მოტოციკლს მოგცემთ და სამ მეავტომატეს გაგაყოლებთ...

ბელოვიჩი შეირხა, უხერხულად შეიშმუშნა:

— ჩემი მოკლე ჭკუით, ეს არ გამოვა, ბატონო კაპიტანო, მოტოციკლი იქ ვერ გაივლის — ისედაც უხეირო გზაა, ამასწინანდელი წვიმა კი მთლად გაახრებდა. ისევ ცხენით უნდა წავიდე.

— დრო რამდენი გეყოფათ?

— საათი იქით, საათიც — უკან. ცხენი კარგი მყავს, ბატონო კაპიტანო!

ტყეში მშვიდზე მშვიდი, პირველყოფილი სიჩუმე სუფევდა. დროდადრო შორიდან კოდალას კაკუნი მოისმოდა, ხანაც ხეს მოწყვეტილი ფოთოლი წყნარად ჩაიშრიალებდა და უხმოდ დაეშვებოდა მიწაზე.

ნორჩი ნეკერჩხლის წვეროზე პაწია ჩიტი შემოჯდა, ერთი კი დაიჭიკჭიკა ნაღვლიანად და, თითქოს ვიღაცისა შერცხვაო, მაშინვე გაჩუმდა. იჯდა გაქვავებულივით და თვლემდა. კარგა ხანს ასე იყო. უცებ რაღაცამ შეაკრთო, თავი სწრაფად მიაბრუნ-მოაბრუნა, შეიფრთხიალა და გაფრინდა.

შორიახლო, ტანმსხვილი თელის უკან, პირდაპირ მიწიდან ზედიზედ ამოძვრა სამი მამაკაცი. სამივემ შეთანხმებულივით გახედა დასავლეთისკენ გადახრილ მზეს და მერე ერთმანეთს მიუბრუნდნენ. მათ შორის მხოლოდ ერთი, საშუალო ტანის შავგვრემანი და შავულვაშა მამაკაცი იყო სუფთად წვერგაპარსული, დანარჩენ ორს კი, ჩალისფერთმიანებს, თმა-წვერი ერთნაირად მოეშვათ.

— აბა, მათე, იჩქარე ახლა. თორემ ვაითუ შარს გადაეყარო, — თქვა ერთმა წვეროსანმა. — ფრთხილად იყავი, აუცილებლობის გარეშე რისკს ნუ გასწევ, თორემ შეიძლება უფრო დიდ საქმეზე ხელი აღარ მიგვიწვდეს. ჰე, გასწი, ნუღარ აყოვნებ!

ბელოვიჩი აქ გაცილებით უფრო ტანადი და მაღალი ჩანდა, ვიდრე კაპიტან მერლინგთან საუბრისას ეგონებოდა კაცს. ის მორჩილი და გულისამრევი პირმოთნეობაც, იქ თვალებში რომ ეხატა, უკვალოდ გამქრალიყო და ახლა მის მკაცრნაკვთებიან ვაჟკაცურ სახეზე და გამოხედვაში უტეხი ძალა და ნებისყოფა გამოსჭვიოდა.

— ჩემი დარდი ნუ გაქვთ, ყველაფერი კარგად იქნება, — დაიმედა მათემ რაზმის უფროსი და პირველად შავგვრემან მამაკაცს გაუწოდა ხელი. — აბა შენ იცი, ვანო, ძამიკო... შენი უფრო მეფიქრება... — და მოეხვია, სადღაც ყვრიმალზე აკოცა. — წავედი, ძმებო!

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვანო კარსანიძემ ძმურად გადაკოცნა რაზმის მეთაური, ცეცხლისფერ ულაყს მოახტა და ნელა დასძრა ადგილიდან, თითქოს აქაურობის მიტოვება ენანებაო.

მზე ჩადიოდა, როცა ცხენის ტორების თქარათქური ქალაქის განაპირა სახლთან შეწყდა.

●

როვნოელი კომუნისტების იატაკქვეშა ცენტრმა ახალშექმნილ პარტიზანულ რაზმში, რომელმაც გორინისპირა ტყეებში (მდინარე გორინი პრიპიატის შენაკადია) დაიდო ბუდე, კომისრად ვანო კარსანიძე გაგზავნა.

რაზმში ჯერჯერობით სულ ათიოდე კაცი ირიცხებოდა. მათი ნაწილი, მათ შორის მათე ბელოვიჩი, ლეგალურად ცხოვრობდა, ნაწილი კი—ტყეში. სიმცირის გამო პარტიზანები დროებით თავს არიდებდნენ მსხვილ ოპერაციებს და უფრო იარაღისა და საომარი მასალის მარაგის შექმნაზე ზრუნავდნენ. რაზმის მეთაური მარკ ოდრიცკი და კომისარი ფიქრობდნენ, რომ, გარდა ამისა, ჯერ საჭირო იყო რაოდენობრივად მოღონიერება და ახლომახლო სოფლებში საიმედო დასაყრდენის გამონახვა.

მათე ბელოვიჩის მოტანილმა ამბავმა რაზმის ხელმძღვანელებს პოზიცია შეაცვლევინა და მათ გადაწყვიტეს, ხელიდან არ გაეშვათ ხელსაყრელი შემთხვევა: წინა ღამით რაზმში ორი შეპტოვკელი ამფეთქებელი მოვიდა და ასაფეთქებელი მასალა მოიტანა, ორივენი გამოცდილი, თავისი საქმის კარგად მცოდნე ბიჭები იყვნენ. შეიძლებოდა მათი გამოყენება და გორინის სარკინიგზო ხიდის აფეთქება იმ მომენტში, როცა ზედ ფაშისტური ეშელონი გაივლიდა.

— ვითომ მოვასწრებთ დანაღმვას?— დაეჭვდა მარკ ოდრიცკი. მეთაურს კარსანიძე ძმასავით უყვარდა და თან გული ხიდის აფეთქებისაკენ რომ მიუწევდა, თან კომისრის ბედიც აფიქრებდა— ვაითუ ვერ მოახერხოს აფეთქების წინ გადმოხტომაო, ამიტომ უნებლიეთ ართულებდა სიტუაციას, თითქოს უკანდასახევ გზას ეძებდა. — ხომ იცით, ტყე-ტყე უნდა ვიაროთ, მანძილიც საკმაოზე მეტია.

ვანომ ჩაახველა და ოდნავ წინ გადმოიხარა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო.

— ჯერ მათე უნდა დაბრუნდეს სადგურში, — თქვა მან, — და უნდა დაარწმუნოს კაპიტანი, რომ მემანქანეობას ვკისრულობ და აუცილებლად გამოვცხადდები... მე, ასე, საათნახევრით გვიან მოვალ — ნაბახუსევი კაცის საბოლოო გამოფხიზლებას დრო ხომ უნდა, ა, მათე? — ვანომ ბელოვიჩს თვალი ჩაუკრა. — ღმერთმა კი ნუ ჰქნას, რომ ამასობაში როვნოდან გამოუგზავნონ მემანქანე... შემდეგ... იქაც ერთ საათს მაინც გავაჭიანურებ დროს. ოცდაათი წუთიც სადგურიდან ხიდამდე მატარებლით მისვლას უნდა... ასე რომ... კი, მოვასწრებთ. მაშ, შევთანხმდით: ხიდი ჰაერში უნდა ავარდეს ზუსტად ოცდაორ საათზე. რას იტყვი, მარკ? — მეთაურმა თავი დააქნია. — კეთილი. — კარსანიძემ ამფეთქებლებს გადახედა და ჯიბიდან საათი ამოიღო. — მოდით, ნუღარ ვაგვიანებთ. თქვენთან რომელია?

●

ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა.

მერლინგს ის იყო მოთმინება დაელია და განრისხებულმა მესამეჯერ გამოიძახა კომენდანტი, რომ მათე ბელოვიჩმა შემოაღო კარი და ხმელ-ხმელ შავგვრემან მამაკაცს შემოუძღვა. კაცი ოდნავშესამჩნევად კოჭლობდა. კაპიტანს მაშინვე გამოუკეთდა გუნება, ეგ არის არ გაუღიმია, თორემ შუბლი გაეშალა, ხმაც შეურბილდა, ცით მოვლენილ მემანქანეს ორიოდე შეკითხვა მისცა, მერე ოქროს მთებს და საქართველოში, შავი ზღვის პირას, მანდარინის თვალუწვდენ პლანტაციებს შეჰპირდა... — მერე — რატომ საქართველოში არ წახვედით საცხოვრებლადო, ნოსტალგია არ გაწუხებთო? — ჰკითხა. ვანომ მხრები აიჩეჩა — ვაპირებდი, მაგრამ ომმა შემიშალა ხელიო, — მიუგო, — დამთავრდება თუ არა, გადავსახლდებიო... კაპიტანმა მოწონებით დაუქნია თავი. ,,ხედავთ? — ამაყად უთხრა და საჩვენებელი თითი ზემოთ შემართა. — კომუნისტების ხელში უბრალო ორთქლმავლის მემანქანე იყავით, ფიურერი კი მემამულედ გაქცევთ. ჩვენ მკაცრნი ვართ, მაგრამ მადლობის გადახდაც ვიცით!'' მათე ბელოვიჩმა პირი გააწკლაპუნა, დაჭმუჭნილი ქუდი ხელიდან ხელში გადაიტანა: ,,ფიურერი ალბათ არც ჩემს ვალს შეირჩენს, ხომ, ბატონო კაპიტანო?'' — მორცხვად იკითხა ჯერ რუსულად და მერე გერმანულად გაიმეორა. ,,ო, რა თქმა უნდა!'' — ისევ შემართა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი კაპიტანმა.

ამის გახსენებისას ვანო კარსანიძეს გუნებაში ჩაეღიმა, საათს დახედა და



მერე მზერა მბჟუტავი ნათურებით სუსტად განათებულ ბაქანზე გადაიტანა სადაც იყო, გასვლის ნიშანი უნდა მიეცათ. მატარებელი პირველ ლიანდაგზე იდგა, გამზადებული ორთქლმავალი მხიარულად ქშუტუნებდა, ჭარბი ორთქლი დროდადრო სტვენითა და შიშინით აპობდა ჰაერს. თანაშემწე მანომეტრთან იდგა და ზეთით გათხვრილ ხელებს ჩვრით იწმენდდა. კარსანიძეზე ბევრად ახალგაზრდა იქნებოდა, ასე ათი-თორმეტი წლით უმცროსი ჩანდა. ,,მხოლოდ ბოლო წამს ვეტყვი, გადახტომის წინ, — გაიფიქრა ვანომ, — თორემ ვინ იცის, რა კაცია, აქ ჭიდაობა არ გამიმართოს და ეშელონი არ გამიჩეროს! ქვეყანა ჭრელია, ადამიანის გული კი — ღრმა უფსკრული! — გაახსენდა დედის შეგონება. — იქნებ ჩვენია, მაგრამ ხომ შეიძლება მშიშარა გამოდგეს! მშიშარა კაცი კი — მტრისას!..''

სწორედ ამ დროს გარეთ ქვიშა აჩხრიალდა. ვანომ გადაიხედა და შეკრთა: ორთქლმავალთან მათე და სამი გერმანელი მეავტომატე იდგნენ. ბაქნის მკრთალ სინათლეშიც კი ჩანდა, რომ ბელოვიჩს ადამიანის ფერი არ ედო, მიტკალივით გათეთრებულიყო. ,,ხომ არ გაგვყიდა ვინმემ?!'' — გაუელვა ვანოს, მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს ფიქრი.

— ეს მეავტომატეები თქვენს უშიშროებას დაიცავენ, კარსანიძე! — განგებ ხმამაღლა, ვაგონისაკენ მიმავალ მერლინგს რომ გაეგონა, დაიყვირა ბელოვიჩმა და თვალი თვალში გაუყარა ვანოს. — დროა უკვე, დაიძარით! — და ხმა ჩაუწყდა, კომისარი მხოლოდ ტუჩების მოძრაობით მიხვდა, რა თქვა ბოლოს მათემ: — აბა შენ იცი, ვანო...

ვანო კარსანიძემ ოდნავშესამჩნევად დაუქნია თავი. ის კი არა, გაღიმებაც მოახერხა.

— აბა, წავედით!

ორთქლმავალმა ჩახლეჩილი ხმით შეჰკივლა, გაიწია, ვაგონები ააჯახუნა, შეტორტმანდა, მერე უფრო მძლავრად



გაიწია და დაიძრა. სადგურის მბჟუტავი ნათურები ნელა გაცურდა უკან და ორთქლმავალმა წყვდიადში შერგო თავი.

ლოკომოტივი მყარ რეჟიმზე რომ დააყენა, ვანომ მხოლოდ მაშინ მოიცალა მისახედ-მოსახედავად. ერთი მეავტომატე მარცხნივ ასვეტილიყო, კართან, და ღია სარკმლის რაფაზე იდაყვი ჩამოედო, მეორე მარჯვენა კართან ჩამომჯდარიყო, მესამეს კი მემანქანესა და თანაშემწეს შორის, მათ ზურგსუკან მოეკალათებინა და ავტომატი გარდიგარდმო დაედო მუხლებზე. სამივეს სასხლეტზე ედო თითი.

,,ესეც ასე! დაგრჩა ოხრად ფიურერის ნაჩუქარი მანდარინის პლანტაციები, ვანო კარსანიძევ!“ — მწარედ ჩაიცინა გუნებაში ვანომ და თანაშემწეს გადახედა. ის იდგა და ხელსაწყოთა ჩვენებებს ამოწმებდა. ვანოს საოცრად მოუნდა ვინმესთან გასაუბრება, თავისი ფიქრისა და ეჭვის გაზიარება... თითქოს მემანქანის მზერა იგრძნო, სწორედ ამ დროს თანაშემწემ მოიხედა და კარსანიძის უცნაურ ღიმილს წააწყდა.

— რა გქვია? — ჰკითხა ვანომ.

— მიშას მეძახიან. ისე მიხეილ ილარიონოვიჩი ვარ.

— ბიჭოს! — გაიკვირვა ვანომ. — თან კუტუზოვიც ხომ არა ხარ?

თანაშემწეს გაეცინა და ლოყები ბავშვსავით ჩაეკუჭა. თვითონაც ბავშვს, გულღია და ალალ ყმაწვილს დაემსგავსა.

— არა, კუტუზოვი არა ვარ...

,,ვერა, ვერ ვეტყვი, — გაიფიქრა ვანომ. — თითქოს კაი ბიჭი ჩანს, მაგრამ... თუმცა რა, შიშველი ხელებით ამათთან მაინც ვერაფერს გავხდებით. საქმე კი შეიძლება გავაფუჭოთ. ისევ დუმილი ჯობს“.

ორთქლმავალი გუგუნით მიჰქროდა.

— ერთი ის პლანშეტი მომაწოდე, მიშა!

მიხეილმა იქვე ჩამოკიდებული პლანშეტი — ხმარებისაგან თითქმის გაცვეთილი, მოლაპლაპე საოფიცრო საველე ჩანთა ჩამოხსნა და კარსანიძეს გადააწოდა. სამივე მეავტომატემ თვალი გააყოლა. ვანომ ჩაიცინა და მასთან ახლო მდგარ გერმანელს თვალი ჩაუკრა. გერმანელმა მხრები აიჩეჩა, პირი თითქოს გასაღიმებლად მოექცა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და ისევ მკაცრად შეიკრა წარბები. კარსანიძეს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ზურგით სარკმელს აეკრა, პლანშეტი გაშალა, სუფთა ქაღალდის ფურცელი მოძებნა, გულისჯიბიდან ქიმიური ფანქარი ამოიღო და სწრაფად ორიოდე წინადადება დაწერა. მერე ქაღალდი გაკეცა, პლანშეტში ჩადო და თავის მხარეს, სარკმელთან ჩამოკიდა.



კ. მარქსის ს... სახელმწიფ. ბი...

— თქვენი გვარი კირსანოვია? — მოესმა უცებ.

სწორედ იმ წამს ვანომ საათს დახედა და მოულოდნელმა შეკითხვამ შეაკრთო. მაგრამ მაშინვე გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ თანაშემწეს ბელოვიჩის სიტყვები ჰქონდა გაგონილი.

— არა, კარსანიძეა ჩემი გვარი. ქართველი ვარ.

— ააა! — გააგრძელა მიხეილმა. — წმინდად კი ლაპარაკობთ რუსულად. კაცი ვერ გამოგარჩევთ.

— აქაური ვარ. აქ დავიბადე და გავიზარდე. რა გასაკვირია!

— თუ ასეა, ჰო...

ერთხანს დუმდნენ.

ორთქლმავალი გუგუნით მიარღვევდა წყვდიადს.

— ოჯახი გყავს, მიშა?

— კი, მყავს. გოგოს მამა ვარ.

— მიჯობნია, — გაეღიმა ვანოს. — თუმცა რა. უფროსი ვარ და იმიტომ... მე ერთი ბიჭი მყავს, და თანაც უკვე ბაბუა გახლავარ: ომის წინ ჩემი გურამი ტყუპი ბიჭებით დააჯილდოვა მისმა მეუღლემ ამაა!

— გაგიზარდოთ!

ისევ დადუმდნენ.

— ხომ არ მოგვესინჯა? — ისევე, მოულოდნელად იკითხა მიხეილმა.

— რა?

— იქნებ გადაგვეყარა ეგენი...

— ვინ ეგენი? — ვითომ ვერ მიხვდა კარსანიძე. ვისზე ამბობ?

— ამათზე, ვისზე უნდა ვთქვა?!

— გაგიჟდი? — ვანომ თვალები მოჭუტა: „პროვოკატორია თუ...“ — სამნი არიან, ვერა ხედავ? ვიდრე ხელს გავანძრევთ, ბაჭიებივით ჩაგვხოცავენ.

— ამათი...

კარსანიძე წამოდგა, სარკმელში გადაიხედა. ზეპირად იცოდა ვანომ ეს გზა. თვალდახუჭულიც ჩაიყვანდა მატარებელს ქიტომირში. აი, ახლა პატარა მყუდრო ბაქანს გაივლიან... აგე, ისიც... „ერთი მოსახვევიც დარჩა და მერე სამ წუთში ხიდზე შევგრიალდებით... მომესწრო მაინც შვილიშვილების ნახვა... ნეტავი ვის ჰგვანან, გურამს თუ ლიას? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, კარსანიძეები არიან, გვარის ნორჩი ამონაყარები... კიდევ კარგი, ისინი მაინც რომ დამკვიდრდნენ წინაპრების მიწაზე... აი, ესეც მოსახვევი!.. იქნებ მოგვესინჯა, ა?.. არა, არა, არ ღირს, რისკი ყოველთვის როდი ამართლებს... თუმცა, გულითაც რომ მოვინდომოთ, უკვე ველარ მოვასწრებთ... ჰოდა, ძალიანაც კარგი!...“ ვანომ წინ გაიხედა, მოძრაობის მიმართულებით, და მოეჩვენა — არა, მოეჩვენა კი არა, ცხადად დაინახა — ორთქლმავლის პროჟექტორის შუქზე ალაპლაპებული ხიდის რკინის მოაჯირი — ახლოს, სულ ახლოს... იქ ახლა სიკვდილი იყო ჩასაფრებული და კბილებდაღრჭენილი ელოდა მსხვერპლს.



ფიცხლად შემობრუნდა:

— ხომ მაგრადა ხარ! — შეცვლილი ხმით მიაძახა მიხეილს, პლანშეტი ჩამოგლიჯა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, სარკმელში მოისროლა.

— ჰალტ! — მაშინვე მიბრუნდა მისკენ სამივე ავტომატის ლულა. — სდექ! ხელები ზევით!

ვანომ ერთი კი მოიხედა, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამაყრუებლად დაიგრგვინა და ორთქლმავალი სათამაშოსავით ავარდა ჰაერში. ერთ გრგვინვას კიდევ მოჰყვა მეორე, მესამე... აფეთქებათა სინათლეზე ტყისპირიდან კარგად ჩანდა, როგორ ჰაერშივე დაიშალა ნაწილებად ეს ამოდენა ლოკომოტივი და დაღრეკილ რკინის კოჭებთან და ალმოდებულ ხის ძელებთან ერთად, თავისი მიმყოლი ვაგონებითურთ, ჭახანითა და ლაწანით ჩაიჩეხა მდინარეში...

•

რამდენიმე დღის შემდეგ, ახალშეღამებულში, როცა თელების ქვეშ პარტიზანული რაზმის თითბირი მიმდინარეობდა, ორმა პირტიტველა მზვერავმა გორინის ხიდის სიახლოვეს, რკინიგზის პირას ნაპოვნი პლანშეტი მოიტანა. მეთაურმა პლანშეტი გაშალა და ქაღალდები გადაათვალიერა. საორთქლმავლო საბუთები იყო. ერთ ფურცელზე ქიმიური ფანქრით, ძლივს გასარჩევად ეწერა რამდენიმე სიტყვა. ოდრიცკომ ხელნაწერი იცნო და თითქოს მძიმე ტვირთის ქვეშ მოიხარა, თვალთან ახლოს მიიტანა ქაღალდი. ვიღაცამ ფარანი დაანათა.

„ბიჭებო, ამათთან ერთად არ მინდოდა სიკვდილი, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის, — მეთაური კითხულობდა და რატომღაც არავის უკვირდა, რომ ამ კაცს, ვისაც კაჟის ნატეხს ეძახდნენ მეტსახელად, უცნაურად გაბზარვოდა ხმა. — შური იძიეთ ყველაფრისათვის, ძმებო!..

თქვენი ვანო კარსანიძე“.

პარტიზანებმა ქუდები მოიხადეს.

კომისრის ბარათს წვეთი დაეცა. იმ ადგილას ქაღალდი დასველდა და ქიმიური ფანქრით ნაწერი მკაფიოდ გამოიკვეთა. ცა კი... ცა სავსებით უღრუბლო იყო, მოსარკული. ვარსკვლავები ბრწყინავდნენ, ციმციმებდნენ.

არ წვიმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შთამბეჭდავი, ბევრის-მთქმელი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი არსებობის მხოლოდ ექვს წელს ითვლის, მაგრამ უკვე საქვეყნოდ ცნობილია, შარშან კი საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატიც გახდა.

მოსწავლე ვიყავი, როცა პირველად დავათვალიერე მისი დარბაზები. კარგად მახსოვს, რა სულგანაბული, მონუსხული უსმენდა მთელი ჩვენი კლასი ექსკურსიამძღოლის დაწვრილებით საუბარს, ყოველი ექსპონატის მნიშვნელობასა და ისტორიაზე. მუზეუმის თითოეული დარბაზი მრავლისმეტყველია, მაგრამ ჩემი და ჩემი თანატოლების გულსა და გონებაში განსაკუთრებული კვალი დატოვა ორმა დარბაზმა:

## დედათა დარბაზი

ეს დარბაზი დიდ სამამულო ომში დაღუპული შვილების დედათა დარბაზია. შესასვლელს ძაძა აქვს გადაკრული, მასზე ვერცხლისფერი ასოებით არის ამოვანებული გიორგი ლეონიძის უკვდავი ლექსის ერთი სტროფი:

> არ დაიდარდო, დედაო,
> რაც მე სიკვდილით გაწყინე,
> მე შენი ძუძუს ნათელი
> საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

შესასვლელი ისე დაბალია, რომ დარბაზში შესვლისას თავი უნდა დახარო. დიახ, მოწიწებით უნდა დახარო თავი იმათ წინაშე, ვინც ყველაზე დიდი და ძვირფასი — შვილების სიცოცხლე უყოყმანოდ მიუძღვნეს მამულის თავისუფლებას.

მწუხრისფრად განათებულ დარბაზში შესულს ტანში ჟრუანტელივით დაუვლის სევდიანი მელოდია. კედლების მთელ სიგრძესა და სიმაღლეზე, მუქი მინების ფონზე სიზმრეულად მოჩანს დამწუხრებული დედების პორტრეტები — სათნო, სათუთად მოსაფერებელი სახეები, ასაკდაჩნეული, დაძარღვული ხელები, შავი თავსაფრები...

აქ არის ლ. ი. ბრეჟნევის უერთგულესი ფრონტელი მეგობრის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის დედა, რომელმაც კონსტანტინეს გარდა, კიდევ ორი შვილი დაკარგა სამშობლოს განსაცდელის ჟამს.

აქ ნახავ ბრძოლის ველზე დაცემული ექვსი ვაჟკაცის — ღუდუშიძეების დედის სახებას. ექვსი შვილის სიცოცხლე ანაცვლა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ბაბალე ბახტაძემაც. აგერ, ხუთ-ხუთი შინმოუსვლელი მოყმის დედები — კაპანაძე და პაპუაშვილი, ოთხი გულგანგმირული შვილის დედა — გოგორაშვილი, ფორე მოსულიშვილისა და ჭიჭიკო ბენდელიანის დედები, მამაცთა დედა — აფხაზი მარიცა არშბა, ეკატერინა შლიაპკინა, რომელმაც დაჭრილი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ფ. ხიტალიშვილი შეიფარა. (შლიაპკინას ფაშისტებმა თოთხმეტი წლის გოგონა ნატაშა მოუკლეს. ფ. ხიტალიშვილმა მის პატივსაცემად თავის ქალიშვილს ნატაშა დაარქვა). მოწიწებით შეჩერდები კუნძულ ტექსელის მკვიდრის, მოხუცებული ქალის კორნელიას სურათის წინაშე. კორნელიამ ხომ ბევრ ქართველ ტყვე ჯარისკაცს ნამდვილი დედობა გაუწია და სიკვდილისაგან იხსნა...

მოჩუქურთმებულ დედაბოძთან ქართული კერიაა გაჩაღებული. ეს სიმბოლოა იმისა, რომ მტარვალებმა ვერ ჩააქრეს სიცოცხლე ჩვენს მიწა-წყალზე.

ერთ-ერთ კედელთან ალისფერი შუქით არის გახსივოსნებული მერაბ ბერძენიშვილის ცნობილი ქანდაკება — ქართველი დედა ორი ბიჭუნათი, რომელთაც წინ გამოწვდილი ხელებით საიმედოდ უჭირავთ ქარქაშში ჩაგებული მახვილი — თუ საჭირო გახდება, ისინიც ამოაელვარებენ ხმალს მომხვდურთა წინააღმდეგ. უნებლიეთ გახსენდება ძველი ქართული სიმღერა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

## გამარჯვების დარბაზი

დედათა დარბაზიდან ერთგვარად გულდამძიმებული გადიხარ გამარჯვების დარბაზში და... სულ მალე საზეიმო განწყობილება გეუფლება. თითოეული ექსპონატი — ფოტოდოკუმენტები, გმირი მებრძოლების პირადი ნივთები, ომისდროინდელი საბჭოთა საბრძოლო იარაღი, ძირს დანარცხებული შავსვასტიკიანი დროშა ჩვენი ძლევამოსილი არმიის დიდებას ღაღადებს, მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევ ძმობასა და მეგობრობაზე მეტყველებს. დარბაზი სავსეა მწყობრში მდგომი გოგონებითა და ბიჭუნებით, ვინც გულისფანცქალით ელოდებიან პიონერად გახდომას. მოწვეული სტუმრები — ომისა და შრომის ვეტერანები, მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები ალისფერ ყელსახვევებს უკეთებენ მათ. ყველაზე ნორჩი მოქალაქეებისათვის დაუვიწყარი საზეიმო წუთია.

მომავლის რწმენით აღსავსენი, დიადი სამშობლოს ერთგულებით გამსჭვალულნი გამოვდივართ ხალხთა მეგობრობის მუზეუმიდან.

ნინო შერაზადიშვილი
ფოტო ვ. გორისენკოსი




**ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი**

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 5

# სახელის გატეხა ადვილია...

კაცს კაცი მაშინ გქვია, როცა შენზე დაკისრებულ, ან შენს მიერ ნაკისრ საქმეს ზერელედ და სხვისი თვალის ასახვევად კი არ აკეთებ, არამედ თვით შენი არსება გთხოვს მის შესრულებას. არა ხმაური, არა მაღალფარდოვანი სიტყვები ან ქაღალდზე ლამაზად გაფორმებული „საქმიანობა“ აქცევს ადამიანს მისაბაძ პიროვნებად, არამედ შეგნებული და გამიზნული გარჯა, „დიდი“ და „პატარა“ საქმის თანაბარი სიყვარული, საკუთარი მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობა.

ადამიანურ ღირსებათა აღზრდა ბავშვობაშივე იწყება და სათავეს იღებს, როგორც ოჯახში, ასევე სკოლაში, პიონერულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებში. უდავოა, მარტო სიკარგისაკენ სწრაფვა, მარტო სურვილი და, თუნდაც, მარტო ხმამაღალი განცხადება ნამდვილად ფუჭია, თუ მას არ მოჰყვება შეგნებული, წინასწარ კარგად გააზრებული, ძალდაუტანებელი შრომა-საქმიანობა, სანიმუშო პირადი ქცევა, მაღალი ზნეობა.

ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იქ, სადაც დაგმობილი და დასამარებულია ფორმალიზმი, მოჩვენებითი „საქმიანობა“, გულგრილობა და თავშეუწუხებლობა, იქ, სადაც სიტყვა საქმეს კი არ შორდება, არამედ სიტყვისა და საქმის ჰარმონიულობით კეთდება ის, რასაც ჩვენი დიადი თანამედროვეობა მოითხოვს ყველასაგან — დიდისგან თუ პატარისაგან — მათი ასაკისა და უნარის შესაბამისად. ამ შემთხვევაში მთავარია, ვიყოთ პიროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის სანიმუშო შემსრულებელი და სიტყვის პატრონი, უნარი შეგვწევდეს, თავი დავაღწიოთ ცდუნებას — სულ ერთია, ვისგან ან რისგან გამომდინარეობს იგი. ნაკისრი მორალური ვალდებულების ფორმალიზმამდე დაყვანის ნიმუშად დავასახელებ ცდუნებისგან თავშეუკავებლობის შემდეგ მაგალითს:

ჩემმა მეზობელმა ყმაწვილმა, მეცხრეკლასელმა წარჩინებულმა მოსწავლე ლაშამ იკისრა (თვითონ იკისრა!) თანაკლასელი ლევანის გამოსწორება პირადი მაგალითით, შეუმჩნეველი, თავსმოუხვეველი შეგონებით. ერთ ხანს თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ლევანი თანდათან, უნებლიეთ ექცეოდა ამხანაგის კეთილი გავლენის ქვეშ, სწავლასაც მოუმატა და უფრო ზრდილი, თავაზიანი გახდა. მაგრამ ერთ დღეს...

ბიჭები კინოდან ბრუნდებოდნენ. შინისაკენ აუჩქარებლად მიმავალთ (მეორე დღეს კვირა იყო) ერთი ახალგაზრდა, მათზე ორი წლით უფროსი ლადო შემოხვდათ, რომელიც ლაშას ზაფხულში აგარაკზე გაეცნო და დაახლოებოდა. ლადომ მეგობრები შინ მიიპატიჟა და ახალი მუსიკალური ჩანაწერები მოასმენინა. მუსიკითა და ცეკვით გული რომ იჯერეს, მასპინძელმა სტუმრები სარდაფში ჩაიყვანა, ხილით გაუმასპინძლდა და რამდენიმე სხვადასხვა მარკის ღვინოც დააჭაშნიკებინა — ჯერ თითო ჭიქა, მერე მეორე, მესამე... ქუჩაში გამოსულ ბიჭებს ცა ქუდად აღარ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად, გაჭირვეულდნენ, ჯერ ერთმანეთს წაეკინკლავნენ, მერე ავტობუსში უდიერად მოექცნენ უცნობ ქალიშვილს... და ბოლოს მილიციაში ამოჰყვეს თავი.

ახლა თავად დაფიქრდით, რაღა ფასი ექნებოდა ლევანის თვალში ლაშას ხვალინდელ სამაგალითო საქციელს? მან ხომ დაამტკიცა, რომ თანამიმდევრული არ ყოფილა თავის განზრახვასა და მოქმედებაში, რომ ცდუნებამ დასძლია და ვეღარ შეასრულა საჯაროდ ნაკისრი ვალდებულება, დანაშაული ჩაიდინა ამხანაგისა და ამხანაგების მიმართ.

პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საკუთარი საქციელის გამო — აი, რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ შენზეც არ თქვან: ეს ყმაწვილი მხოლოდ გარეგნულად, ზედაპირულად, ფორმალურად არის მოწესრიგებული პიროვნება, თორემ მისი სულის სიღრმეში რომ ჩაიხედო ან საქმით გამოსცადო იგი, სულ საპირისპირო შთაბეჭდილება შეგექმნებაო.

ერთხელ გატეხილი სახელის გამრთელება კი ძნელია.

**არჩილ ჩაჩიბაია,**

**მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# ჩანაფიქრმა გამიმართლა

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თვითონ ვიყავი პიონერი და კარგად ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის ყურადღებას შენს მიმართ. როცა რამეს დაგავალებენ, უნებლიეთ იფიქრებ, რომ თურმე შენც საჭირო ყოფილხარ, შენი იმედი აქვთ და გენდობიან, მაშასადამე — შენც შეგძლებია რამე კარგის, სასარგებლოს, მნიშვნელოვანის გაკეთება.

ახლა მე თვითონ ვარ ხელმძღვანელი: მეექვსეკლასელებთან, № 3 რაზმის პიონერებთან ვმუშაობ.

მეექვსე კლასში კარგი მოსწავლეები არიან. ბევრია წარჩინებულიც: ზ. და მ. ბუბუტეიშვილები, ზ. ქართველიშვილი, ლ. სანიკიძე, ზ. და ნ. მეფარიშვილები და სხვანი. ისინი არც პიონერულ დავალებებზე ამბობენ უარს. მაგრამ როცა ამ რაზმთან მუშაობა დავიწყე, გადავწყვიტე, რომ დავალებები მარტო ხუთოსნებისთვის კი არა, სამოსნებისთვისაც მიმეცა (აკი სამართლიანად მიგვითითებენ უფროსები: „არც ერთი კომკავშირელი და პიონერი არ დარჩეს მუდმივი თუ დროებითი კომკავშირული ან პიონერული დავალების გარეშეო“). მართლაც, ხომ შეიძლება, რომ ბავშვი რაღაც მიზეზით წარჩინებულად ვერ სწავლობდეს, მაგრამ შეეძლოს ხატვა, გაზეთის ლა-

მაზად გაფორმება, ოქტომბრელებთან მუშაობა, ჯართის ან მაკულატურის შეგროვების ორგანიზაცია, ხოლო რომელიმე ხუთოსანს ეს თვისებები საერთოდ არ გააჩნდეს? გარდა ამისა, ვიფიქრე, რომ ნდობა სამოსნების პასუხისმგებლობას აამაღლებდა და იქნებ სწავლის დონეზედაც ემოქმედა.

წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა დავინახე, რომ მოლოდინი გამიმართლდა. რამდენიმე სამოსანმა მართლაც თვალდათვალ მოუმატა სწავლას, ახლა ისინი მარტო ოთხებს კი არა, ხუთებსაც ხშირად ღებულობენ, უფრო ყურადღებიანები და დისციპლინიანები გახდნენ.

ერთხელ ერთ მათგანს პირდაპირ ვკითხე: გამოცოცხლებას გატყობთ, თანდათან უკეთესი ხდებით, რაშია საქმე, რამ იმოქმედა-მეთქი?

— შარშან და შარშანწინ ჩვენი ხელმძღვანელი პიონერულ დავალებებს მარტო ხუთოსნებს აძლევდა, სამოსნებს არაფრად გვაგდებდა, თქვენ კი უყოყმანოდ გვენდეთ, — მივიღე პასუხი. — ჩვენც საკუთარ თვალში ფასი მოგვემატა და გადავწყვიტეთ, რომ უკეთ სწავლა შეგვეფერებოდაო. მომავალში კიდევ უფრო ბეჯითად ვიმეცადინებთო...

**ლალი სანიკიძე,**
ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის კ. კეკელიძის სახელობის საშუალო სკოლა, IX კლასი.

## საპირისპიროს როცა აკეთებ...

„აისის" მასალებს ხშირად ვკითხულობ ხოლმე, რადგან თითქმის ყველა წერილი თითქოს უშუალოდ ჩემი და ჩემი ამხანაგების ცხოვრებას ეხება ან ეხმაურება.

გულში ჩამრჩა ერთ-ერთი ავტორის ნათქვამი: დანაშაული ზოგჯერ ვითომდა ბავშვური სიანციდან იწყებაო. მართლაც რომ ასეა! ამიტომ სწორედ პატარებს უნდა მოვეპყრათ განსაკუთრებული ყურადღებით, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ყურადღება „მოვალეობის მოხდის" სურვილით კი არ იყოს ნაკარნახევი, არამედ პირდაპირ გულიდან მომდინარეობდეს.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამხანაგი არ უნდა დავამციროთ, უმცროსს უნდა დავუთმოთ, თანატოლის თავმოყვარეობას გავუფრთხილდეთ. დიახ, ეს ვიცით, მაგრამ ვიქცევით კი ყოველთვის ამ ცოდნის შესაბამისად?

სამწუხაროდ, არა.

გული მატკინა „აისის" ამასწინანდელმა კორესპონდენციამ — „ვინ მეტი დააშავა?" ის მოსწავლე, ვინც დამნაშავე დაფარა, სწორად არ მოიქცა. ეჭვიც არ მეპარება, მან მშვენივრად იცის, რომ პიონერმა სიმართლე უნდა თქვას, მაგრამ მისი ეს ცოდნა მხოლოდ ფორმალურია და სწორედ ამიტომ იყო, რომ იმ მოსწავლემ არ დაასახელა დამნაშავე, ვინც ამდენი დრო წაართვა მასწავლებელსა და ამხანაგებს.

ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ როცა დილით, გაკვეთილების წინ, მას საშინაო დავალების რვეულს დავუთმობთ გადასაწერად, ეს დათვური სამსახურია და არა ამხანაგობა.

პიონერი, ამხანაგი თუ მოქალაქე უნდა იყო სულითა და გულით, სისხლითა და ხორცით და არა ისე, სხვათაშორის, ფორმალურად...

თუ ერთს ფიქრობ და მეორეს ჩადიხარ, კარგ საქმეს განიზრახავ და საპირისპიროს აკეთებ, არ უნდა გეწყინოს, უპრინციპო, ფორმალიზმში ჩაძირულ კაცად თუ მოგნათლავენ. პირიქით, შეეცადე, ძალ-ღონე დაძაბე, რომ ნაპირზე გამოხვიდე და ფორმალისტურ ჭაობს თავი დააღწიო.

**ზაურ მაკარაძე,**
შუახევის რაიონის ოლადაურის საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

## ჩვენი თეატრი

ჩვენს სკოლასთან მოქმედებს პიონერული თეატრი „მერცხალი".

ეს თეატრი 1969 წელს ჩამოყალიბდა და დიდი წარმატება მოიპოვა. ჯერ კიდევ 1970 წელს, მოსწავლეთა მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მან წარმოადგინა გ. ჭიჭინაძის „ციცქნა ის დღეობა" და ლაურეატის წოდებაც მოიპოვა. ამავე წელს მოეწყო შეხვედრა საბავშვო მწერალ გ. ჭიჭინაძესთან, რომელიც ჩვენი თეატრის დიდი მეგობარია.

1970 წელს დაიდგა იმავე მწერლის „ცრუმზისა", რომელმაც აღიარება ჰპოვა და სარაიონო დათვალიერებაზე I ადგილი დაიკავა.

„ცრუმზისას" მალე მოჰყვა „ჭრელი ბურთი".

1975 წელს თეატრმა დადგა ლ. უსტინოვის „თავისუფალი ცა", რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლის იუბილეს ეძღვნებოდა.

შარშან კი დავდგით ისევ გ. ჭიჭინაძის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი პიესა „ყვინჩო მამალა". მწერალმა თავის შემოქმედებით საღამოზე მიგვიწვია ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ნორჩ მსახიობთა თამაშს დიდი შეფასება მისცეს თვით მწერალმა და საღამოს მომწყობი კომისიის წევრებმა.

ჩვენს თეატრს შექმნის დღიდანვე დიდი ენთუზიაზმით და თავდაუზოგავად ხელმძღვანელობენ ლ. მახარაძე და ლ. უკლება. ახლა ვემზადებით თეატრის შექმნის ათი წლისთავის აღსანიშნავად და გადაწყვეტილი გვაქვს ახალი პიესის დადგმა.

**მარინე ქავთარაძე,**
ზესტაფონის № 2 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

## მუსიკა გაკვეთილზე

ამ დღეებში მერვეკლასელები „ახალი ისტორიის" კურსს ვამთავრებთ. შევისწავლეთ გამოჩენილ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება. ახლა ცნობილ კომპოზიტორებს ვეცნობით. ჩვენმა ისტორიის მასწავლებელმა მაყვალა ღირსიაშვილმა გადაწყვიტა ერთ-ერთ გაკვეთილზე მოგვესმინა ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შოპენის, ვერდის და სხვათა ნაწარმოებები. პიონერთა ოთახში მართლაც ჩავატარეთ გაკვეთილი-კონცერტი. ჩვენმა თანაკლასელმა მაია ხიმშიაშვილმა შეასრულა მოცარტის „სონატა", ბახის „სამხმიანი ინვენცია" და სხვა.

კონცერტი-გაკვეთილი ყველას ძალიან მოგვეწონა.

**ნინო ქადაგიშვილი,**
გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლა, VIII-ბ კლასი.



ჰერბერტ მიულშტეგი

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი

# გზა ეშაფოტისაკენ

თომას მიუნცერი იყო **1524-1526** წლების, ისტორიაში კარგად ცნობილი, გერმანიის გლეხთა ომის იდეოლოგი და ბელადი. მას, თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულსა და შორსმჭვრეტელ პიროვნებას, სწამდა, რომ მხოლოდ მშრომელ ხალხს შეეძლო ხავსმოდებული ფეოდალიზმის დამხობა და ადამიანთა თანასწორობაზე დამყარებული წყობილების შექმნა. მიუნცერის მიზნები და პრაქტიკული მოღვაწეობა აშკარად უპირისპირდებოდა წარჩინებულთა ფენას, კათოლიკურ ეკლესიას და თვით მარტინ ლუთერის რეფორმაციულ მოძრაობასაც კი.

თომას მიუნცერი შეიპყრეს, აწამეს და **1525** წლის მაისში სიკვდილით დასაჯეს.

უღრუბლო, ლაჟვარდოვანი ცა დაჰყურებდა უნშტრუტის ფართო ველებს. შორს ტყით დაფარული ლამაზი მთები მოჩანდა. მაისის მზეზე ციმციმებდა მიულჰაუზენის კოშკები და სახლის სახურავები. ქალაქიდან ცოტა მოშორებით, გიორმართან, ნაცრისფერი კარვები იყო გამწკრივებული. აქ თავის ლაშქართან ერთად დაბანაკებულიყვნენ საქსონიის, ჰესენის, ბრაუნშვაიგის მთავრები. მაღლა აწეულ მათს ჭრელ ალმებს ქარი აფრიალებდა. მზეზე ელვარებდა მოლაშქრეთა აბჯრები და საჭურველი.

ბანაკის წინ მთავრების ლანდსკნეხტები* იდგნენ. ისინი ფართო წრედ შემორტყმოდნენ გარს ცენტრში აღმართულ ეშაფოტს. რაკი ამ დღეს ფრანკენჰაუზენში გამარჯვებული მთავრები დიდი სასჯელის აღსრულებას აპირებდნენ, ამის მოწმე უსათუოდ მათი თანამებრძოლი ხალხიც უნდა ყოფილიყო. ,

ეშაფოტზე უდარდელად იდგა სისხლისფერტანსაცმლიანი ჯალათი. ეშაფოტის ახლოს, ღრმა სავარძელში ისხდნენ მთავრები. მათ გარს ეხვივნენ აბჯარასხმული მცველები, გაშიშვლებული ხმლებით ხელში. უკან კი მემატიანენი ისხდნენ, რომელთაც მომხდარი ამბები უნდა აეწერათ. პერგამენტზე უკვე აღნიშნული იყო: 1525 წლის 27 მაისი...

ყრუდ გაისმა დაფდაფის ცემა.

მთავრებმა თავი მოაბრუნეს და პატარა, ვიწრო ქუჩას გახედეს, რომელიც ეშაფოტთან გამოდიოდა. იქ ერთი ბერისა და ჯალათის თანაშემწის თანხლებით გამოჩნდა კაცი: ფეხშიშველი მოდიოდა, ჩამოგლეჯილი ტანსაცმელი მხრებზე ეკიდა, გამხდარ, ტანჯულ სახეზე მკვდრის ფერი ედო.

ეს თომას მიუნცერის უკანასკნელი გზა იყო.

ბერი რაღაცაში არწმუნებდა მიუნცერს. არც მოსმენის და არც შეხედვის ღირსად არ გაუხდია თომასს იგი. გაჭირვებით ადგამდა ნაბიჯებს. ეტყობოდა, უმძიმდა სიარული. თუმცა მოსალოდნელი კი არ აშინებდა. მას, ვინც გრაფ ერნსტ ფონ მანსფელდის წამების საკნიდან გამოვიდოდა, უკვე აღარ ჰქონდა სიკვდილის შიში...

გვიან შუაღამემდე გრძელდებოდა დაკითხვა ჰელდრუნგენის ციხე-კოშკში. უკვე თერთმეტი დღე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ თომას მიუნცერს თავი ისევ იმ ციხე-კოშკის სარდაფში ეგონა, რომელიც ბოლო დროს ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცა. ახლაც გარკვევით ესმოდა წამების იარაღის ჟღარუნი, ოქმის შემდგენელთა კალმების წრიპინი. ხედავდა, როგორ დამცინავად შეჰყურებდა მას ერნსტ ფონ მანსფელდი. ახალგაზრდა ლანდგრაფი ფილიპე ცდილობდა, გულგრილად მოეჩვენებინა თავი. ჰესიის ლუთერანელთა მფარველი და გლეხთა აჯანყების ჩამხშობი განუწყვეტლივ იკვნეტდა კოხტა ულვაშებს. მესამე მთავარი, დიდწვერა გეორგ ფონ საქსენი, პაპის მრისხანე მიმდევარი, კრიალოსანს მარცვლავდა.

თომას მიუნცერს ახსენდებოდა ეს და სიძულვილით ევსებოდა თვალები. დღესაც ჩაესმოდა ყურებში მათი ხმა: „რატომ მოუწოდებდი ხალხს ჯანყისა და არეულობისაკენ?“ — სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო დაკითხვა.

თომას მიუნცერმა შორს დაიჭირა:

— თვითონ მთავრებს, ბატონებსა და წარჩინებულთ მიუძღვით ბრალი ღარიბთა რისხვაში. განა ზეცას არ სწვდება თქვენი უსამართლობა? ღარიბებს უქადაგებთ არ იქურდოო, თვითონ კი ყველაფერს იჩემებთ: მიწას თავის ნარგავებიანად, ტყეს — ნადირითურთ; ყველაფერი თქვენია — ცაში ფრინველი და წყალში თევზი. თან უბრალო ადამიანს გულს უწყალებთ ღვთის წყალობაზე ლაპარაკით...

— ღმერთმა დააწესა ყოველივე ამქვეყნიური — დაიღრიალა დიდწვერა ჰერცოგმა გეორგმა, ხოლო ლანდგრაფმა ფილიპემ მშვიდად დაუკრა კვერი:

— კარგიც და ცუდიც, გულმოწყალეც და გულქვაც — ყოველი ღვთისაგან არის!

— თავდაპირველად არ არსებობდა წარჩინებულთა წრე და არც მა-

*) ლანდსკნეხტი — დაქირავებული ჯარისკაცი.

რადიულია მისი არსებობა, — შეეპასუხა მთავრებს თომას მიუნცერი. — ღმერთმა ის სასჯელის სახით მოგვივლინა, რადგან ადრე ვიყავით ხარბები, გაუმაძღრები, თავმოთნენი და სასტიკნი. ერთ მშვენიერ დღეს ღმერთი ისევ მოსპობს ამას, როგორც ძველ ქოთანს...

— როგორ მოსპობს, მიუნცერ?!

— ხალხის ძალით მოსპობს! რომ ადამიანებმა ისევ ადამიანურად იცხოვრონ, თუ გნებავთ, როგორც თქვენ ამბობთ: ღვთისნიერად... ყოველ შემთხვევაში — ძმურად, თავისუფლად... საკუთარი თავის მეუფედ მხოლოდ ღმერთი იწამონ და სხვა არავინ.

— წყეულო ავყიავ, ყბედო! — წამოიჭრა გაафთრებული დიდწვერა გეორგი. მანსფელდმა ჯალათებს მოუხმო, რომლებმაც ლანდგრაფის ხმამაღალ ხარხარზე ისევ უკან დაიხიეს. „ნუთუ მართლა ფიქრობს მიუნცერი, რომ ღმერთი თავის იარაღად ბრიყვ ღატაკებსა და ბინძურ გლეხებს აირჩევს?“

— სწორედ ღარიბ ხალხს აირჩევს! სხვას ვის შესწევს ძალა ახალი და სამართლიანი წყობა დაამყაროს? მანამდე კი ისინი ზნეობრივად უნდა განიწმინდონ, იქცნენ ნამდვილ ქრისტიანებად, დასძლიონ საკუთარ არსებაში ბოროტება, დაჰგმონ სიხარბე, გამყიდველობა, ძალაუფლებისა და მომხვეჭელობისაკენ სწრაფვა! არასოდეს უარყონ სიმართლე, არც გაჭირვებაში, არც ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის შიშით. ასეთი გზით ისინი, ისევე, როგორც ძველ დროს, ღმერთის ღირსი გახდებიან. აი, მაშინ გვექნება ჩვენ ღვთის სამყოფელი დედამიწაზე!

— მთავრებსა და ბატონებს რაღას უპირებ?! დახოცავ, ამოწყვეტ?!

თომას მიუნცერმა უყოყმანოდ მიუგო:

— ასე იქნება, ამას ვერ გავექცევით!

შემდეგ მან ილაპარაკა ორგვარ წარჩინებულთა წრეზე, რომ წარჩინებულნი კარგნიც არიან და ცუდებიც — ტირანები. და რომ კარგები, ღვთისმოშიშნი ხალხს უნდა მიუდგნენ.

— რისთვის?

— რათა დაიცვან ქრისტიანი ხალხი თავისი ხმლით! და ამოწყვიტონ ყველა ულმერთო ტირანი...

— შეჩერდი — სიტყვა გააწყვეტინა ლანდგრაფმა ფილიპემ. — წინააღმდეგობაში ვარდები. შენ ამბობ, ამქვეყნიური სამყოფელი წარჩინებულთა გარეშეო, — მაშინ სახედარი ხეზე ავა, მე რომ გულმოწყალე მთავრებს ხმალს დავუთმობ! ხმალი ხმალია და წარჩინებულთა წრე — წარჩინებულთა წრე!

— აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა! — მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე მიუნცერი. — კეთილი მთავრები ჯერ ბოროტებს დასძლევენ, შემდეგ ნებაყოფლობით შეუშვებენ ხმალს ხელს და ძმურად იცხოვრებენ ძმათა შორის.

— ფუი ეშმაკს! — შეძრწუნდა მანსფელდი. შემდეგ დაცინვით მადლობა გადაიხადა ღატაკებთან დაძმობილებისათვის და დაინტერესდა, რა ბედი უნდა სწეოდა მას, გლეხებს რომ მისი მამული—ჰელდრუნგენის ციხესიმაგრე ეგდოთ ხელთ.

ერთ წუთს გამბედაობამ უღალატა თომას მიუნცერს: იქნებ გაჩუმდეს და ზედმეტად არ გააღიზიანოს მტარვალი?.. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წუთს გრძელდებოდა:

— შენ თავს წაგაცლიდა ქრისტიანი ხალხი, გრაფ ერნსტ, რადგან არა ერთხელ დაამტკიცე შენი ტირანობა და მტრობა მის მიმართ!

ჯალათებმა თომას მიუნცერი სკამს მიაკრეს, პერანგი ჩამოახიეს და როზგებს დაავლეს ხელი. დამცინავად გაისმოდა მანსფელდის ხმა: „ესეც შენ, თომას, როგორ მოგწონს?“

ჰერცოგი გეორგი და ლანდგრაფი დაბეჯითებით მოითხოვდნენ მიუნცერისაგან ყველაფერი უარეყო: უარი განეცხადებინა იმაზე, რაც აქამდე ეთქვა და დაეწერა. თომას მიუნცერმა მთელი ძალ-ღონე მოიკრი-



-ბა, დაძლია შიში და პირში მიახალა მტარვალებს:

— ღვთის ნებაა, ყველანი თანასწორნი იყვნენ, და ვაი იმ მთავარს, ვინც ამას წინ აღუდგება: უსათუოდ თავს წააგებს!

მაშინ თომასს მთელი ჯოჯოხეთი დაატყდა თავს. იგი კვნესოდა, საბრალოდ ჩიოდა, ყვიროდა ტკივილებისაგან, მაგრამ არც ერთხელ არ უარყვია თავისი მოძღვრება. კიდევ დიდხანს იქნება დიდწვერა გეორგი მონანიების მოლოდინში?

როცა წამებისას თომას მიუნცერს შეფიცულთა სახელები მოსთხოვეს, ალაპარაკდა. მაგრამ ჩამოთვლილთა შორის მხოლოდ მკვდრების სახელები აღმოჩნდა. ამის გახსენებამ ეშაფოტისკენ მიმავალ თომას მიუნცერს სახე გაუნათა.

მთავრები დაჟინებით მისჩერებოდნენ მას. გუშინ ამ კაცისა ეშინოდათ, აკანკალებდათ მისი სახელის ხსენებაზე. ახლა კი გამარჯვებას ზეიმობენ, მაგრამ უფრო დიდი იქნებოდა მათი ზეიმი, რომ შესძლებოდათ ღატაკებისა და გლეხებისთვის ეთქვათ: „თავისი აღსასრულის წინ მან, თქვენმა მიუნცერმა, უარყო ყველაფერი! ძალა გამოილია ეშმაკის მოციქულს! შენდობა ითხოვა, წყალობას გვემუდარება!“ აი, ეს მოახდენდა ბრბოზე შთაბეჭდილებას!

— წმინდა მსახურთ უნდა ვუმადლოდეთ, — ჩაილაპარაკა ჰერცოგმა ფონ ბრაუნშვაიგმა და კმაყოფილებით მიუბრუნდა გეორგ წვეროსანს:

— ჯალათებს კარგად უწვალებიათ, მაგრამ გამოუფიტავთ!

ჰერცოგმა გეორგმა გამომცდელად შეათვალიერა მიუნცერი. კარგი იქნებოდა, ბრაუნშვაიგის სიტყვები სიმართლესთან ახლოს ყოფილიყო. გატეხილი მიუნცერი სიკვდილის ჟამს მშვიდობას დაამყარებს ეკლესიასთან. მხოლოდ ერთადერთ მხსნელთან — კათოლიკურ ეკლესიასთან ჰპოვებს ის საერთო ენას. მაგრამ მიუნცერის გვერდით მიმავალი ბერი ტყუილად ირჯებოდა. „წყეული ცოდვილი!“ — კბილებში გამოსცრა ჰერცოგმა. ფილიპე ფონ ჰესენიც ილანძღებოდა. მას მიუნცერის გვერდით მიმავალი ბერიც შესძულდა. ბრაუნშვაიგი აფორიაქდა: ეს არის გამოფიტული, გატეხილი მიუნცერი? შეიძლება სხეულით იყოს გატეხილი, მაგრამ სული, ნებისყოფა?

როცა თომას მიუნცერმა ბარბაცით ჩაუარა მთავრების სავარძლებს, ჰერცოგი გეორგი წამოხტა და ბერი ხელით ჩამოაშორა მიუნცერს.

— თომას! — მიმართა მან, — ნუთუ ასე მოურჯულებლად და ცოდვების მოუნანიებლად აპირებ საფლავში ჩასვლას? ჯერ კიდევ არის დრო, მობრუნდი. მონანიებულ ცოდვილს ჩვენი ეკლესია გულმოწყალედ ღებულობს. არ გაწუხებს, წინ რომ აღუდექი მას?!

— არა! — წამოენთო ლანდგრაფი ფილიპე. — ბევრის ნებას აძლევთ თავს, ჰერცოგო! ისევ კათოლიკე უნდა გახდეს მიუნცერი? ამას არავინ გთხოვს, მიუნცერ, ამაზე ნუ დარდობ! შენ მხოლოდ შენს ჯანყზე, შენს ეშმაკეულ სიტყვებზე თქვი უარი, მოინანიე!

ჰერცოგმა გაურკვევლად ჩაიბურდღუნა:

— ლუთერანელო ლაწირაკო!..

თომას მიუნცერმა მთავრებს დაბინდული თვალებით შეხედა. მათში დაცინვა გამოსჭვიოდა. მან ხმამაღლა და მტკიცედ წარმოთქვა:

— არაფერი მაქვს მოსანანიებელი! თქვენ კი, მთავრებო, გირჩევთ კარგად წაიკითხოთ წმინდა სახარება და გაიხსენოთ, როგორ ამთავრებენ ტირანები ცხოვრებას.

— რას როშავ, მიუნცერ! — ასისინდა ლანდგრაფი.

დიდწვერა გეორგი დაჟინებით განაგრძობდა:

— იფიქრე დაღვრილ სისხლზე! 6000 დახოცილი წევს ფრანკენჰაუზენში და კიდევ მრავალი იღუპება ჯალათის ხელით! შენს გამო, შენი დანაშაულით, თომას! ნუთუ მართლა უარს ამბობ შენი შეცოდების მონანიებაზე?

— მე ვერ ვხედავ შეცოდებას! ეს არის მხოლოდ, მეტისმეტად დიდ საქმეს მოვკიდე ხელი, ძალიან ბევრი მოვინდომე.

ერთხანს შეჩერდა, ჩაფიქრდა და თქვა:

— რაც დღეს შეუძლებელია, ის ხვალ გახდება შესაძლებელი, ხვალ!..

ბრაუნშვაიგმა გააწყვეტინა:

— ეგ ჩვენ დაგვიტოვე სადარდებლად, მიუნცერ, შენ კი აღსარებაზე იფიქრე, აღსარებაზე და შენს სულზე! — და შემდეგ მუდარაზე გადავიდა, დაბეჯითებით სთხოვდა, არწმუნებდა. თომას მიუნცერმა მოურიდებლად შეაქცია ზურგი მას, ერთხელ კიდევ მოავლო გარშემო თვალი, გახედა ამწვანებულ გორაკებს, რომლებიც ტიურინგიელი ლანდსკნეხტების შუბებისა და აფთების იქიდან ალერსიანად მოუხმობდნენ. შემდეგ კი უსიტყვოდ განაგრძო გზა ეშაფოტისაკენ.

გერმანულიდან თარგმნა
მედეა კოდუამ

# კაი ყმა

**შარშან** ზაფხულს თიანეთის სოფელ საყდრიონში ხალხური ზეპირსიტყვიერების შესაკრებად მიმავლინეს. იმ დღეს სამოცდაათ წელს მიღწეული გიგო რუხიაშვილისაგან ფოლკლორულ ნიმუშებს ვიწერდი. ქალარა, სანდომიანი ქალი მოგვიახლოვდა და ღიმილით მოგვესალმა. გიგომ თხრობა შეწყვიტა და გამოესაუბრა:

— რა ჰქენი, თამარ, გამოცდებს არ მორჩი?

— კი, დღეს დავამთავრე.

— კაი ყმა რამდენი გვყავს?

— ექვსი.

— კლასში სულ რამდენი ბალღია?

— ოცდაერთი.

— ცოტა კაი ყმა გყოლია! — წარბი შეიკრა გიგომ და მცირე ჩაფიქრების შემდეგ ექსპრომტად კაფია წარმოთქვა. სანამ იმ ლექს-კაფიას გაგაცნობდეთ, ჯერ „კაი ყმაზე“ ვისაუბროთ.

კაი ყმას ქართველი ხალხი უძველესი დროიდან უწოდებდა გმირ ვაჟკაცს, რომლის ფიზიკური სიმტკიცე და ზნეობრივი სიწმინდე ყველა თაობისათვის მისაბაძად ითვლებოდა. ქართულ ფოლკლორში კაი ყმისადმი მიძღვნილ პოეტურ ნაწარმოებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხალხი კაი ყმას უკვდავების შარავანდედით მოსავდა იმ ვაჟკაცური ღირსებების გამო, რომლითაც იგი გამოირჩეოდა. რა ღირსებები იყო ეს?

კაი ყმა უშიშარი და მამაცი მებრძოლი იყო. თავდადებულ დარაჯად ედგა მამულს და ერის კეთილდღეობისათვის სიცოცხლესაც არ იშურებდა. საქართველოს ისტორიის მძიმე ხანებში მის უტეხ გულსა და მებრძოლ ხასიათს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვაჟაფშაველა ამის თაობაზე წერს: „ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად ულირდა ვაჟკაცი. კაი ყმა ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცემისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი. იგი იყო იმისი ნუგეში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი ყმის გულადობასა და ვაჟკაცობას კარგად გვიხატავს ხალხური ლექსის სტრიქონები:

მაშინ კარგია კაი ყმა,
როს დილა ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
„ომს ვიზამ“, იმუქრებოდეს.
ლურჯაი ჰხრავდეს ლაგამსა,
წალმა-უკუღმა დგებოდეს,
ათოთქროვებდეს მხედარი,
ტყვია ტანზედა ხვდებოდეს.

კაი ყმა იმის მიხედვითაც ფასდებოდა, თუ როგორ ფლობდა იგი საბრძოლო იარაღს:

დატრიალდება კაი ყმა,
ხანჯალი შეიქმს ელვასა,
იმოციქულებს ისარნი,
შუბნი მოიქნევს ენასა.

მრავალ ქართულ ფოლკლორულ ნაწარმოებშია დახატული კაი ყმის დაუვიწყარი სახე. ასეთია, მაგალითად: „გიგა და გიორგი“:

ჩათმაში ჩამომდგარიყო
ჩვიდმეტი ფარა ცხვარიო,
გაიგო, გამოიმართა
გადამთიელთა ჯარიო.
გიორგიმ უთხრა გიგასა:
ახლა ფასდება ხმალიო,
ჩვენ რომ ცხვარ გავარეკინოთ,
რაღა ბიჭობა არიო,
არ დაგვეხსდომა ჯარზედა,
არ გვიტირებენ დანიო.

გიგას ძმის წაქეზება სულაც არ სჭირდებოდა, ისედაც ბრძოლის ველზე უწევდა გული ვაჟკაცს. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო ბალადის ის ნაწილი, ძმების თავგანწირულ ბრძოლას რომ ეძღვნება:

გიორგი შუა შაფრინდა,
მუშტად შეიკრა გულიო,
რაზმის მოთავეს დაეცა,
თვალთ ჩაუყენა ბურიო.
გიგაი მხარში უდგია, —
სიპზე რქებს იმტვრევს ხარიო,
იბრძვიან უთურის შვილნი,
მტრის ძვლებს ჩამღერის ხმალიო.
გიგასა თოფი დაგვიკრეს,
მოსტეხეს ორთავ მხარიო.
გაჯავრებულმა გიორგიმ
მკლავში მოიცა ძალიო,
ჩაექანა და ჩავიდა,
ჩალად ჩაყარა მკვდარიო.

მართალია, უთანასწორო ბრძოლაში გიგა სასიკვდილოდ დაიჭრა, მაგრამ ძმებმა შეძლეს, მტერი შეეჩერებინათ და სოფლის სიმდიდრე დალუპვისაგან იხსნეს.

კაი ყმა უსამართლობასა და თავგასულობას ვერ იტანდა. იგი სუსტთა და ჩაგრულთა მოსარჩლე და გაბედული დამცველი იყო. ეს კარგად ჩანს ლექსში „გიგლია“. სოფელ ახადს მოთარეშეები დაეცნენ და რამდენიმე ლამაზი ქალი გაიტაცეს. გიგლიამ მყის იარაღი აისხა და თავდამსხმელებს გამოუდგა. გააფთრებულ ბრძოლაში მან დიდი გაბედულება და მოხერხება გამოიჩინა, მომხდური დაამარცხა და ტყვეები გაათავისუფლა:

ქალებ შინ გამაისტუმრა:
— „მშვიდობით, დებო, გზაზედა!
მე თუში, თქვენაც ფშავლები,
ნუ გამცვლით სხვა-და-სხვაზედა!
ნუ იტყვით ჩემსა სახელსა,
ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა!“

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსის ბოლო სტრიქონები — გიგლიას სულაც არ უნდა, მისი გმირობის ამბავი ქვეყანას შეეტყო. იმითაც კმაყოფილია, რომ ბოროტებას წინ აღუდგა და სიკეთეს გაამარჯვებინა. კაი ყმისთვის ტრაბახი და კვეხნა უცხო იყო. ამის თაობაზე დიდებულლად არის ნათქვამი ლექსში „ჩალად არა ღირს“:

ღვინო კი მათრობელა სჯობს,
ძაღლი თეოზე მყეფარი;
კაი ყმა ღინჯი სჯობია,
რო გაჭირდება — მჭეხარი.
ჩალად არა ღირს კაი ყმა
დიაცთ მიმყოლი, მკვეხარი.

კაი ყმა მეგობრისა და მოძმისათვის თავდადებული რაინდი იყო:

ძმადნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,
მოძმისთვის თავის დადება
კაი ყმის გულზე სწერია.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კაი ყმის სტიქია მხოლოდ მტერთან შერკინება, ხმლის ვაჟკაცური მოქნევა და ფარის ფარება იყო. კაი ყმა შრომაშიც ისეთსავე სიმამაცესა და თავდადებას იჩენდა, როგორც ბრძოლაში. ამიტომაც გოგონებს პატარაობიდანვე კაი ყმისადმი სიყვარულს უღვივებდნენ:

კარგ ყმას შაჰყვარდი, ქალაო,
ნუ სახლსა ცხვარ-ბევრისასა, —
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა.

ფოლკლორში ხშირად ცუდ ყმაზეც არის საუბარი. ხალხი დაპირისპირების მხატვრულ ხერხს მიმართავს და ამ გზით კაი ყმის ვაჟკაცურ თვისებებს კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს:

ატირდა კაი ყმის ცოლი:
„აღარ მამივა შინაო“.
იცინის ცუდაის ცოლი:
გამაიქცევა წინაო.
გამაქცეულის მასვლასა
არ-მასვლაი სჯობს შინაო“.

ან:

კაი ყმის ნაბინავარში
შეშანი დარჩებიანო,
ცუდაის ნაბინავარში
ქარნი ნაცართა ჰყრიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბედული გულითა და შრომა-გარჯით კაი ყმა საყოველთაო პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებდა. მისადმი ხალხის სიყვარული მიმზიდველად ჟღერს ლექსში „ღმერთო, ნუ მაჰკლავ“:

სოფელს სტირიან ქალები:
ვაი, კაი ყმა კვდებაო,
ღმერთო, ნუ მაჰკლავ კას ყმასა,
სოფლობა წაგვიხდებაო,
მოყვარესთან და მტერთანა
წინ ვინღა წაგვიძღვებაო.

აღსანიშნავია, რომ კაი ყმის მხატვრულად განზოგადებული სახე ვაჟა-ფშაველამაც წარმოგვიდგინა ვრცელ ლექსში „კაი ყმა“. დიდი პოეტის აზრით, კაი ყმა უნდა იყოს მგზნებარე პატრიოტი და მამაცი მებრძოლი:

მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს,
იქ იდგეს ხმალამოწვდილი,
სად ძალა ალმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისი იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.

ახლა გავეცნოთ გიგო რუხიაშვილის იმპროვიზირებულ ლექს-კაფიას, რომლითაც მან თამარს მიმართა:

ექვსი გყოლია კაი ყმა,
ექვსი ჩანჩქერი მთისაო,
ექვსი ძალიან ცოტაა,
არ შეგფერს მთების შვილსაო.
კაი ყმა უნდა ამრავლოთ,
კაი ყმა მომავლისაო,
გმირები სწავლა-ცოდნისა,
ჩაუქრობ სინათლისაო.

როგორც შემდეგ შევიტყვე, თამარი საყდრიონის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ყოფილა. მის სადამრიგებლო კლასში ექვს მოსწავლეს ხუთებზე ჩაუბარებია გამოცდები. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით იმან მიიქცია, რომ გიგომ მასწავლებელს ხუთოსნები არც უხსენა, კაი ყმა რამდენი გყავსო, ჰკითხა. ჩანს, „კაი ყმამ“ ხალხში ახალი ნიუანსი შეიძინა—იგი ხუთოსან მოსწავლესაც აღნიშნავს.

ნოდარ შამანაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ზ. ძნელაძის** სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ლექტორიუმი ერთ დღეს საპატიო სტუმრებს დაეთმო.

დედაქალაქში სასახლის პიონერული და კომკავშირული მუშაობის განყოფილების მოწვევით ჩამოვიდნენ: ი უ რ ი გ ო ვ ო რ ი უ ხ ი ნ ი — ფოთის მე-4 საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, სამხედრო ნაწილის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; დ ე მ უ რ მ ა ზ მ ი შ ვ ი ლ ი — თბილისის 82-ე საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა; მ ე ვ ლ უ დ ლ ა შ ა უ რ ი — თბილისის 114-ე საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, ელმავალმშენებელი ქარხნის სარემონტო-სამშენებლო საამქროს მღებავი; გ უ რ ა მ ი ო ნ ა ნ ი ძ ე — ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროზეინკალი; მ ზ ი ა ღ ვ ა ლ ა ძ ე — ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, მე-2 მუსიკალური სკოლის პედაგოგი; ა ზ ა ქ უ რ ც ი კ ი ძ ე — რკინიგზის შორაპნის მე-8 საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, ქარხანა „ელექტროელემენტის" ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი; თ ე მ უ რ ბ ა ს ი ლ ა ძ ე — ზესტაფონის მე-5 საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, ფეროშენადნობთა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; ლ ი ზ ა ა რ ს ე ნ ი ძ ე — ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი, მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა; ნ ა თ ე ლ ა ს უ ლ ა ძ ე — საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის მდივანი.

საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე რაზმის ხელმძღვანელებმა განაზოგადეს თავიანთი საქმიანობა:

**იური გოვორიუხინი:** — ასაკით ჩემზე უმცროსებთან მეგობრობა სკოლაშივე შემეძლო, მეცხრე-მეათე კლასელი რომ ვიყავი, პიონერული რაზმი მებარა. 1974 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გამიწვიეს, აქ სკოლებში სამხედრო-საშეფო მუშაობა დამავალეს, თავდაპირველად მეოთხე სკოლელებთან ერთად საერთო ღონისძიებებს ვამზადებდი. ერთად დავდიოდით ექსკურსიებზე, პიონერები ჩვენს ხომალდზეც მოვიწვიე, მთელი რაზმი ჩვენს მეზღვაურებს გავაცანი. მართალი გითხრათ, თავიდან ჩემი მოვალეობა არც ისე ადვილი მეჩვენა, პიონერულ მუშაობაზე საჭირო ლიტერატურა გადავიკითხე. ვცდილობდი, პიონერებთან ყოველი შეხვედრა საინტერესო გამომსვლოდა, თუ ერთ კვირა დღეს ისინი ჩემი ხომალდის სტუმრები იყვნენ, მეორე კვირას ტყეში მივდიოდით. ყველას შევასწავლე მორზეს ანბანი, კიდევ ალმებით ნიშნის მიცემის წესები, პატრიოტული სიმღერები; ერთად ვწერდით მისალოც ბარათებს ომის ვეტერანებისათვის.




...იგორს მამა არა ჰყავს: დედამისს საშუალება არა აქვს სისტემატურად გააკონტროლოს შვილი. იგორი ხშირად აცდენდა გაკვეთილებს, სკოლაში „გამოუსწორებელის" სახელით იყო ცნობილი, პირველად მას მათემატიკის გაკვეთილზე შევხვდი (ხშირად ვესწრები ხოლმე გაკვეთილებს, მაინტერესებს როგორ სწავლობენ ჩემი რაზმის პიონერები).

ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, მე და იგორი შინ ერთად წავედით. ძალიან მომეწონა. ბიჭი ზღვაოსნობაზე ოცნებობს, მთელ ჩემს თავისუფალ დროს მასთან ვატარებდი. გავიგე, რომ შინ სულ მის ზურგზე გადადიოდა საოჯახო საქმეები, თეთრეულსაც კი აუთოებდა და ჭურჭელსაც ის რეცხავდა. შეეძლო გაზქურის შეკეთება, სახლის მილაგება, ერთი სიტყვით, იგორი კარგი მეურნე გამოდგა. შინ თუ სკოლაში ხშირად ვაკითხავდი მას და ისიც უკვე აღარ აცდენდა გაკვეთილებს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა სწავლას. დღეს იგორი სკოლაში სანიმუშო ყოფაქცევითა და კარგი სწავლით გამოირჩევა.

მეორე „ძნელადაღსაზრდელიც" მყავდა, ფილიპე, მან პაპიროსის მოწევა დაიწყო, სპირტიან სასმელებსაც მიეტანა, გაკვეთილებზე სულ მუდამ აგვიანებდა, არ ასრულებდა საშინაო დავალებებს. ისე კი ცუდი ბიჭი არ ჩანდა. გავიგე, რომ სპორტი იტაცებდა, უკრავდა აკორდეონზე, სწავლაც უკეთ შეეძლო. ფილიპეს შინ მივაკითხე; ვესაუბრე მის მშობლებს, თვითონ ფილიპე მეზღვაურების ცხოვრებით დავაინტერესე, მორზეს ანბანი ვასწავლე, მისი ყურადღება და ნდობა დავიმსახურე სამი წელია, რაც მას ვეხმარები და მისი ცხოვრებაც მოწესრიგდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ისე არაფერი ამაღლებს პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, შეგნებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმისადმი". სწორედ ამისათვის იბრძვის ჩემი პიონერული რაზმის აქტივი, მისი თითოეული პიონერი.

**მევლუდ ლაშაური:** — თბილისელი ელმავალმშენებლები დიდ ყურადღებას ვუთმობთ პიონერებთან მუშაობას. ვიცით, რომ 114-ე საშუალო სკოლის ოლეგ კოშევოის სახელობის რაზმეულში 11 რაზმია. ჩვენი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის დავალებით რაზმებზე მოწინავე მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები შეფობენ. ისინი კვირაში ერთხელ ხვდებიან საშეფო რაზმებს.

ჩემი მეორერაზმელები მეშვიდე კლასში სწავლობენ, თავიდან, როცა, ეს საქმე მომანდეს, ძალიან ვღელავდი, თვითონ ბავშვები თბილად შემხვდნენ.

იმ ხანებში გაზეთებიდან შევიტყვეთ თბილისის 119-ე საშუალო სკოლის პიონერების თაოსნობაზე. სწავლასა და შრომაში ისინი ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მუშებს ბაძავენ, სოციალისტურ შრომის გმირ

გიორგი კურტანიძესთან მეგობრობენ. მათ ჩვენც მხარი ავუბით. ჩემი რაზმის პიონერებმა რობერტ ვარდიძის ახალგაზრდულ-კომკავშირულ ბრიგადას და ამწყობი საამქროს ზეინკალს ირაკლი გელაშვილს მიბაძეს და მუშებთან მეგობრობით თავი ისახელეს. ამის შესახებ ითქვა ჩვენს ქარხანაში ჩატარებულ რაზმეულის შეკრებაზეც. პიონერულ რაზმზე შეფობა შემდეგ მთლიანად ჩემმა კომკავშირულმა ბრიგადამ იკისრა.

პიონერებთან მუშაობა საინტერესო მეჩვენა, ჩვენ ერთად შემოვიარეთ მთელი ქალაქი, ვიყავით კომკავშირის ხეივანში, დავათვალიერეთ მეგობრობის მუზეუმი, მოგვეწონა მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ერთად ვნახეთ და განვიხილეთ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", ყვავილები მივიტანეთ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში; აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქარხნის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ქარხნის მუშათა შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს, ეს კარგად იციან ჩემი რაზმის პიონერებმაც.

კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და ჩემმა პიონერულმა რაზმმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკოლის შენობის შეკეთებაში, პიონერთა ოთახის კეთილმოწყობაში.

მოსწავლეებისათვის ჩვენი ქარხნის ეზოს ჭიშკარი მუდამ ღიაა, მათთვის სწორედ ჩვენთან, ქარხნის ბაზაზე შეიქმნა საცურაო კომპლექსი; პიონერები აქ გადიან წვრთნას, აქ ემზადებიან „მშთ" ნორმატივების ჩასაბარებლად.

მე-2 რაზმი საკავშირო მარშის სვლაგეზების მიხედვით მიჰყვება ჩვენი ქვეყნის ნორჩ ლენინელთა საინტერესო ცხოვრებას.

— პიონერთა თავისუფალი დრო, როგორ არის იგი ორგანიზებული?

— აი, ჩემი მთავარი საზრუნავი. პიონერები ქარხნის საკვირაო კლუბის ღონისძიებათა მომზადებაში ჩავაბი. რაზმი ხშირად დამყავს ქარხნის საამქროში, სადაც გულდასმით ვაცნობ მათ სხვადასხვა სპეციალობებს. სწორედ ასეთი ექსკურსიების შემდეგ იყო, რომ სკოლაში თავისი უდისციპლინობით ცნობილი უშანგი სააპარატო საამქროს მუშაობით დაინტერესდა, ახლა ის დღის პირველ ნახევარს დაზგასთან ატარებს, მეორე ნახევარს კი სკოლაში. ქარხანამ თავისი დიდი ეზოთი, საამქროებით, იქ მომუშავე კეთილი ადამიანებით უშანგის ახალი სამყარო გადაუშალა თვალწინ და იგი ქუჩას ჩამოსცილდა.

**დემურ მაზმიშვილი:** — „მოსწავლეთა აღზრდა, პიონერებთან მუშაობა მუდამ უნდა იყოს ყველა კომკავშირული ორგანიზაციის დღის წესრიგში, როგორც ერთ-ერთი მთავარი საკითხი, მხოლოდ მაშინ მოვა კარგი შევსება ქარხნების, კოლმეურნეობების, მშენებლობების, ინსტიტუტებისა და ჯარის ნაწილების კომკავშირულ ორგანიზაციებში და მხოლოდ ასე შეიძლება კომკავშირმა წარმატებით შეასრულოს პარტიის პასუხსაგები დავალება — იყოს ნორჩ ლენინელთა ხელმძღვანელი და აღმზრდელი". — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები ჩვენც გვეხება.

...დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს თბილისის 82-ე სკოლასთან. აღსანიშნავია, რომ ჩემი რაზმის ყველა პიონერი კარგად სწავლობს, უმიზეზოდ არავინ აცდენს გაკვეთილებს, ჩვენ საგნების მიხედვით ჩამოვაყალიბეთ საკონსულტაციო საბჭოები. მოვაწყეთ ცნობისმოყვარეთა კონკურსები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში; შევქმენით წიგნისმოყვარულთა წრეც.

ჩვენი ქარხნის საშეფო სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული მუშათა შრომითი მაჩვენებლები, მეორე სტენდი კი მნახველს ჩვენი საშეფო სკოლის მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებზე მოუთხრობს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ძნელადაღსაზრდელებს; ისინი ქარხანასთან არსებული წრეების მუშაობაში მოვიზიდეთ. პიონერულ რაზმთან ერთად ხშირად ვართ ქარხნის საბაზო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში; აღსანიშნავია, რომ 82-ე საშუალო სკოლის 90 კურსდამთავრებულიდან 60 შრომის ფერხულშია ჩაბმული, აქედან 35 ჩვენთან, ქარხანაში მუშაობს.

**ზურაბ იონანიძე:** — ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლა, სადაც რაზმის ხელმძღვანელად გამაგზავნეს, ფეროშენადნობთა ქარხნის თაოსნობითა და დახმარებით აშენდა.

კომკავშირის რაიკომის დავალებით ამ სკოლაში 1976 წლიდან ვმუშაობ; პროფესიით ელექტრომომწყობი ვარ. გატაცებული ვარ სპორტით, ჩემს რაზმში მუშაობა ჩემი პროფესიის პროპაგანდით დავიწყე. რაზმში ბევრი გამოჩნდა ხაზვით გატაცებული, ამიტომაც მაშინვე ჩამოვაყალიბე ხაზვის წრე. შემდეგ ყველანი ქარხანაში წავიყვანე. აქ მათ კიდევ უფრო გაუღვივდათ ინტერესი ზუსტი მეცნიერებისადმი.

სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებ მათთან ყოფნას, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო ჩამივარდება, ჩემი რაზმისაკენ მივეშურები ხოლმე. მაშინვე საკლასო ჟურნალსაც გადავშლი, რაზმის სამუშაო გეგმას, კედლის გაზეთს, ალბომებს ვეცნობი. მიხარია, რომ ხაზვის მოყვარულთა წრის წევრებმაც გამიმართლეს, ორმა მათგანმა ხაზვის რესპუბლიკურ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და პირველი ადგილები დაიკავა.

რაზმი ორი წელია რაც მარჯვენაფლანგელის სახელს ატარებს. აქ ყველას უყვარს სპორტი, ხშირად ვაწყობთ სპორტულ შეჯიბრებებს. პიონერებმა თავისი ხელით მოაწყეს სკოლის სპორტული მოედანი, შეაკეთეს სააქტო დარბაზი. იმასაც ვატყობ, რომ ჩემი მათთან ყოფნა დიდ ენერგიას მატებთ, ჩვენ ერთად ვიბრძვით პიონერულ მუშაობაში დამკვიდრებული ფორმალიზმის წინააღმდეგ.

**ლიზა არსენიძე:** — მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი რაიონში საუკეთესოა. ჩვენი სოფელი დიდია და საქმეც უამრავი გვაქვს, ვცდილობ თითოეულ პიონერს ჩემი პროფესია შევაყვარო, ისინი ხშირად მოდიან მეურნეობაში, მოსწონთ მეფრინველის შრომა.

პიონერული რაზმი ხშირად ეხმარება არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში. შარშან ფერმისათვის 3 ტონა თივა შევაგროვეთ, წლეულს, მე-5 შრომით მეოთხედში რაზმის ბიოგრაფიაში კვლავაც შრომითი წარმატებები ჩაიწერება.

...შეფების, თქვენი უფროსი მეგობრების — კომკავშირელების დახმარებით ბევრი კეთილი საქმე კეთდება პიონერულ რაზმებში.

მოგვწერეთ, როგორ მუშაობენ თქვენთან საზოგადოებრივი პიონერხელმძღვანელები: რა გააკეთეთ თქვენი უფროსი მეგობრების, კომკავშირელთა დახმარებით?



# რუხი მგელი

მგელი ფრიად გამძლე ცხოველია; საუკეთესო ყნოსვა, სმენა და მხედველობა აქვს, შესანიშნავად ეგუება სრულიად განსხვავებულ გარემო პირობებს, კონკრეტული ვითარების კრიტიკულად შეფასების უნარის, თავისი რთული ფსიქიკის გამო მგელს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს; იგი შესანიშნავად გრძნობს თავს ველურ, ხელუხლებელ ბუნებაში, ამავე დროს ადვილად ახერხებს ადამიანის მახლობლად ცხოვრებასაც.

ისტორიულად ადამიანი ყოველთვის მტრობდა მგელს. ამის მიზეზი იყო მგლის სიხარბე. მთელ რიგ ავტორთა (ლ. კრაისლერი, 1966, ფ. მოუეტი, 1968) საწინააღმდეგო ჩვენებების მიუხედავად, ეს ფაქტი ფაქტად რჩება.

მგელს, როგორც საშიშ დამნაშავეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ამერიკაში, ევრაზიაში. გამოჩნდნენ ფანატიკოსი მგელთმოძულენი, რომლებიც მგლის, როგორც ბიოლოგიური სახეობის, განადგურებას ქადაგებდნენ. თამამად შეიძლება ითქვას: მსოფლიოში არსად, არასდროს, არც ერთი მტაცებლის მოსასპობად არ გამოცხადებულა ისეთი მასობრივი კამპანია, როგორიც მგლის წინააღმდეგ გამოცხადდა.

რა შედეგი გამოიღო ასეთმა მასობრივმა ორგანიზებულმა კამპანიამ მგლების წინააღმდეგ?

დღეს ცივილიზებულ ქვეყანათა უმრავლესობაში მგელი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. მაგრამ განა ამით მეცხოველეობის პროდუქციამ მოიმატა? განა ამას სამონადირეო და სარეწაო ფაუნის მომრავლება მოჰყვა? აი, ფაქტები. ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი რამ მოხდა, რამაც ძირფესვიანად შეცვალა მგელზე არსებული ძველი შეხედულებები.

აშშ-ში, სადაც მგლების დევნამ ყველაზე მასობრივი ხასიათი მიიღო, იმდენად მომრავლდნენ ბუნებაში არსებული წინააღმდეგობისაგან თავისუფალი ჩრდილოური ირმები და ცხენირმები, რომ მთლიანად გაანადგურეს მოზარდი მცენარეულობა, შეესივნენ დამზადებულ თივას და როცა ეს უკანასკნელიც მოსპეს, შიმშილისაგან დაოსებულებს ეპიდემია გაუჩნდათ და გავრცელების გარკვეულ საზღვრებში სულ ერთიანად ამოწყდნენ...

საჭირო გახდა მგლის, როგორც ბიოსფეროს ერთ-ერთი კომპონენტის როლის შესახებ ადრე არსებულ შეხედულებთა საფუძვლიანი რევიზია. მეცნიერული ცოდნის საფუძველზე შემუშავებული კანონების თანახმად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაიწყო მტაცებელთა, მათ შორის მგლის შერჩევითი განადგურება ისეთ დონემდე, როდესაც არ ირღვევა ბუნებრივი კანონზომიერებანი.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში? ოფიციალური დამოკიდებულება მგლისადმი იგივე რჩება, რაც წინათ. მისი მოკვლისათვის გამოყოფილია დიდი პრემია და უნდა ითქვას, რომ ეს გარკვეული აზრით გამართლებულია. სრულებით განსხვავებულია მგლის, როგორც მტაცებლის როლი ამერიკაში და ევრაზიაში. თუ კანადასა და ალასკაში მგლის ძირითადი საკვები ცხენირემია, ჩვენში იგი უმთავრესად შინაური ცხოველებით, საქონლით იკვებება.

მაგრამ ამ განსხვავების ხარისხობრივი და რაოდენობრივი გამოხატულება ჯერ კიდევ დასადგენია. დასაზუსტებელია მგლების მიერ მიყენებული ზარალის სტატისტიკა. პრაქტიკულად ვერ ხერხდება მტაცებელის თავდასხმით და მტაცებლისადმი „მიწერილი" თავდასხმით გამოწვეული მსხვერპლის დიფერენციაცია. არასაკმარისად ვიცით ჩვენში გავრცელებული მგლის ბიოლოგია, მისი რეალური როლი ბიოცენოზში.

მიუხედავად ნათქვამისა, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის საბჭოთა ბიოლოგების, ნადირმცოდნეების ხმა მგლის დაცვის სასარგებლოდ, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენში არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, რომ მგელი სასარგებლო ნადირად მოინათლოს. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მგლისადმი დიფერენცირებულად მიდგომის საკითხი მომწიფდა. მისმა ხელაღებით განადგურებამ შეიძლება ისეთივე ზიანი მოგვაყენოს, როგორც მისმა დაცვამ. როგორც ჩანს, საბოლოოდ ამ მტაცებლის ბედი სპეციალისტი ზოოლოგების ხელშია. თუ დღის წესრიგში არ დადგა რუხი მგლის თუნდაც ნაწილობრივი რეაბილიტაციის საკითხი, შეიძლება მთლიანად მოისპოს და მხოლოდ „წითელქუდას" მთავარ გმირად დარჩეს.

არნ. გეგეჭკორი,

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



მოსწავლეთა შემოქმედება

# ბუნებისა და ძეგლის ჰარმონია

ელენე გორგაძე

საქართველოს ბუნების განუმეორებელ სილამაზეს ბევრი პოეტი, მხატვარი თუ კომპოზიტორი აუმღერებია, მაგრამ მარტო ბუნების სილამაზე როდი ხიბლავს ჩვენი სამშობლოს მნახველს. ქართველმა კაცმა — კირითხურომ და ხუროთმოძღვარმა, ოქრომჭედელმა, ფერმწერმა და ჩუქურთმისმჭრელმა — საუკუნეთა მანძილზე შექმნა ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც საოცარი ჰარმონიულობით შეერწყნენ ქართულ რელიეფს: ალავერდი და ხერთვისი, ჯვარი და თმოგვი, გელათი და უჯარმა, სამთავისი და უფლისციხე, ნიკორწმინდა და ბარაკონი...

ბუნებისა და ძეგლის ეს ჰარმონია ბევრი მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა. მშობლიურმა ბუნებამ, მისმა არქიტექტურულმა ძეგლებმა, მხატვრობამ თუ ქანდაკებამ ნორჩ შემოქმედსაც აალებინა ხელში ფუნჯი და სალებავი. სწორედ ამ ნორჩ მხატვართა ნამუშევრები იყო გამოფენილი გასული წლის ბოლოს ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში. აქ ნახავდით სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგის ნაწარმოებს. გამოფენაში მონაწილეობდა 7-დან 16 წლამდე ასაკის 400-ზე მეტი ბავშვი. მაგრამ მთავარი ეს სიმრავლე კი არ არის, არამედ ის, რომ ბავშვთა ნამუშევრებში იგრძნობოდა თავისთავადი, საკუთარი მიდგომა ასახვის საგნისადმი, სამშობლოს, მისი ბუნების, მისი ძეგლების უსაზღვრო სიყვარული, დიდი მოწიწება გენიალურ წინაპართა ოსტატობის წინაშე და მათი მუშაობის მანერის, მათი ხელწერის მიბაძვისა და შეთვისების ხან გაუბედავი, ხანაც თამამი ცდა.

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში გამოფენილმა ნამუშევრებმა დაადასტურა, რომ ნორჩ ნიჭიერ მხატვრისთვისაც ერთნაირად ძვირფასი, თანაბრად საყვარელი და პატივსაცემია მშობლიური წარმტაცი ბუნება და დიდებული ისტორიული ძეგლები.



ეკლესია ჩემს სოფელში. ლევან გეგეშიძე, 7 წლის.



ჩვენი სოფლის მიდამოები. თორნიკე ზაქარიაშვილი, 7 წლის.



სვეტიცხოველი



გელათი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვინ აღმოაჩინა ავსტრალია?

აქვს თუ არა აზრი იმის მტკიცებას, რომ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ ავსტრალიის არსებობა? ამ კითხვაზე აქამდე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლებოდა: არა, აზრი არა აქვს. მაგრამ აი რა აღმოჩნდა ამ ბოლო ხანს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად. როცა სწავლულებმა ერთ-ერთი მუმია გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ ძველი ეგვიპტელები ბალზამში ურევდნენ ევკალიპტის ზეთს, თანაც იმ ევკალიპტისას, რომელიც მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ ავსტრალიაში იზრდება.

ისმება კითხვა: ნუთუ ძველი ეგვიპტელი ზღვაოსნები ნამყოფნი იყვნენ ამ შორეულ კუნძულზე? ამაზე ჯერჯერობით ვერავის გაუცია დამაჯერებელი პასუხი. მაგრამ ერთი რამ საგულისხმოა: ავსტრალიის ჩრდილო სანაპიროზე აღმართულ კლდეებზე ამოკვეთილია ადამიანთა სილუეტები, ეს ადამიანები ახლო აღმოსავლეთის მცხოვრებლებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე ავსტრალიელ აბორიგენებს. აქვე აღმოჩნდა გამოსახულებები ხოჭოებისა, რომლებიც ძალზე ჰგვანან სკარაბეებს — ძველ ეგვიპტელთათვის წმინდა ხოჭოებს. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი კვლევა-ძიებაა ჩასატარებელი, მაგრამ მოსალოდნელია გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიაში მალე სერიოზული შესწორებები იქნას შეტანილი.

## ვერაფერს უხერხებენ

ექვსიოდე წლის წინ დიდი ბრიტანეთის სამხრეთ სანაპიროებთან და საფრანგეთის დასავლეთ ნაპირებთან გამოჩნდა წყალმცენარე, რომელსაც ლათინურად სარგასუმ მუტიკუმი ეწოდება. იგი ამ არემარეში იაპონიიდან მოხვდა. ამ წყლებში მას ბუნებრივი მტრები არა ჰყავს, ამიტომ სწრაფად გავრცელდა, ხუთი მეტრის სიგრძეს მიაღწია და ერთგვარ საფრთხედ იქცა. ალბათ იკითხავთ, რა საფრთხეა ეს, მუტიკუმი ხომ წყალმცენარეა და არა ზვიგენიო. უბედურებაც ის არის, რომ წყალმცენარეა: მისი წყალობით თევზჭერა ძალზე გაძნელდა; მეთევზეთა პატარა გემებს დიდი გაჭირვებით უხდებათ სარგასუმის ბარიერის გადალახვა. პორტსმუტის უნივერსიტეტმა უკვე ასი ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა გიგანტური სარგასუმ მუტიკუმის შესასწავლად, მაგრამ




ჯერჯერობით ვერავითარი საშუალება ვერ იპოვა ამ ერთი შეხედვით უწყინარი წყალმცენარის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „გრან-პრი დე გარსონ"

პროფესიების მიხედვით შეჯიბრებები ზოგჯერ სპორტულ შეჯიბრებებზე ნაკლებ როდი იზიდავენ მაყურებელს. ეს შეჯიბრე-



ბები, ჯერ ერთი, აზარტულია, მეორეც — პრესტიჟს უმაღლებს ამა თუ იმ პროფესიას. შვეიცარიის ქალაქ ციურიხში რესტორნების მეპატრონენი ყოველწლიურად მართავენ ოფიციანტების შეჯიბრებას თარჯრბენში. შეჯიბრების პირობა ასეთია: ოფიციანტმა კილომეტრნახევარი უნდა გაირბინოს ბარიერების გადალახვით, ლანგარზე დადგმული ლიქიორით, ღვინით, მინერალური წყლით სავსე ბოთლებით, კოქტეილიანი ჭიქით და ისე უნდა მიიჭრას ფინიშთან, რომ ჭურჭლებიდან სითხის ერთი წვეთიც კი არ გადმოიღვაროს. წლეულს გამარჯვებულმა დადგენილი მანძილი ცხრა წუთსა და ცხრა წამში გაირბინა, რისთვისაც მიიღო „გრან-პრი დე გარსონ" — „ოფიციანტების დიდი პრიზი".



## ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული
მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

ამჯერად გავეცნოთ თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონატში გათამაშებულ საინტერესო პარტიას. თეთრებით თამაშობს თბილისის მე-100 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ი რ ა კ ლ ი ჩ ა ჩ უ ა, შავებით — თბილისის ექსჩემპიონი გ. ბ ა ღ ა თ უ რ ო ვ ი.

პ ა რ ტ ი ა № 1
სიცილიური დაცვა
თბილისი, 1979 წ.

ი. ჩაჩუა
(პირველთანრიგოსანი)
გ. ბაღათუროვი
(პირველთანრიგოსანი)

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 d6 6. კc4

ამ სვლით იწყება სოზინის შეტევა — მეფის ფრთაზე პაიკთა შტურმით.

მაგალითად 6. ... e6-ის შემთხვევაში თეთრები ახორციელებენ f2—f4—f5-ს, რაც აძლიერებს კუს მოქმედების ძალას a2—g8 დიაგონალზე. c4 კუს პოზიცია აუფასურებს აგრეთვე ცენტრში კონტრდარტყმას e7—e5, რასაც მოჰყვებოდა მd—e2 აქტიური პოზიციით: კონტროლი ცენტრში („d5" პუნქტი) და a2—g8 დიაგონალზე. ახლა მუქარაა 7. მ:c6 bc 8. e5 და ცუდია 8... de? 9. კ:f7 + -ის გამო, ხოლო თუ 8... მg4, მაშინ 9. e6! მe5 10. ef + მ:f7 11. კ:f7 + მფ:f7 12. ლf3 + პაიკის მოგებით. ასეთი ვარიანტების არსებობის გამო შავებისათვის არასასურველია 6... g6—დრაკონის სისტემა, რაც მათ შეუძლიათ მოამზადონ 6... კd7 სვლით.

6... e6.

ბუნებრივია, შავები ზღუდავენ c4 კუს გავლენის სფეროს და ხელსაყრელ მომენტში სურთ განახორციელონ სტანდარტული გაცვლითი ოპერაცია მ:e4 და d6—d5. 6... e6 შემდეგ პაიკთა განლაგება დამახასიათებელია შევენინგენის სისტემისათვის. ეს სახელწოდება დასაბამს იღებს 1923 წელს ჰოლანდიის ქალაქ შევენინგენში გათამაშებული მაროცი-ეივეს პარტიიდან.

7. კe3 კe7 8. f4 0—0 9. ლf3 a6 10. 0—0—0 ლc7 11. კb3 მ:d4 12. კ:d4 e5?

შავი ფიგურების განვითარების დამთავრებამდე ეს კონტრდარტყმა ცენტრში მცდარი აღმოჩნდა, რასაც ნათელს ჰფენს ჩაჩუას მე-14 სვლა. ჯობდა 12. ... b5. აღვნიშნავთ, რომ თეთრი არმია კარგადაა მობილიზებული და

ლევან
ფრუიძე

ცხრაციხეთის
ლეგენდა

„ლამლუზი ერქვა ფუტკართა ქალაქს, ვინ უწყის რამდენი მცხოვრები იყო იმ ქალაქში“... ასე იწყება ეს წიგნი და მკითხველი თავიდანვე ექცევა ჯადოსნური ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლების ტყვეობაში. ეს განწყობილება ბოლომდე გასდევს კრებულს. აგერ, ალა-მაჰმადხანი საკუთარმა მცველებმა მოკლეს და საქართველო მეორედ აოხრებას გადარჩა... აგერ, პატარა შოშიტა წითელრაზმელთა თანამებრძოლი გახდა და 1905 წლის რევოლუცია საკუთარ ბედად განიცადა...



ერთი სიტყვით, მრავალი საკვირველი ამბავი ხდება ამ მოთხრობებში და თურმე, ამ საოცარი ამბებისათვის არ არის საჭირო ცხრამთას იქით ხეტიალი. თუ მშობლიური კუთხის სანახებს გულისხმიერად დაუკვირდებით და შეისწავლით, ვინ იცის, რა საკვირველებას არ იხილავთ.

გივი
ბუთხუზი

დაბრუნება

ალბათ თქვენც იცით, რომ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, დაუნანებლად ტოვებს სოფელს და ქალაქში მკვიდრდება. სოფელს მუშახელი აკლდება, უპატრონოდ რჩება ყანა და საქონელი, ტყე და სათიბი, ვერანდება ედემივით აყვავებული კარ-მიდამო, კერიაზე აქა-იქალა ანთია ცეცხლი... მიდიხარ ორღობეში, ჩაუვლი გამოყრუებულ ეზოებს და იქნებ ყურიც ვეღარ მოკრა ძაღლის ყეფას და მამლის ყივილს... ცარიელდება სოფელი.

ეს სატკივარი აშკარად იგრძნობა მწერალ გივი ბუთხუზის მოთხრობაში



„ფუძის ანგელოზი“ („დაბრუნება“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1978 წ.). მოთხრობა გვაცნობს ოჯახის ერთგული მეგობრის, ძაღლ ბობრას სევდიან ისტორიას: ზამთრის პირზე უკანასკნელმა მოსახლემ, ჩაჩაურმა მიატოვა სოფელი და ქალაქში შვილთან გადავიდა საცხოვრებლად. ცარიელ კარმიდამოში ბობრაღა დარჩა და მთელი ზამთარი სოფელსა და პატრონის ეზო-ყურეს არ მოსცილებია, მარტოხელა და მშიერ-მწყურვალი ფუძის ანგელოზივით იფარავდა იქაურობას, არც მგლის შეშინებია და არც ქარყინვისა. თან სულ ჩაჩაურზე ფიქრობდა და ოცნებობდა, დიდი ოჯახის სითბო და სიტკბო ახსენდებოდა... მოთხრობა კეთილად მთავრდება — მიტოვებულ კერაზე ისევ აინთება ცეცხლი.

ასევე საინტერესოა სხვა მოთხრობებიც: „დაბრუნება“, „ძაღლების გლოვა“ და „ამაღლება“.

---

მზად არის ყოველგვარი გართულებებისათვის.

13. fe de 14. ლg3!

ამ მახვილგონივრულ მანევრში თვალნათლივ ჩანს ნორჩი მოჭადრაკის ნიჭი და ერუდიცია!

ახლა მოვუსმინოთ ირაკლი ჩაჩუას კომენტარს: „თეთრები დებიუტიდან აშკარა უპირატესობით გამოვიდნენ — მათი ორივე კუ აქტიურადაა ჩაბმული ბრძოლაში, ეტლს უკავია „d“ ხაზი, „d5“ პუნქტიც მათ ხელშია. შავების ეტლები და c8 კუ განუვითარებელია, d6 კუ შეზღუდულია საკუთარი პაიკებით“.

15. ... კc5 16. კ:c5 ლ:c5 17. ეh—f1 მh5?

„ეს უკვე უხეში შეცდომაა, თუმცა შავების პოზიცია ძალზე მძიმეა. ჯობდა 17. ... ლe7 18. მd5! მ:d5 19. ე:d5 ეe8 20. ეa5!“

ტაქტიკური დარტყმის მთავარი მოტივია f8 ეტლის გადატვირთვა (აგრეთვე მე-8 ჰორიზონტალისა და h5 მხედრის დაუცველობა).

აქ შავებს შეეძლოთ დანებებულიყვნენ.

18. ... მფh8 19. კ:h5 კe6 20. კg4 კc4 21. ე:f8+ ე:f8 22. კe2 კe6 23. ლg5 h6 24. ლg6 ეf6 25. ეd8+ კg8 26. ლe8 ლe3+ 27. მფb1 და ბალათუროვი დანებდა.

ახლა ვნახოთ ფრაგმენტი თბილისის 52-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლის, პირველთანრიგოსანი ლია სადუნიშვილის შემოქმედებიდან.

ქვემომოყვანილი პოზიცია შეიქმნა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ 1978 წლის მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში. (ლიეპაია, ლატვია). შავებით თამაშობს ლია სადუნიშვილი, თეთრებით — მოსკოველი ოსტატობის კანდიდატი სვეტლანა ბახარევა.

სადუნიშვილი



ბახარევა

ამ რთულ პოზიციას ძნელია უწოდო „პოზიცია ორმხრივი შანსებით“, რადგან შავი ფიგურები უფრო აქტიური და კოორდინირებული არიან, თანაც სვლა შავებისაა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი უპირატესობაა ასეთი ყაიდის პოზიციებში.

24. ... მe3!

ტაქტიკა აგვირგვინებს შავების სტრატეგიას!

ამ მოხდენილი სვლით შავი ფიგურების კოორდინირება აპოთეოზს აღწევს.

შავები დანებდნენ. რატომ? ველით თქვენს პასუხს.



რკინის საგანი (დანა, ხერხი, ლილი...) თუ დაიჟანგა, შეგიძლია უმი ხახვით გაწმინდო.

მილის პატარა გადანაჭერს ნუ გადააგდებ, მისგან მშვენიერი სატენიანებელი გამოვა. მილს ცალი ბოლო დაუცავი, მეორეზე ლითონის რაიმე კაუჭა სამაგრი გაუკეთე, შიგ წყალი ჩაასხი და ამ სამაგრით კედლის მხარეს რადიატორზე ჩამოკიდე. არც ინტერიერი დამახინჯდება და აღარც ჰაერი გამოშრება ოთახში.

ცარცმა ხელები რომ არ დაგისვაროს, რამდენიმე წამით წყალშერეულ რძეში უნდა ამოავლო და მერე წერო.

სწორ სახაზავს ოდნავი ამონაჭერი გაუკეთე, მერე იმ ამონაჭერს სამკუთხა სახაზავი მიადგი და მისი დახმარებით ქაღალდს სწრაფად და მალალხარისხიანად დაშტრიხავ.

„ზმეიკამ“ ხშირად თავის ჭკუაზე იცის გახსნა, ადექი და ყუნწთან ტანსაცმელის პატარა კაუჭი მიაკერე. „ზმეიკის“ ენა იმ კაუჭზე ჩამოაცვი და აღარ გაიხსნება.

დიდი საოჯახო ჭახრაკის შოვნა ცოტა არ იყოს ძნელია. შემოაბრუნე ხერხუნას კრონშტეინი ლითონისაკენ $180^0$-ით და მშვენიერ ჭახრაკს მიილებ. საჭიროა მხოლოდ ქანჩყურა ჩვეულებრივი ქანჩით შეცვალო.

მტვერსასრუტის მილი, სამწუხაროდ, არც თუ ძალიან დრეკადი და მყარია, ამიტომ, იქ, სადაც ის ხშირად ილუნება, მალე იცის გაცვეთა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალი მილის დაყენება იყოს აუცილებელი. დაზიანებულ ადგილს ველოსიპედის კამერის გადანაჭერი ჩამოაცვი და ზედ ლეიკოპლასტი ან იზოლატორი დაახვიე.



# სარჩევი


ჯანგულაშვილი თ.—დიდი სამამულო (ლექსი) . გარეკ. 2 გვ.
შუბლაძე ვ. — 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წელია (წერილი) . . . . . . . . . . . 1 გვ.
იოსელიანი ო. — მტრედებს გამოტანებული ბარათები (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . . . 4
ზნეობის ანბანი — მოვალეობა . . . . . . . . 10
ჟიჟინაძე ლ. — მემკვიდრედ დარჩა მხოლოდ მუსიკა (თამარ შავერზაშვილი, მოგონება) . . . . . . . . . 12
მეტრეველი გ. — საქართველო (ლექსი) . . . . . . . . 13
ლეჟავა ვ. — სამაისო (ლექსი) . . . . . . . . 13
გიგაური გ. — ჩვენი ეზო (ლექსი) . . . . . . . . 13
აფხაზავა ნ. — გორინის ხიდი (მოთხრობა) . . . . . . . . 14
შერაზადიშვილი ნ. — შთამბეჭდავი, ბევრისმთქმელი (წერილი) . . . . . . . . . . . . 19
აისი . . . . . . . . . . . . . 20
მიულშტეტი ჰ. — გზა ეშაფოტისაკენ (თარგმანი მედეა კოდუასი) . . . . . . . . . . . . 22
შამანაძე ნ. — კაი ყმა — (ნარკვევი) . . . . . . . . 24
ფაილოძე ნ. — შეფები (წერილი) . . . . . . . . . 27
ბეგეჭკორი არნ. — რუხი მგელი (წერილი) . . . . . . 28
გორგაძე ე. — ბუნებისა და ძეგლის ჰარმონია (წერილი) . . 29
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 30
მხედრიონი . . . . . . . . . . . . 30
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3 გვ.



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-79 წ. ქაღალდის ფორმატი $60\times90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 930. ტირ. 150.700. უე 08203.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

© „პიონერი“, 1979 წ.



## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**თარაზულად:** 8. შემადგენელი ნაწილი, ანუ? 9. ფილტვების მოცულობის გასაზომი ხელსაწყო; 10. თვალის ფერადი გარსი; 11. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი; 12. დედანი, ანუ?; 15. ქალაქი ეგვიპტეში; 18. სამხედრო წოდება; 19. მუსიკალური აპარატი; 20. დამწერლობათმცოდნეობა, ანუ? 21. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 23. ქართული მითოლოგიის გმირი; 26. ოთახი საავადმყოფოში; 27. სიხხლნაკლებობა; 30. თვითმმართველობა; 31. მაღალი თანამდებობის პირთა მხლებლები ძველად; 33. სოციალისტ-რევოლუციონერი; 34. მოგონილი, დაუჯერებელი ამბავი, ანუ?, 35. ხალხის, ტომის წარმოშობა;

**შვეულად:** 1. ურთიერთდათმობა, ანუ?; 2. კანონთა სისტემაში მოყვანა; 3. სატრანსპორტო საშუალება; 4. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 5. ხალხური საკრავი; 6. თვე; 7. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი; 13. პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას; 14. პირი, რომელიც თავის საქმიანობაში პირადი კომერციული ინტერესებით ხელმძღვანელობს; 16. პოლიტიკური მოძღვრება ჩინეთში; 17. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 22. საშიში დაავადება; 24. უმდიდრესი პირი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში; 25. რაიმე უფლების მაძიებელი პირი; 28. რისიმე აღმოჩენის დროს სიხარულის წამოძახილი ბერძნულად; 29. სახელმწიფო აზიაში; 32. განთიადი; 33. ენერგიის საზომი.



ემზარ ღვინიაშვილი,
ცხინვალის რაიონი. სოფ. დისევი, VIII კლასი.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

სრიალ-სრიალით დავდივარ,
მიწა ვაქციე ბელტებად,
ვმუშაობ — თეთრად
ვპრიალებ,
ვისვენებ — ჟანგი მედება.

•

უდაბნოში დაზოზინებს,
ცხოველია, არ აქვს რქები,
ვერ აშინებს სიცხის ბული,
ამოსვლია ზურგზე მთები.

•

ზოგი ქარვის ფერია და
ზოგი ფერად ლალიაო,
გზა და კვალი აერია
ვინც ზედმეტი დალიაო.

ვ. ლეჟავა

•

მე რომ მინდვრებს მოვედები,
გეგონებათ, ხანძარია,
პოეტები მეტსახელად
მეძახიან „შავხალიანს".

•

ჩემზე ლამაზი ყვავილი
ბაღებშიც ნუ გეგულებათ,
ზაფხულში როცა შეგვკრავენ
თეთრ, მინდვრის თაიგულებად,
მზესავით შემოგანათებთ
ჩვენი ყვითელი გულები.

ლ. ასათიანი

## შარადები

ერთ მარცვალში ჩატეული
გარეული ფრინველი
ამ შარადის ასაკინძად
ნაწილია პირველი.
დასკვნისათვის ორბგერიან
დასტურს უნდა მიგნება. —
პიონერებს უხმობს ხოლმე,
გამოიცნო იქნება.

•

გამოსაცნობი საგანი
ადვილი არის ძალზედა,
თებრონეს მხარზე შეუდგამს
მიეშურება წყალზედა; —
თუ პირველ ბგერას მოაკლებ,
სახელი გახლავს მდინარის,
პასუხს რომელი დაასწრებს,
ყველაზე მარჯვე ვინ არის?

•

ქიქაში ოქროსფერია,
მინდორში მწვანედ ღელავს,
მას მიუმატე მეექვსე
მუსიკალური ბგერა,
მერე კი შუა ხმოვანი
ჩამოაცალე ხელად.
დანარჩენს თვითონ მიხვდები,
არ დაგჭირდება შველა.

შ. ამირანაშვილი

### პასუხი № 4-ში მოთავსებულ ცხრაკლიტულზე

**კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ბია; 2. არა; 5. შილდა; 6. უკბილო; 7. სირია; 11. იმუნიტეტი; 12. ტაბაწყური; 16. ბესიკი; 17. ბზიკი; 19. ავაზა; 25. ევა; 26. ინა.

**თარაზულად:** 3. გინკო; 4. ისარა; 8. კიო; 9. აკონკაგუა; 10. სია; 13. ადამი; 14. დალია; 15. ბოთლახე; 18. ალფეუსი; 20. აზოტი, 21. არჩვი; 22. ოკა; 23. სანუკვარი; 24. იზა; 27. შველი; 28. ურანი.

**გამოცანები**

1. ცისარტყელა
2. მთვარე და ვარსკვლავები. ია, ენძელა, ბაბუაწვერა. ვარდი, წყარო, წიგნი, წაბლი

6104/79
76157
ელექტრონული ბიბლიოთეკა



ექსკურსიაზე.
ვაჟა აროსევი. 11 წლის.
65-ე საშ. სკოლა.



ძველი ციხე-სიმაგრე. კოტე დათუაშვილი, 11 წლის.

# ბუნებისა და ძეგლის ჰარმონია



თეთრი ტაძარი.
ზაურ ხათაშვილი,
129-ე საშ. სკოლა, V კლასი.



ჩვენი სოფლის ეკლესია.
კახა ტუხიშვილი, 11 წლის.





◀ ფიცი.
კოტე რუხაძე, 10 წლის.

▲ ეკლესია სოფელში.
ნინო ჩხაიძე, 7 წლის.